

შპს „დაგი“

ფეროშენადნობების წარმოება

ვაკომატრი

შემსრულებელი: შპს „გარემოსდაცვითი და შრომის უსაფრთხოების საგანმანათლებლო და საკონსულტაციო ცენტრი-ეკომეტრი“

დირექტორი: თინათინ ჟიჟიაშვილი
ხელმოწერა:



ქ. თბილისი, 2022 წელი

კონსულტანტების ნუსხა, რომლებიც მონაწილეობდნენ გზმ ანგარიშის და ცალკეული დასკვნების მომზადებაში

სახელი, გვარი	პოზიცია	ხელმოწერა
თინათინ ჟიჟიაშვილი	გარემოს დაცვის სპეციალისტი	
მარიამ მირიანაშვილი	გარემოს დაცვის სპეციალისტი	
სალომე გოგილაშვილი	გარემოს დაცვის სპეციალისტი	
ლევან ზარანდია	GIS სპეციალისტი	
როლანდ ისაკაძე	ისტორიკოსი	
შალვა ბუაძე	არქეოლოგი	
თამარ თოლორდავა	ბოტანიკოსი	

სარჩევი

1.	შესავალი	6
2.	საკანონმდებლო ჩარჩო დოკუმენტები.....	8
2.1	საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობა.....	8
2.2	საქართველოს გარემოსდაცვითი სტანდარტები	9
2.3	საერთაშორისო ხელშეკრულებები	11
3.	საქმიანობის განხორციელების ტერიტორიის აღწერა-დახასიათება.....	12
3.1	საქმიანობის განხორციელების ადგილის საკადასტრო კოდები და GPS კოორდინატები	12
3.2	ინფორმაცია საპროექტო ტერიტორიის მოსაზღვრე ტერიტორიების, ასევე მიმდებარედ მოქმედი-საპროექტო საწარმოო ობიექტების (საწარმოდან 500მ რადიუსში) და მათი ფუნქციური დატვირთვის შესახებ (მანძილების მითითებით)	13
4.	საწარმოს ადგილმდებარეობის გარემოს არსებული მდგომარეობის ანალიზი.....	16
4.1	კლიმატი და მეტეოროლოგიური პირობები.....	16
4.2	გეოლოგიური გარემოს აღწერა	19
4.2.1	რელიეფი (გეომორფოლოგია).....	19
4.2.2	გეოლოგიური აგებულება.....	19
4.2.3	ტექტონიკა და სეისმურობა.....	21
4.2.4	ჰიდროგეოლოგია	22
4.2.5	საპროექტო ტერიტორიის საინჟინრო-გეოლოგიური კვლევა	23
4.2.6	საშიში გეოდინამიკური პროცესების განვითარების რისკები	26
4.3	რაიონის ჰიდროლოგიური დახასიათება	27
4.3.1	მდ. ყვირილას ჰიდროლოგია	27
4.3.2	მდინარე ჩოლაბურის ჰიდროლოგია	28
4.4	ზედაპირული წყლის ობიექტების დაბინძურების მდგომარეობა.....	28
4.5	ატმოსფერული ჰაერის მდგომარეობის ანალიზი, ინფორმაცია გაბატონებული ქარების შესახებ29	
4.6	რადიაციული ფონის შეფასება.....	31
4.7	ძირითადი ნიადაგები და ლანდშაფტები.....	32
4.8	დაცული ტერიტორიები.....	32
4.9	არქეოლოგიური და კულტურული მემკვიდრეობის ძეგლები	34
4.10	ბიოლოგიური გარემო	35
4.10.1	ფლორა	35
4.10.2	ფაუნა	36
4.11	ნიადაგის ნაყოფიერი ფენის მოხსნა და რეკულტივაცია, გრუნტის მოხსნა	37
5.	საწარმოს განთავსების და ტექნოლოგიური ალტერნატივების განხილვა.....	39
5.1	არაქმედების ალტერნატიული ვარიანტი	39
5.2	ტერიტორიის შერჩევის ალტერნატივა I	40
5.3	ტერიტორიის შერჩევის ალტერნატივა II	40
5.4	ტერიტორიის შერჩევის ალტერნატივა - III და მისი გარემოსდაცვითი, სოციალური, ეკონომიკური და ტექნიკური უპირატესობები.....	41
5.5	ტექნოლოგიური ალტერნატივები	42
5.6	მტვერგამწმენდი სისტემის ალტერნატიული ვარიანტები	43
6.	საპროექტო ტერიტორიასთან მისასვლელი გზები.....	43
6.1	ნედლეულის/პროდუქციის ტრანსპორტირების შესახებ ინფორმაცია, დასახლებულ პუნქტში	

	გადაადგილების პირობები, სატრანსპორტო ნაკადების მართვის საკითხი	45
6.2	ინფორმაცია ნელლეულის/პროდუქციის გადაზიდვისთვის გამოყენებული სატრანსპორტო საშუალებების შესახებ	46
7.	დაგეგმილი საქმიანობის დეტალური აღწერა, საწარმოს ტექნოლოგიური პროცესი	46
7.1	საქმიანობის დეტალური აღწერა, ინფრასტრუქტურული ობიექტების მშენებლობა/მოწყობა ..	46
7.2	საწარმოს შემადგენელი ტექნიკური და ტექნოლოგიური დანადგარების აღწერა	49
7.2.1	მტვერდამჭერი მოწყობილობების და მისი ეფექტურობის დეტალური აღწერა	52
7.2.2	აირმტვერდამჭერი სისტემის მიერ დაჭერილი მტვრის მართვის საკითხი	55
7.3	ტექნოლოგიური პროცესის აღწერა	55
7.4	გამოყენებული და მიღებული პროდუქციის რაოდენობა, საწარმოს წარმადობა	56
7.5	საწარმოს მუშაობის რეჟიმი და ინფორმაცია დასაქმებულების შესახებ, ინფორმაცია დასაქმებულების სწავლების შესახებ	58
8	ობიექტის მომარაგება საჭირო რესურსებით	58
8.1	წყალმომარაგების და წყალარინების საკითხები	58
8.1.1	სასმელ-სამეურნეო წყალმომარაგება	58
8.1.2	საწარმოო (ტექნიკური) და ხანძარსაწინააღმდეგო წყლით მომარაგება	58
8.1.3	ჭაბურღილის მოწყობის შესახებ ინფორმაცია	59
8.2	ჩამდინარე წყლების მართვა	59
8.2.1	საწარმოო ჩამდინარე წყლები	59
8.2.2	სამეურნეო-ფეკალური ჩამდინარე წყლები	59
8.2.3	სანიაღვრე ჩამდინარე წყლები	60
8.3	საწარმოს ელექტროენერგიით მომარაგების საკითხები	63
9	ზემოქმედების შეფასება	63
9.1	სკოპინგის ეტაპზე საზოგადოების ინფორმირებისა და მათ მიერ წარმოდგენილი მოსაზრებებისა და შენიშვნების შეფასება	63
9.2	ხმაურით გამოწვეული ზემოქმედება, კუმულაციური ზემოქმედების შეფასება	65
9.2.1	ხმაურის და ვიბრაციის წყაროები და მათი მახასიათებლები, ხმაურის გავრცელებით გამოწვეული ზემოქმედება, შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებები, ხმაურის გავრცელების ღონეების გაანგარიშება და მოდელირება	65
9.2.2	ხმაურის მაჩვენებლები საცხოვრებელი სახლებისა და საზოგადოებრივი/საჯარო დაწესებულებების შენობების სათავსებში და განაშენიანების ტერიტორიებზე	66
9.2.3	ხმაურის არახელსაყრელი ზემოქმედების პროფილაქტიკის ღონისძიებები	66
9.3	ვიბრაციით გამოწვეული ზემოქმედება	72
9.4	ელექტრომაგნიტური გამოსხივება	72
9.5	ზემოქმედება ნიადაგის და გრუნტის ხარისხზე, გეოლოგიურ გარემოზე ზემოქმედება, საშიში გეოდინამიკური პროცესები	73
9.6	ზემოქმედება დაცულ ტერიტორიებზე	73
9.7	ზემოქმედება ისტორიულ-კულტურულ და არქეოლოგიურ ძეგლებზე	73
9.8	სოციალურ-ეკონომიკურ გარემოზე ზემოქმედება, ჯანმრთელობასა და უსაფრთხოებასთან დაკავშირებული რისკები და შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებები	74
9.9	ზემოქმედება ბიოლოგიურ გარემოზე	75
9.9.1	საპროექტო ტერიტორიის გამწვანების ზოლის მოწყობის საკითხი	75
9.9.2	ლანდშაფტის ვიზუალური ცვლილებით მოსალოდნელი ზემოქმედების შეფასება	77
9.10	ზემოქმედება მიწისქვეშა გრუნტის წყლებზე	77
9.11	ზემოქმედება ზედაპირული წყლის ობიექტებზე	77
9.12	ზემოქმედება სასოფლო-სამეურნეო სავარგულებზე	78
9.13	ზემოქმედება ატმოსფერულ ჰაერზე, მათ შორის კუმულაციური ზემოქმედების შეფასება	78
9.13.1	სამშენებლო სამუშაოებით გამოწვეული ზემოქმედება ატმოსფერულ ჰაერზე	78
9.13.2	საწარმოს ექსპლუატაციით გამოწვეული ზემოქმედება ატმოსფერულ ჰაერზე	80
9.13.3	ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა გაბნევის ანგარიშის შედეგების ანალიზი	91
9.14	გარემოზე შეუქცევი ზემოქმედების შეფასება და მისი აუცილებლობის დასაბუთება	92
9.15	პროექტი განუხორციელებლობის შემთხვევაში გარემოს არსებული მდგომარეობის ბუნებრივად განვითარების აღწერა	92

10.	ნარჩენების მართვის საკითხები, ნარჩენების მართვის გეგმა, ნარჩენების წარმოქმნით და გავრცელებით მოსალოდნელი ზემოქმედება	93
10.1	მოსალოდნელი ნარჩენების სახეები.....	93
10.2	ინფორმაცია საწარმოო პროცესის შედეგად წარმოქმნილი ნარჩენი წილის რაოდენობის, წილისთვის ლაბორატორიული კვლევის ჩატარების, დროებითი დასაწყობების ადგილის, დასაწყობების პირობებისა და შემდგომი მართვის ღონისძიებების შესახებ	94
10.3	ნარჩენების მართვის გეგმა.....	95
11.	ავარიულ სიტუაციებზე რეაგირების გეგმა	104
11.1	ავარიული სიტუაციების განვითარების შესაძლო ვარიანტები	104
11.2	ავარიის შესახებ შეტყობინება.....	107
11.3	ხანძარი/აფეთქება	108
11.3.1	რეაგირება ხანძრის აღმოჩენება-გავრცელების შემთხვევაში	108
11.4	პერსონალის ტრავმები და მათი ჯანმრთელობის უსაფრთხოებასთან დაკავშირებული ინციდენტები	109
11.4.1	რეაგირება პერსონალის ტრავმატიზმის შემთხვევაში.....	110
11.4.2	პირველადი დახმარება მოტეხილობის დროს	110
11.4.3	პირველადი დახმარება ქრილობის და სისხლდენის დროს	111
11.4.4	პირველადი დახმარება ელექტროტრავმის შემთხვევაში.	112
11.5	სატრანსპორტო შემთხვევები, რეაგირება სატრანსპორტო შემთხვევების დროს	113
11.6	ბუნებრივი ხასიათის ავარიული სიტუაციები (მარგინალური ამინდის პირობები, მიწისძვრა, წყალმოვარდნა და სხვ.....	114
11.6.1	ავარიული სიტუაციების წარმოქმნის ძირითადი პრევენციული ღონისძიებები	114
12.	ინფორმაცია არახელსაყრელ მეტეოროლოგიურ პირობებში საწარმოს ფუნქციონირების შეზღუდვის შესახებ	115
13.	საქმიანობის შეწყვეტის შემთხვევაში ტერიტორიის პირვანდელ მდგომარეობამდე აღდგენის ღონისძიებები	116
13.1	მოკლევადიანი გაჩერება ან რემონტი	116
13.2	ექსპლუატაციის ხანგრძლივი შეწყვეტა ან კონსერვაცია.....	116
13.3	ობიექტის ლიკვიდაცია.....	116
14.	გარემოზე ზემოქმედების შემარბილებელი ღონისძიებების გეგმა	118
14.1	ზოგდი მიმოხილვა	118
14.2	შემარბილებელი ღონისძიებების გეგმა - მშენებლობის ეტაპი	119
14.3	შემარბილებელი ღონისძიებების გეგმა - ექსპლუატაციის ეტაპი.....	125
15.	გარემოსდაცვითი მონიტორინგის გეგმა	131
15.1	გარემოსდაცვითი მონიტორინგის გეგმა-გრაფიკი, მშენებლობის ფაზა	132
15.2	გარემოსდაცვითი მონიტორინგის გეგმა-გრაფიკი, ექსპლუატაციის ფაზა	133
15.3	ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა მონიტორინგის გეგმა	136
16.	გზმ-ს ფარგლებში შემუშავებული ძირითადი დასკვნები, რეკომენდაციები და საქმიანობის პროცესში განსახორციელებელი ძირითადი ღონისძიებები	138
16.1	დასკვნები	138
16.2	რეკომენდაციები და საქმიანობის პროცესში განსახორციელებელი ძირითადი ღონისძიებები	139
17.	სკოპინგის დასკვნით გათვალისწინებული მოთხოვნები	140
18.	დანართი 1 - ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან	146
19.	დანართი 2 - ამონაწერი საჯარო რეესტრიდან.....	148
20.	დანართი 3 - არქეოლოგიური კვლევის მასალა, ექსპერტთა დასკვნა	149
21.	დანართი 4 - კულტურული მემკვიდრეობის ეროვნული სააგენტოს წერილი	150
22.	დანართი 5 - ადგილობრივი მუნიციპალიტეტის თანხმობა მისასვლელი გზის გამოყენებაზე ..	151
23.	დანართი 7 - საწარმოო შენობის ტექნიკური ნახაზები	152
24.	დანართი 8 - სკოპინგის დასკვნის გაცემის ბრძანება	157
25.	დანართი 9 - გაბნევის ანგარიში	158

1. შესავალი

შპს „დაგი“ (ს/კ 406038540), ფეროშენადნობების წარმოების მიზნით გეგმავს საწარმოს მოწყობას და ექსპლუატაციას ქ. თერჯოლის ტერიტორიაზე.

ვინაიდან დაგეგმილი საქმიანობა წარმოადგენს „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი“- ს I დანართის მე-5 პუნქტით გათვალისწინებულ საქმიანობას (თუჯის, ფოლადის ან/და ფეროშენადნობების წარმოება, პირველადი ან/და მეორეული დნობის ჩათვლით), აღნიშნული საქმიანობა წარმოადგენს გზშ-ს დაქვემდებარებულ საქმიანობას და საჭიროებს სკოპინგის და გზშ ანგარიშების მომზადებას და შესაბამისი პროცედურის გავლას.

აქედან გამომდინარე, ქ. თერჯოლის ტერიტორიაზე, ფეროშენადნობების წარმოების მიზნით, საწარმოს მოწყობის და ექსპლუატაციის საქმიანობაზე, „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-8 მუხლის შესაბამისად, მომზადებული და საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროში წარდგენილი იქნა საქმიანობის სკოპინგის ანგარიში.

იქიდან გამომდინარე, რომ გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გამცემი ორგანო, გარემოსდაცვითი შეფასების დეპარტამენტი, საქართველოს გარემოს დაცვის სამინისტროდან გადავიდა ამავე სამინისტროს დაქვემდებარებულ, სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოში, საქმიანობაზე დაწყებული სკოპინგის პროცედურის ადმინისტრაციული წარმოება გაგრძელდა სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოში. შესაბამისად, აღნიშნულ საქმიანობაზე, სსიპს გარემოს ეროვნული სააგენტოს 23 მაისის #102/ს ბრძანებით გაიცა სკოპინგის დასკვნა #21.

აღსანიშნავია, რომ სამინისტროში წარდგენილი სკოპინგის ანგარიშში საქმიანობის განხორციელების ტერიტორიად მითითებული იყო საკადასტრო კოდი: 33.09.43.468. საქმიანობის განხორციელების ტერიტორია უცვლელია, თუმცა, შპს „დაგი“- მ მის საკუთრებაში არსებული 3 მიწის ნაკვეთი საკადასტრო კოდებით: 33.09.43.622; 33.09.43.550 და 33.09.43.468 გააერთიანა და აღნიშნული მიწის ნაკვეთები ამჟამად წარმოდგენილია 1 საკადასტრო კოდით, კერძოდ: 33.09.43.671.

ამასთან, მიწის ნაკვეთზე, რომლის საკადასტრო კოდი იყო 33.09.43.550, კომპანია გეგმავს ასფალტის საწარმოს მოწყობას, რომელზედაც საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2021 წლის 14 ივნისის #2-897 ბრძანებით გაცემულია გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება.

აქვე აღსანიშნავია, რომ დაგეგმილი ფეროშენადნობების საწარმო და ასფალტის საწარმო ერთმანეთთან არც ტექნოლოგიურად და არც ფუნქციურად დაკავშირებული არ არის. ორივე საწარმო იქნება სრულიად დამოუკიდებელი ერთმანეთისგან. რაც შეეხება კუმულაციური ზემოქმედების საკითხს, აღნიშნული გათვალისწინებულია წინამდებარე გზშ-ის ანგარიშის შესაბამის თავში და ასევე ზდგ ანგარიშში.

საქართველოს კანონის „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-10 მუხლის შესაბამისად და სკოპინგის დასკვნის პირობების გათვალისწინებით მომზადდა წინამდებარე გზმ ანგარიში, რომელიც წარედგინება სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოს შესაბამისი გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების მიზნით.

წინამდებარე გზმ ანგარიშის მოსამზადებლად გამოყენებული იქნა სხვადასხვა მეთოდები, მათ შორის: ლიტერატურული წყაროები, საძიებო კვლევები, სხვადასხვა დარგის ექსპერტების ვიზიტები საპროექტო ტერიტორიაზე სხვადასხვა სახის კვლევების წარმოების მიზნით, კომპიუტერული პროგრამები და სხვა.

წინამდებარე გზმ ანგარიში, სკოპინგის დასკვნით გათვალისწინებულ საკითხებთან ერთად მოიცავს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით გათვალისწინებულ ინფორმაციას, მათ შორის:

დაგეგმილი საქმიანობის აღწერას, კერძოდ:

- საქმიანობის განხორციელების ადგილის აღწერას, GIS (გეოინფორმაციული სისტემები) კოორდინატების მითითებით (shp-ფაილთან ერთად), აგრეთვე საქმიანობის გარემოს არსებული მდგომარეობის აღწერას;
- ინფორმაციას მიწის კატეგორიისა და მიწათსარგებლობის ფორმის შესახებ;
- ინფორმაციას დაგეგმილი საქმიანობის ფიზიკური მახასიათებლების (სიმაღლე, მასშტაბი და საწარმოო პროცესი) შესახებ;
- ინფორმაციას ექსპლუატაციის ეტაპზე შესაძლო უარყოფითი შედეგების და ემისიების (როგორებიცაა წყლის, ჰაერის, მიწის დაბინძურება, ხმაური, ვიბრაცია) შესახებ;
- ინფორმაციას იმ ნარჩენების სახეების, მახასიათებლებისა და რაოდენობის შესახებ, რომლებიც წარმოიქმნება მოწყობის და ექსპლუატაციის ეტაპზე, აგრეთვე, ნარჩენების მართვის სფეროში მოქმედი ნორმატიული აქტებით განსაზღვრულ დამატებით ინფორმაციას;
- ინფორმაციას გარემოს დაცვის მიზნით შემოთავაზებული დაგეგმილი საქმიანობისა და მისი განხორციელების ადგილის ყველა გონივრული ალტერნატივის შესახებ, შესაბამისი დასაბუთებით, მათ შორის, უმოქმედობის (ნულოვანი) ალტერნატივის შესახებ;
- ინფორმაციას საქმიანობის განხორციელებით გარემოზე შესაძლო მნიშვნელოვანი ზემოქმედების შესახებ;
- ინფორმაციას საქმიანობის განხორციელებით შესაძლო პირდაპირი და არაპირდაპირი, კუმულაციური, მოკლევადიანი და გრძელვადიანი, პოზიტიური და ნეგატიური ზემოქმედების შესახებ;
- ინფორმაციას საქმიანობით გამოწვეული შესაძლო ინციდენტების განსაზღვრისა და მათი შედეგების შეფასების შესახებ, მათ შორის, ავარიულ სიტუაციებზე რეაგირების სამოქმედო გეგმას;
- ინფორმაციას საქმიანობის შეწყვეტის შემთხვევაში ამ საქმიანობის დაწყებამდე არსებული გარემოს მდგომარეობის აღდგენის საშუალებების შესახებ;
- სკოპინგის ეტაპზე საზოგადოების ინფორმირებისა და მის მიერ წარმოდგენილი მოსაზრებებისა და შენიშვნების შეფასებას;

ცნობები საქმიანობის განმახორციელებელი და გზმ ანგარიშის მომამზადებელი კომპანიების შესახებ მოცემულია ცხრილში N1.

ცხრილი N1 – ცნობები კომპანიის შესახებ

საქმიანობის განმახორციელებელი	შპს „დაგი“
კომპანიის იურიდიული მისამართი	თბილისი, პ. იბერის ქ., N 4, კორ. 1, ბ. 64
კომპანიის საიდენტიფიკაციო ნომერი	406038540
კომპანიის ხელმძღვანელი	დავით ბიბილაშვილი
საქმიანობის სახე	ფეროშენადნობების წარმოება
საქმიანობის განხორციელების ადგილმდებარეობა	ქ. თერჯოლის ტერიტორია
გარემოსდაცვითი საკონსულტაციო კომპანია	შპს „გარემოსდაცვითი და შრომის უსაფრთხოების საგანმანათლებლო და საკონსულტაციო ცენტრი - ეკომეტრი“
დირექტორი	თინათინ ჟიჟიაშვილი
კომპანიის იურიდიული მისამართი	ქ. თბილისი, ვაკე-საბურთალოს რაიონი, ზურაბ და თეიმურაზ ზალდასტანიშვილების ქ.#16
კომპანიის საიდენტიფიკაციო ნომერი	405390973
საკონტაქტო ინფორმაცია	ტელ: 577 38 01 13; E-mail: info@ecometer.org.ge tiko_zhizhiashvili@yahoo.com

2. საკანონმდებლო ჩარჩო დოკუმენტები

2.1 საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობა

საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობა მოიცავს კონსტიტუციას, გარემოსდაცვით კანონებს, საერთაშორისო შეთანხმებებს, კანონქვემდებარე ნორმატიულ აქტებს, პრეზიდენტის ბრძანებულებებს, მინისტრთა კაბინეტის დადგენილებებს, მინისტრების ბრძანებებს, ინსტრუქციებს, რეგულაციებს და სხვა. საქართველოს რატიფიცირებული აქვს რამოდენიმე გარემოსდაცვითი საერთაშორისო კონვენცია.

საპროექტო სასარგებლო წიაღისეულის გადამამუშავებელი საწარმოს მოწყობისა და ექსპლუატაციის პროექტის გარემოზე ზემოქმედების შეფასების პროცესში გათვალისწინებული უნდა იქნას შემდეგი გარემოსდაცვითი კანონების მოთხოვნები (ცხრილი №2.1).

ცხრილი 2.1

მიღების წელი	კანონის დასახელება	სარეგისტრაციო კოდი
1994	საქართველოს კანონი ნიადაგის დაცვის შესახებ	370010000.05.001.018678
1995	საქართველოს კონსტიტუცია	010010000.01.001.016012
1996	საქართველოს კანონი გარემოს დაცვის შესახებ	360000000.05.001.018613
1997	საქართველოს კანონი ცხოველთა სამყაროს შესახებ	410000000.05.001.018606

1997	საქართველოს კანონი წყლის შესახებ	400000000.05.001.018653
1999	საქართველოს კანონი ატმოსფერული ჰაერის დაცვის შესახებ	420000000.05.001.018620
1999	საქართველოს ტყის კოდექსი	390000000.05.001.018603
1999	საქართველოს კანონი საშიში ნივთიერებებით გამოწვეული ზიანის ანაზღაურების შესახებ	040160050.05.001.018679
2003	საქართველოს წითელი ნუსხის და წითელი წიგნის შესახებ	360060000.05.001.018650
2003	საქართველოს კანონი ნიადაგების კონსერვაციისა და ნაყოფიერების აღდგენა-გაუმჯობესების შესახებ	370010000.05.001.018641
2005	საქართველოს კანონი ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ	300310000.05.001.018748
2014	საქართველოს კანონი სამოქალაქო უსაფრთხოების შესახებ	130000000.05.001.01860
2007	საქართველოს კანონი საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ	470000000.05.001.018607
2014	ნარჩენების მართვის კოდექსი	360160000.05.001.018604
2017	გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი	360160000.05.001.018605

2.2 საქართველოს გარემოსდაცვითი სტანდარტები

წინამდებარე გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის დამუშავების პროცესში გარემო ობიექტების (ნიადაგი, წყალი, ჰაერი) ხარისხის შეფასებისათვის გამოყენებული იქნა შემდეგი გარემოსდაცვითი სტანდარტები

ცხრილი №2.2

მიღების თარიღი	ნორმატიული დოკუმენტის დასახელება	სარეგისტრაციო კოდი
31/12/2013	ტექნიკური რეგლამენტი - „დაბინძურების სტაციონარული წყაროებიდან ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვევების ფაქტობრივი რაოდენობის განსაზღვრის ინსტრუმენტული მეთოდის, დაბინძურების სტაციონარული წყაროებიდან ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვევების ფაქტობრივი რაოდენობის დამდგენი სპეციალური გამზომ-საკონტროლო აპარატურის სტანდარტული ჩამონათვალისა და დაბინძურების სტაციონარული წყაროებიდან ტექნოლოგიური პროცესების მიხედვით ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვევების ფაქტობრივი რაოდენობის საანგარიშო მეთოდისა“, დამტკიცებულია საქართველოს მთავრობის №435 დადგენილებით	300160070.10.003.017660

31/12/2013	ტექნიკური რეგლამენტი - „ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის ნორმების გაანგარიშების მეთოდის“, დამტკიცებულია საქართველოს მთავრობის №408 დადგენილებით.	300160070.10.003.017622
3/1/2014	ტექნიკური რეგლამენტი - „აირმტვერდამჭერი მოწყობილობის ექსპლუატაციის შესახებ“ დამტკიცებულია საქართველოს მთავრობის №21 დადგენილებით.	300160070.10.003.017590
2014	ტექნიკური რეგლამენტი - „ზედაპირული წყლის ობიექტებში ჩამდინარე წყლებთან ერთად ჩაშვებულ დამაბინძურებელ ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები ჩაშვების (ზღჩ) ნორმების გაანგარიშების შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“, დამტკიცებულია საქართველოს მთავრობის №414 დადგენილებით.	300160070.10.003.017621
31/12/2013	ტექნიკური რეგლამენტი - „საქართველოს ზედაპირული წყლების დაბინძურებისაგან დაცვის შესახებ“, დამტკიცებულია საქართველოს მთავრობის №425 დადგენილებით.	300160070.10.003.017650
3/1/2014	ტექნიკური რეგლამენტი - „არახელსაყრელ მეტეოროლოგიურ პირობებში ატმოსფერული ჰაერის დაცვის შესახებ“, დამტკიცებულია საქართველოს მთავრობის №8 დადგენილებით.	300160070.10.003.017603
2014	გარემოსდაცვითი ტექნიკური რეგლამენტი - დამტკიცებული საქართველოს მთავრობის №17 დადგენილებით.	300160070.10.003.017608
2014	ტექნიკური რეგლამენტი - „საქართველოს ტერიტორიაზე რადიაციული უსაფრთხოების ნორმების შესახებ“, დამტკიცებულია საქართველოს მთავრობის №28 დადგენილებით.	300160070.10.003.017585
14/01/2014	ტექნიკური რეგლამენტის - „გარემოსთვის მიყენებული ზიანის განსაზღვრის (გამოანგარიშების) მეთოდის“, დამტკიცებულია საქართველოს მთავრობის №54 დადგენილებით.	300160070.10.003.017673
31/12/2013	ტექნიკური რეგლამენტი - „კარიერების უსაფრთხოების შესახებ“, დამტკიცებულია საქართველოს მთავრობის №450 დადგენილებით.	300160070.10.003.017633
1/12/2013	ტექნიკური რეგლამენტი - „ნიადაგის ნაყოფიერი ფენის მოხსნის, შენახვის, გამოყენებისა და რეკულტივაციის შესახებ“, დამტკიცებულია საქართველოს მთავრობის №424 დადგენილებით.	300160070.10.003.017647

15/01/2014	ტექნიკური რეგლამენტი - სასმელი წყლის შესახებ დამტკიცებულია საქართველოს მთავრობის №58 დადგენილებით.	300160070.10.003.017676
31/12/2013	ტექნიკური რეგლამენტი - „წყალდაცვითი ზოლის შესახებ“, დამტკიცებულია საქართველოს მთავრობის №440 დადგენილებით.	300160070.10.003.017640
4/8/2015	ტექნიკური რეგლამენტი - „კომპანიის ნარჩენების მართვის გეგმის განხილვისა და შეთანხმების წესი“. დამტკიცებულია საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის №211 ბრძანებით	360160000.22.023.016334
17/08/2015	ტექნიკური რეგლამენტი - „სახეობებისა და მახასიათებლების მიხედვით ნარჩენების ნუსხის განსაზღვრისა და კლასიფიკაციის შესახებ“. დამტკიცებულია საქართველოს მთავრობის N426 დადგენილებით.	300230000.10.003.018812
1/8/2016	საქართველოს მთავრობის 2015 წლის 11 აგვისტოს №422 დადგენილება „ნარჩენების აღრიცხვის წარმოების, ანგარიშგების განხორციელების ფორმისა და შინაარსის შესახებ“.	360100000.10.003.018808
17/09/2002	„ელექტროსტატიკური, სამრეწველო სინშირის ელექტრული და სხვადასხვა სინშირის ელექტრომაგნიტური ველების ზემოქმედების ზონაში მომუშავე მომსახურე პერსონალის შრომის პირობების სანიტარული წესებისა და ნორმების დამტკიცების შესახებ“	

2.3 საერთაშორისო ხელშეკრულებები

საქართველო მიერთებულია მრავალ საერთაშორისო კონვენციას და ხელშეკრულებას, რომელთაგან გარემოზე ზემოქმედების შეფასების პროცესში მნიშვნელოვანია შემდეგი:

- ბუნებისა და ბიომრავალფეროვნების დაცვა:
- კონვენცია ბიომრავალფეროვნების შესახებ, რიო დე ჟანეირო, 1992 წ;
- კონვენცია საერთაშორისო მნიშვნელობის ქარბტენიანი, განსაკუთრებით წყლის ფრინველთა საბინადროდ ვარგისი ტერიტორიების შესახებ, რამსარი 1971 წ;
- კონვენცია გადაშენების პირას მყოფი ველური ფაუნისა და ფლორის სახეობებით საერთაშორისო ვაჭრობის შესახებ (CITES), ვაშინგტონი, 1973 წ;
- ბონის კონვენცია ველური ცხოველების მიგრაციული სახეობების დაცვის შესახებ, 1983 წ.
- **კლიმატის ცვლილება:**
- გაეროს კლიმატის ცვლილების ჩარჩო კონვენცია, ნიუ-იორკი, 1994 წ;
- მონრეალის ოქმი ოზონის შრის დამზღველ ნივთიერებათა შესახებ, მონრეალი, 1987;
- ვენის კონვენცია ოზონის შრის დაცვის შესახებ, 1985 წ;
- კიოტოს ოქმი, კიოტო, 1997 წ;
- გაეროს კონვენცია გაუდაბნოების წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ, პარიზი 1994.

- **დაბინძურება და ეკოლოგიური საფრთხეები**
- ევროპის და ხმელთაშუა ზღვის ქვეყნების ხელშეკრულება მნიშვნელოვანი კატასტროფების შესახებ, 1987 წ.
- **კულტურული მემკვიდრეობა:**
- კონვენცია ევროპის კულტურული მემკვიდრეობის დაცვის შესახებ;
- კონვენცია ევროპის არქეოლოგიური მემკვიდრეობის დაცვის შესახებ
- **საჯარო ინფორმაცია**
- კონვენცია გარემოს დაცვით საკითხებთან დაკავშირებული ინფორმაციის ხელმისაწვდომობის, გადაწყვეტილებების მიღების პროცესში საზოგადოების მონაწილეობისა და ამ სფეროში მართლმსაჯულების საკითხებზე ხელმისაწვდომობის შესახებ (ორჰუსის კონვენცია, 1998 წ.).

3. საქმიანობის განხორციელების ტერიტორიის აღწერა-დახასიათება

3.1 საქმიანობის განხორციელების ადგილის საკადასტრო კოდები და GPS კოორდინატები

ფეროშენადნობების საწარმოს მოწყობა დაგეგმილია ქ. თერჯოლის ტერიტორიაზე შპს „დაგის“ საკუთრებაში არსებულ, არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მქონე მიწის ნაკვეთზე, რომლის საკადასტრო კოდი: 33.09.43.671. მიწის ნაკვეთის საერთო ფართობი 10 553 კვ.მ.

აღსანიშნავია, რომ სამინისტროში წარდგენილი სკოპინგის ანგარიშში საქმიანობის განხორციელების ტერიტორიად მითითებული იყო საკადასტრო კოდი: 33.09.43.468. საქმიანობის განხორციელების ტერიტორია უცვლელია, თუმცა, შპს „დაგი“- მ მის საკუთრებაში არსებული 3 მიწის ნაკვეთი საკადასტრო კოდებით: 33.09.43.622; 33.09.43.550 და 33.09.43.468 გააერთიანა და აღნიშნული მიწის ნაკვეთები ამჟამად წარმოდგენილია 1 საკადასტრო კოდით, კერძოდ: 33.09.43.671.

ამასთან, მიწის ნაკვეთზე, რომლის საკადასტრო კოდი იყო 33.09.43.550, კომპანია გეგმავს ასფალტის საწარმოს მოწყობას, რომელზედაც საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2021 წლის 14 ივნისის #2-897 ბრძანებით გაცემულია გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება.

აქვე აღსანიშნავია, რომ დაგეგმილი ფეროშენადნობების საწარმო და ასფალტის საწარმო ერთმანეთთან არც ტექნოლოგიურად და არც ფუნქციურად დაკავშირებული არ არის. ორივე საწარმო იქნება სრულიად დამოუკიდებელი ერთმანეთისგან. რაც შეეხება კუმულაციური ზემოქმედების საკითხს, აღნიშნული გათვალისწინებულია წინამდებარე გზშ-ის ანგარიშის შესაბამის თავში და ასევე ზდგ ანგარიშში.

როგორც უკვე აღინიშნა, საპროექტო ტერიტორიაზე საწარმოს და მისი ინფრასტრუქტურული ობიექტების განთავსების GPS კოორდინატები დარჩა უცვლელი და წარმოდგენილია შემდეგი სახით:

#	X	Y
1	328997.29	4669385.00
2	329066.50	4669467.51
3	329085.13	4669449.38
4	329084.70	4669431.50
5	329023.79	4669360.96

საწარმოსთვის განკუთვნილი ტერიტორიის საზღვრიდან დასავლეთით, უახლოესი საცხოვრებელი სახლი, რომელიც მდებარეობს სოფ. მეორე სვირში, სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მქონე მიწის ნაკვეთზე (ს/კ 32.02.31.117), წარმოადგენს ნიკა ქოჩიაშვილის საკუთრებას და საპროექტო ტერიტორიიდან დაშორებულია 1450 მეტრით.


ხოლო, საპროექტო ტერიტორიის საზღვრიდან აღმოსავლეთით, უახლოესი საცხოვრებელი სახლი, რომელიც მდებარეობს ქ. თერჯოლაში, იაშვილის ქუჩაზე, სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მქონე მიწის ნაკვეთზე (ს/კ 33.09.42.133), წარმოადგენს გიორგი და მარიამ გაბეხაძეების საკუთრებას და საპროექტო ტერიტორიიდან დაშორებულია 1950 მეტრით.

რაც შეეხება ზედაპირული წყლის ობიექტების დაშორებას, საპროექტო ტერიტორიიდან, მდ. ყვირილა დაშორებულია 500 მეტრით, ხოლო მდ. ჩოლაბური 310 მეტრი მანძილით.


ამასთან, თბილისი-სენაკი-ლესელიძის საავტომობილო მაგისტრალი საპროექტო ტერიტორიიდან დაშორებულია 1კმ მანძილით.

3.2 ინფორმაცია საპროექტო ტერიტორიის მოსაზღვრე ტერიტორიების, ასევე მიმდებარედ მოქმედი-საპროექტო საწარმოო ობიექტების (საწარმოდან 500მ რადიუსში) და მათი ფუნქციური დატვირთვის შესახებ (მანძილების მითითებით)

საპროექტო ტერიტორიიდან 500 მეტრიან რადიუსში საცხოვრებელი სახლები განთავსებული არ არის. ამასთან, საწარმოს მიმდებარე ტერიტორიის 500 მეტრიანი რადიუსი წარმოადგენილია საწარმოო ზონის სახით და განთავსებულია სხვადასხვა დანიშნულების საწარმოები. საპროექტო ტერიტორიის საკადასტრო კოდის ფარგლებში, საწარმოო შენობიდან დაახლოებით 40 მეტრის დაშორებით დაგეგმილია შპს „დაგი“-ს ცემენტის საწარმოს მოწყობა. საპროექტო ტერიტორიის ჩრდილოეთის მხრიდან 66 მეტრში გადის რკინიგზის ჩიხი. ხოლო, 76 მეტრში მდებარეობს შპს „ჩოლაბური“-ს კუთვნილის ტერიტორია (ს/კ 33.09.43.022), რომელიც იჯარით აქვს აღებული შპს „მარინი“-ს, რომელსაც მოწყობილი აქვს ასფალტის საწარმო. ამასთან, საპროექტო ტერიტორიიდან 120 მეტრში განთავსებულია შპს „ბორანი“-ს საწარმოო ტერიტორია, სადაც მოწყობილია ასფალტის და სასარგებლო წიაღისეულის გადამამუშავებელი საწარმოები (ს/კ 33.09.43.252). ასევე, საპროექტო ტერიტორიის საზღვრიდან 160 მეტრში მდებარეობს შპს „ჩოლაბურის“ საწარმოო ტერიტორია (ს/კ 33.09.43.544). საპროექტო ტერიტორიის საზღვრიდან 360 მეტრში მდებარეობს შპს „იმერეთის ქარის ელექტროსადგურის“ საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მქონე მიწის ნაკვეთი, სადაც განთავსებულია მხოლოდ სასაწყობე ნაგებობა. ამასთან საპროექტო ტერიტორიას ესაზღვრება სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მქონე მიწის ნაკვეთები.



სურ. 3.2.1 - საპროექტო ტერიტორიის სიტუაციური რუკა



სურ. 3.2.2 - საპროექტო ტერიტორიის ფოტომასალა

4. საწარმოს ადგილმდებარეობის გარემოს არსებული მდგომარეობის ანალიზი

4.1 კლიმატი და მეტეოროლოგიური პირობები

თერჯოლის რაიონის უმეტეს ნაწილში ზღვის სუბტროპიკული საკმაოდ ნოტიო ჰავაა. იცის ზომიერად ცივი ზამთარი და შედარებით მშრალი, ცხელი ზაფხული, მის დაბლობ ნაწილში იცის რბილი შედარებით თბილი ზამთარი და ცხელი ზაფხული. იმერეთის დაბლობზე, ადგილი აქვს ზღვის სუბტროპიკული ნოტიო ტიპის ჰავას, მუსონური ქარებით, გამოსატული თბილი ზამთრით და ცხელი ზაფხულით. საშუალო წლიური ტემპერატურა დაბლობსა და ვაკეზე 13,9°C - დან 4,3°C - მდეა, ხოლო ყველაზე ცხელი თვის - აგვისტოსთვის 23,6°C - დან 23,9°C - მდეა, აბსოლუტური მინიმალური ტემპერატურა აღინიშნა (-20) °C, ხოლო აბსოლუტური მაქსიმუმი აღწევს 42°C - ს. უფრო ჩრდილოეთით, ოკრიბა - არგვეთის ქედის კალთებზე, საშუალო წლიური ტემპერატურა 10,5°C - დან 13,0°C - მდეა. ყველაზე ცივი თვის იანვრისთვის 2.0°C - დან 3,0°C - მდეა, ხოლო ყველაზე ცხელი თვის – აგვისტოსთვის 21,0 °C - დან 23,0°C - მდეა, აბსოლუტური მინიმალური ტემპერატურა აღინიშნა (-22) °C, ხოლო აბსოლუტური მაქსიმუმი აღწევს 40°C - ს.

ქვემოთ წარმოდგენილ ცხრილებში ნაჩვენებია საკვლევ რაიონისთვის დამახასიათებელი კლიმატური პირობები, (წყარო: სნწ „სამშენებლო კლიმატოლოგია“ (პნ 01. 05-08)).

ცხრილი N4.1.1 - სამშენებლო-კლიმატური რაიონების მახასიათებლები

პუნქტის დასახელება	კლიმატური რაიონები	კლიმატური ქვერაიონები	იანვრის საშუალო ტემპერატურა, °C	ზამთრის 3 თვის ქარის საშუალო სიჩქარე, მ/წ	ივლისის საშუალო ტემპერატურა, °C	ივლისის ფარდობითი ტენიანობა, %
თერჯოლა	III	IIIბ	+2-დან +6-მდე	+2-დან +6-მდე	+2-დან +6-მდე	+2-დან +6-მდე

ცხრილი N4.1.2 - ჰაერის ტემპერატურა

№	პუნქტების დასახელება	გარე ჰაერის ტემპერატურა, 0 C																			პერიოდი <80C საშუალო თვიური ტემპერატურით		საშუალო ტემპერატურა 13 საათზე	
		თვის საშუალო												წლის საშუალო	აბსოლუტური მინიმუმი	აბსოლუტური მაქსიმუმი	ყველაზე ცხელი თვის საშუალო მაქსიმუმი	ყველაზე ცივი ხუთდღიური საშუალო	ყველაზე ცივი დღის საშუალო	ყველაზე ცივი პერიოდის საშუალო				
		იანვარი	თებერვალი	მარტი	აპრილი	მაისი	ივნისი	ივლისი	აგვისტო	სექტემბერი	ოქტომბერი	ნოემბერი	დეკემბერი								ხანგრძლივობა დღეებში	საშუალო ტემპერატურა	ყველაზე ცივი თვისათვის	ყველაზე ცხელი თვისათვის
1	თერჯოლა	3,8	4,6	7,9	12,9	17,9	21,0	23,2	23,5	20,2	15,3	10,3	5,8	13,9	-20	40	30,0	-5	-7	3,5	109	5,2	7,1	27,3

1.

ცხრილი N4.1.3 - ჰაერის ტემპერატურის ამპლიტუდა

№	პუნქტების დასახელება	თვის საშუალო, 0 C												თვის მაქსიმალური, 0 C											
		იანვარი	თებერვალი	მარტი	აპრილი	მაისი	ივნისი	ივლისი	აგვისტო	სექტემბერი	ოქტომბერი	ნოემბერი	დეკემბერი	იანვარი	თებერვალი	მარტი	აპრილი	მაისი	ივნისი	ივლისი	აგვისტო	სექტემბერი	ოქტომბერი	ნოემბერი	დეკემბერი
1	თერჯოლა	8,7	8,9	10,4	11,9	12,6	10,9	11,0	11,5	12,0	12,0	10,0	8,7	19,1	19,3	20,8	22,3	23,1	21,3	21,4	21,9	22,4	22,5	20,4	19,3

ცხრილი N4.1.4 - ჰაერის ფარდობითი ტენიანობა

N	პუნქტების დასახელება	გარე ჰაერის ფარდობითი ტენიანობა, %														სამ. ფარდ. ტენიანობა 13 საათზე		ფარდ. ტენიანობის სამ. დღეღამური ამპლიტუდა	
		იანვარი	თებერვალი	მარტი	აპრილი	მაისი	ივნისი	ივლისი	აგვისტო	სექტემბერი	ოქტომბერი	ნოემბერი	დეკემბერი	წლის საშუალო	ყველაზე ცივი თვის	ყველაზე ცხელი თვის	ყველაზე ცივი თვის	ყველაზე ცხელი თვის	
1	თერჯოლა	75	75	72	68	70	71	73	72	75	76	73	73	73	60	50	20	35	

ცხრილი N4.1.5 - ნალექების რაოდენობა

N	პუნქტების დასახელება	ნალექების რაოდენობა წელიწადში, მმ	ნალექების დღეღამური მაქსიმუმი, მმ
1	თერჯოლა	1210	120

ცხრილი N4.1.6 - თოვლის საფარი

N	პუნქტების დასახელება	თოვლის საფარის წონა, კპა	თოვლის საფარის დღეთა რიცხვი	თოვლის საფარის წყალშემცველობა, მმ
1	თერჯოლა	0,50	29	-

ცხრილი N4.1.8 - ქარის მახასიათებლები

N	პუნქტების დასახელება	ქარის უდიდესი სიჩქარე შესაძლებელი 1,5,10,15,20 წელიწადში ერთხელ, მ/წმ					ქარის მიმართულების განმეორებადობა (%) იანვარი, ივლისი							ქარის საშუალო, უდიდესი და უმცირესი სიჩქარე, მ/წმ		ქარის მიმართულებისა და შტილის განმეორებადობა (%) წელიწადში											
		1	5	10	15	20	ჩ	ჩა	ა	სა	ს	სდ	დ	ჩდ	იანვარი	ივლისი	ჩ	ჩა	ა	სა	ს	სდ	დ	ჩდ	შტილი		
1	თერჯოლა	22	28	31	32	33	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-

ცხრილი N4.1.9 - გრუნტების სეზონური გაყინვის ნორმატიული სიღრმე, სმ

N	პუნქტების დასახელება	თიხოვანი და თიხნარი	წვრილი და მტვრისებრი ქვიშის ქვიშნარი	მსხვილი და საშ. სიმსხვილის ხრემისებური ქვიშის	მსხვილნატეხი
1	თერჯოლა	32	38	42	48

4.2 გეოლოგიური გარემოს აღწერა

4.2.1 რელიეფი (გეომორფოლოგია)

როგორც უკვე აღინიშნა, დაგეგმილი საქმიანობის განხორციელება გათვალისწინებულია ქ. თერჯოლის ტერიტორიაზე, კომპანიის საკუთრებაში არსებულ, არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მქონე მიწის ნაკვეთზე, რომლის საკადასტრო კოდია: 33.09.43.671.

თერჯოლის მუნიციპალიტეტი საქართველოს ადმინისტრაციულ - ტერიტორიული დარაიონებით, დასავლეთ საქართველოს რეგიონის იმერეთის მხარეს განეკუთვნება. მისი სამხრეთი ნაწილი უჭირავს იმერეთის დაბლობის აღმოსავლეთ მონაკვეთს, რომლის აბსოლუტური სიმაღლე 100 - 140 მ-ის ფარგლებში მერყეობს, ხოლო ტერიტორია განვრცობილია მდინარე ყვირილის გასწვრივ ზოლად, სადაც დაბლობის რელიეფი ვაკეა. რაიონის ტერიტორიის დაბლობ ნაწილს ჩრდილოეთით აკრავს სიმონეთის ტალღობრივი ვაკე, რომელიც იმერეთის მხარის ჩრდილო მთისწინეთს მიეკუთვნება. ეს ვაკე ვრცელდება ოკრიბა - არგვეთის ქედის სამხრეთი ძირიდან იმერეთის დაბლობის ჩრდილო კიდეზე, ზღვის დონიდან 110 - 120 მ-დან 250 - 300 მ-მდე. სიმონეთის ვაკე დანაწევრებულია მდინარე ყვირილას სისტემის მდინარეებისა და დელტების ჩრდილო - აღმოსავლეთიდან სამხრეთ - დასავლეთისაკენ მიმართული ხეობებით, რომელთა სიღრმე 80 - 100 მ-ს აღწევს. ვაკის დასავლეთ ნაწილში განვითარებულია რელიეფის კრისტული ფორმები: მღვიმეები, ძაბრები და მცირე დახშული ტაფობები. ვაკის დასავლეთ და აღმოსავლეთ ნაწილებს შორის აღმართულია ბროლისქედის სერი, რომელიც ჩრდილო - აღმოსავლეთიდან სამხრეთ - დასავლეთისაკენ არის მიმართული და გაჭრილია ვიწრო კანიონით. ვაკის სამხრეთით, შედარებით დაბალ ნაწილში გავრცელებულია ტერასები. რაიონის ჩრდილო, ამაღლებული ზოლი უკავია ოკრიბა - არგვეთის ქედს, რომელიც სიმონეთის ვაკეს გამოყოფს შიდა ოკრიბას დაბალმთიანეთისგან, ქედის დახრილი დამრეცი კალთა, რომელიც რაიონის ფარგლებში შედის, დანაწევრებულია მდინარეთა ხეობებით, ხოლო თხემი თანდათანობით მალდება დასავლეთიდან აღმოსავლეთისაკენ 400 - 1050 მ-ის ფარგლებში და დამახასიათებელია რელიეფის კარსტული ფორმები. თერჯოლის რაიონის დაბლობი აგებულია ახალგაზრდა ალუვიონით, რომელშიც გამომუშავებულია მდინარე ყვირილას განიერი აკუმულაციური ტერასები; გორაკ - ბორცვიანი ზონა აგებულია ოლიგოცენური და მარცხენარი ასაკის თიხებით, ქვიშა - ქვებით და მერგელებით, ზედაპირი დანაწევრებულია მდინარე ყვირილას შენაკადებით, ხოლო ფერდობები დამეწყრილია; პლატო ძირითადად აგებულია კამბრიუმამდელი პალეოზური ასაკის ფიქლებით, გნასიებითა და გრანიტოიდებით. პლატოს სამხრეთ ნაწილში გაშიშვლებულია ლიასური ვულკანოგენური და დანალექი ქანები, ბაიოსური პირფიტები, ტუფები და ტუფ - ბრექჩიები.

4.2.2 გეოლოგიური აგებულება

საკვლევ ტერიტორია საქართველოს გეოლოგიური რუკის მიხედვით მდებარეობს ჩხარი-აჯამეთის სინკლიორიუმის ჩრდილო-დასავლეთ დაბოლოებაზე. რაიონის გეოლოგიურ აგებულებაში მონაწილეობას იღებენ ზედაცარცული, პალეოგენური, ნეოგენური და მეოთხეული ნალექები, რომელთა აღწერა-დახასიათება მოცემულია ქვემოთ.

ზედცარცული ნალექები განვითარებული არის რაიონის ჩრდილოეთით და ჩრდილო-დასავლეთ ნაწილებში ჩხარი-აჯამეთის სინკლინის პერიფერიებზე. ისინი ძირითადად წარმოდგენილი არიან საშუალო და სქელშრეებრივი ძირითადად თეთრი მოყავისფრო, ზოგჯერ კრისტალური კირქვებით. რეგიონში დღეისათვის ცნობილია ყველა ზედცარცული სართული დაწყებული სენომანურიდან დამტავრებული მასტრისტულის ჩათვლით. ზედცარცული ნალექების გამოსავლები უბნიდან საკმაოდ დიდი მანძილით არიან დამორებული და ამიტომ მათი დეტალური დახასიათება არ არის საჭირო. ნალექების საერთო სიმძლავრე მეტია 500 მეტრზე.

პალეოგენური სისტემა, დანიური სართული – აღნიშნული ნალექები სრულიად თანხმობით აგრძელებენ ქვე მდებარე ზედცარცულ ნალექებს, ამიტომ საზღვრის გავლება მათ შორის ძალზე გაძნელებულია. ნალექების კარგი გამოსავლები ცნობილია მდ. ჭიშურას ხეობაში. ისინი წარმოდგენილი არიან თეთრი ფერის მასიური და სქელშრეებრივი კრისტალური კირქვებით. ნალექების სიმძლავრე აღწევს 50-60 მ.

პალეოცენ-ქვედაოცენური ნალექები – ეს ნალექები სრული თანხმობით აგრძელებენ დანიური სართულის კირქვებს. მათი კარგი გამოსავლები ცნობილია მდ. ჭიშურას ხეობაში. აღნიშნული ნალექები წარმოდგენილი არიან საშუალო შრეებრივი თეთრი, ზოგჯერ სუსტად მოყვითალო ან ჟანგის ფერი კრისტალური კირქვებით. მათი ასაკი ფაუნისტურადაა დადგენილი. ნალექების საერთო სიმძლავრე 35-40 მ.

შუა ეოცენური ნალექები – აღნიშნული ნალექები კარგად არიან გამიშვლებული მდ. ჭიშურას მარცხენა ნაპირზე სამანქანო გზის გასწვრივ ხიდთან. ისინი წარმოდგენილი არიან კარბონატული, ძირითადად ნაცრისფერი და მოლურჯო ნაცრისფერი ქვიშაქვებით, თიხიან-ქვიშიანი კირქვებით, ქვიშაქვებით და ქვიშიანი თიხებით. ნალექების სიმძლავრე აღწევს 10-12 მ.

ზედა ეოცენი ნალექები – აღნიშნული ნალექები სრული თანხმობით აგრძელებენ ქვემდებარე შუა ეოცენურ წარმონაქმნებს. ისინი ძირითადად წარმოდგენილი არიან თხელშრეებრივი (1-2 სმ) მუქი ყავისფერი და მოლურჯო ნაცრისფერი თიხებით. ნალექების სიმძლავრე აღწევს 20-25 მ.

ოლიგოცენ-ქვედა მიოცენი – აღნიშნული ნალექები რაიონში ორი ფაციესითაა წარმოდგენილი – ქვედა მაიკოპის ტიპის თიხებით, ხოლო ზედა - ქალცედონებით კაჟებით. წყების ქვედა ნაწილი მაიკოპის ტიპის თიხები თანხმობით აგრძელებენ ზედა ეოცენურ ნალექებს. ისინი წარმოდგენილი არიან მუქი ყავისფერი თხელშრეებრივი თიხებით, რომელშიც გამოერევა თველშრეებრივი (10-15 სმ) წვრილმარცლოვანი მოყავისფრო ნაცრისფერი ქვიშაქვები. გამოერევა მარგანცის თხელი შუა შრეები. მაიკოპის ტიპის თიხების სიმძლავრე აღწევს 15-20მ.

აღწერილ თიხებს თავზე ადებს თხელშრეებრივი (10-15 სმ) მოვარდისფრო-ყავისფერი ძალზე მკვრივი ქალცედონის ან კაჟისშრეები, რომლებიც ჩაქუჩის დარტყმისას ნაპერწკლებს აფრქვევენ. კაჟის შრის ზედაპირი უსწორმასწოროა და შევსებულია მოყავისფრო თიხებით. აღნიშნული ფაციესი-კაჟების ზედა ნაწილი ასაკობრივად მოიცავს ქვედა მიოცენურ ნალექებსაც. მათი გაყოფა დღეისათვის შესაფერისი ფაუნის არსებობის გამო შეუძლებელია. აღსანიშნავია რომ, აღმოსავლეთით სოფ. ძეგვისაკენ კაჟები აღარ გვხვდება. ისინუი ფაციესურად იცვლებიან მაიკოპის ტიპის თიხებით. კაჟიანი ნალექების სიმძლავრე აღწევს 25 მ.

შუა და ზედა მიოცენური ნალექები – ეს ნალექები, ისე როგორც ზემოთაღნიშნული წარმონაქმნები გავრცელებულნი არიან ჩხარი-აჯამეთის სინკლინის პერიფერიებზე და წარმოდგენილი არიან სქელი და

საშუალო შრეებრივი კირქვებით, ქვიშიანი კირქვებით და მენგელებით. კირქვები საკმაოდ მკვრივია, ზოგჯერ კრისტალური. კირქვებში განვითარებულია ნაპრალები და მცირე ზომის კარსტული სიცარიეელები. ნალექები კარგიან არიან გამიშვლებული მდ. ჭიშურას ხეობაში სამანქანო გზის გასწვრივ, სადაც ნალექები განლაგებულია შემდეგი თანმიმდევრობით:

1. კირქვები მოთეთრო ნაცრისფერი, სქელი და საშუალო შრეებრივი. კირქვები ნაპრალიანია და გვხვდება მცირე ზომის კარსტული სიცარიეელები - 20 მ;
2. თხელშრეებრივი კირქვების და მერგელების მორიგობა - 10მ;
3. საშუალო შრეებრივი დანაპრალიანებული კირქვები მერგელების თხელი შუა შრეებით - 3 მ;
4. ქვიშიანი მერგელები და კირქვები - 6 მ;
5. საშუალო და სქელშრეებრივი ნაპრალიანი კირქვები. კირქვები ქვიშიანია, იშვიათად გვხვდება კარბონატული ქვიშაქვის შუა შრეები - 17-18 მ.

ნეოგენური სისტემა – აღნიშნული ნალექები დიდი გავრცელებით სარგებლობენ ჩხარი–აჯამეთის სინკლინის ფარგლებში, კერძოდ ამ ნალექებითაა აგებული აღნიშნული სინკლინური სტრუქტურის გული, სადაც ცნობილია სარმარტული სართულის სამივე–ქვედა, შუა და ზედა ქვესართულები. სარმარტული სართული აღნიშნული ნაოჭის ზოლში ძირითადად წარმოდგენილია თხელი და საშუალო შრეებრივ–ახალ მონატეხზე ლურჯი, ხოლო გამოფიტულ ზედაპირზე მოლურჯო ნაცრისფერი თიხებით და მერგელებით; იშვიათად გამოერევა თხელი ჭვრილმარცვლოვანი ნაცრისფერი ქვიშაქვიშის შუა შრეები. ნალექების საერთო სიძლიავრე 300 მეტრზე მეტია.

მეოთხეული ნალექები – მეოთხეული წარმონაქმნები განვითარებულია მდ. ყვირილას ხეობაში ალვიური, ხოლო ფერდობებზე დელვიური ნალექების სახით. ალვიური ნალექები ძირითადად წარმოდგენილი არიან სხვადასხვა დიამეტრის (1-15 სმ) კარგად დამრგვალებული კენჭებით, რომელთა შორის სიცარიეელები შევსებულია ქვიშით. მდ. ყვირილას ხეობაში, რაიონის ფარგლებში, განვითარებულია ქალის და მცირე სიძლიავრის ქალის ზედა ტერასები.

ალვიური ნალექების საერთო სიძლიავრე მკვლევარების მონაცემებით ძალზე ცვალებადია და შეადგენს 8-10 მ.


4.2.3 ტექტონიკა და სეისმურობა

საპროექტო ტერიტორია ტექტონიკური თვალსაზრისით მოქცეულია საქართველოს ბელტის დასავლეთი დაძირვის ზონის კოლხეთისა და ქუთაისის ქვეზონებში და ნაწილობრივ ძირულის აზელების ზონაში. კოლხეთის ქვეზონა მოიცავს დასავლეთი დაძირვის ზონის ყველაზე უდაბლეს ნაწილს და თანამედროვე ტექტონიკის თვალსაზრისით წარმოდგენილია კოლხეთის მთათაშორისი ბარით (ჩანალუნი). საკვლევ ტერიტორიაზე კოლხეთის დაბლობი აგებულია მძლავრი მეოთხეული ნალექებით - უმეტესად ალვიური (მდინარეული) წარმონაქმნებით. ჩანალუნის ბორტებზე შიშვლდებიან პალეოგენ - ნეოგენური ასაკის ზღვიური მოლასები. ისინი ძლიერ არიან დანაწევრებულნი, დანაოჭების ხარისხი რთულია. ეს ნაოჭები

როგორც წესი ასიმეტრიულია, ხშირად გადაყირავებული. ამიტომ შრის წოლის ელემენტები მცირე მანძილზეც კი მკვეთრად იცვლება. ზემოთ თქმული განსაკუთრებით დამახასიათებელია მთისწინეთის სამხრეთი ზოლისათვის და კოლხეთის დაბლობის აღმოსავლეთი კიდისათვის. მოლასებს უმეტესად გააჩნიათ მონოკლინური წოლა, ქანების შრეები დახრილია სამხრეთისაკენ და გართულებულია საფარი ნაოჭებით.

ტექტონიკური დარაიონების მიხედვით განსახილველი უბანი უკავშირდება ამიერკავკასიის მთათაშუა არის დასავლეთი მოლასური დაძირვის ზონის აბაშის ბლოკის და ცენტრალური აზუვების ზონის, ოკრიბა ხრეთის ბლოკის სასაზღვრო ზონას.

საპროექტო ტერიტორია საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის 2009 წლის 7 ოქტომბრის #1-1/2284 ბრძანებით დამტკიცებული ნორმატიული აქტის, სამშენებლო ნორმების და წესების - „სეისმომდეგი მშენებლობა“ (პნ 01.01 - 09), შესაბამისად მდებარეობს 8 ბალიანი სეისმურობის ზონაში, რომლის უგანზომილებო კოეფიციენტი A, არის 0,13.



სურ. 4.2.3 - სეისმური საშიშროების რუკა

4.2.4 ჰიდროგეოლოგია

საქართველოს ტერიტორიის ჰიდროგეოლოგიური დარაიონების მიხედვით, საკვლევი ტერიტორია შედის საქართველოს ბელტის არტეზიული აუზების ოლქის, წყალტუბოს ფოროვანი, ნაპრალური, ნაპრალურ-კარსტული და კარსტული წყლების არტეზიული აუზის რაიონში. საქართველოს ბელტის არტეზიული აუზების ოლქის დამახასიათებელი ჰიდროგეოლოგიური ნიშანია შდარებით მცირე ზომის მრავალრიცხოვანი არტეზიული აუზების არსებობა. რაც შეეხება არტეზიული აუზს, იგი მოიცავს ქვემო იმერეთის დაბლობის უმეტესობასა და საგურალის ქედს. ამ აუზშიც, ისევე როგორც მეზობელ რაიონებში, კარგად იკვეთება ძირითადი არტეზიული ჰორიზონტები: ქვედა ცარცული კირქვები, ზედა ცარცული პალეოგენის კირქვები და მეოთხეულის ქვიშნარ-კენჭნარი. აღნიშნულ რაიონში, ისე როგორც საქართველოს სხვა რეგიონებში ჰიდროგეოლოგიური პირობების გათვალისწინებით კარგად გამოიყოფა წყალშემცავი და წყალუპოვარი კომპლექსები. ჰიდროგეოლოგიური პირობების გათვალისწინებით რაიონში განვითარებულ

ნეოგენურ და მეოთხეულ ნალექებში შეიძლება გამოიყოს ორი წყალშემცავი კომპლექსი - კერძოდ: 1. შუა და ზედა მიოცენური კარბინატული ნალექების წყალშემცავი კომპლექსი; 24 2. მდ. ყვირილას ხეობაში განვითარებული მეოთხეული - ალევური ნალექების წყალშემცავი კომპლექსი. საკვლევ ტერიტორიაზე წარმოდგენილია მხოლოდ მეოთხეული ქვიშა-კენჭნარის ჰორიზონტი, რომელიც გაჯერებულია ფიროვანი გრუნტის წყლებით. რაოდენობრივი თვალსაზრისით გამოსავლები მნიშვნელოვნად განსხვავდება ერთმანეთისაგან. წყლები დაბალმინერალიზებულია, ჰიდროკარბონატულ-კალციუმიანი კარგი სასმელი თვისებებით. ერთეული ჭაბურღილებით გამოვლენილი იურული ნალექები (ბაიოსის პორფირიტული წყება და ბათური ქვიშაქვები) შეიცავს მაღალმინერალიზებულ ქლორიდულ ნატრიუმთან ან კალციუმთან წყლებს. რაიონის მიწისქვეშა წყლების ბუნებრივი რესურსები 15 მ3 /წმ-ის ტოლია. გრუნტის წყლის ჰორიზონტი ზედაპირიდან 4 მ-ში ფიქსირდება.

4.2.5 საპროექტო ტერიტორიის საინჟინრო-გეოლოგიური კვლევა

შპს „დაგი“-ს დაკვეთით, შპს „გეოსერვისის“ მიერ, 2022 წლის სექტემბერში, თერჯოლის მუნიციპალიტეტში, მდ. ჩოლაბურის მიმდებარე ტერიტორიაზე, საწარმოო და საოფისე შენობების მშენებლობისთვის, ჩატარდა საინჟინრო გეოლოგიური კვლევა.

კვლევის მიზანს წარმოადგენდა სამშენებლო უბნების საინჟინრო გეოლოგიური პირობების შესწავლა და შენობების დაფუძნების პირობების გადაწყვეტა.

მოქმედი ნორმატიული დოკუმენტების (სნ და წ 1.02.07-87, პნ 02.01-08, პნ 01.01-09) მოთხოვნების საფუძველზე, სამშენებლოდ გამოყოფილ უბნებზე გაიბურდა 8 ჭაბურღილი: ##1÷8, თითოეული სიღრმით 11,0 მ. მთლიანი მოცულობით 88 გრძ. მეტრი. ##1, 2 და 3 ჭაბურღილები გაყვანილი იქნა საოფისე შენობის უბანზე, ხოლო დანარჩენი ჭაბურღილები ##4-8, საწარმოო დანიშნულების შენობის უბანზე. ბურღვა ჩატარდა მექანიკური-სვეტური მეთოდით, საბურღი დაზგით „უგბ-1ვს“, 160 მმ-მდე დიამეტრით, მშრალი წესით, შემოკლებული რეისებით, კერნის უწყვეტი ამოდებით.

ჭაბურღილებიდან, უბნებზე გავრცელებული გრუნტების ლაბორატორიული შესწავლის მიზნით, აღებული იქნა დაურღვევლი და დარღვეული სტრუქტურის 12 ნიმუში, ხოლო გრუნტის წყლის ქიმიური ანალიზის და ბეტონის კონსტრუქციების მიმართ აგრესიული თვისებების დასადგენად აღებული იქნა 3 სინჯი.

გრუნტის ნიმუშების და წყლის სინჯების შესწავლა ჩატარდა შპს „ახალი საქალაქმშენპროექტი“-ს გეოტექნიკურ ლაბორატორიაში. სავლელ სამუშაოების დამთავრების შემდეგ გამონამუშევრები შეივსო ამოღებული გრუნტებით.

ტოპოსაფუძვლად გამოყენებულია ტოპოგეგმა 1:500 მასშტაბში, რომელზეც დატანილია დასაპროექტებელი შენობების კონტურები და ჭაბურღილების განლაგების ადგილები, რომელთა გეგმურ-სიმაღლეთი მიბმა შესრულდა ამ ტოპოგეგმის მიხედვით.

გეომორფოლოგიურად სამშენებლო ტერიტორია განლაგებულია მდ. ჩოლაბურის მარჯვენა ნაპირის ტერასაზე და ხასიათდება ძირითადად სწორი რელიეფით.

ჩატარებული კვლევის მონაცემების საფუძველზე, შედგენილია ჭაბურღილების სვეტების და სამშენებლო უბნების გეოლოგიურ-ლითოლოგიური ჭრილები.

როგორც წარმოდგენილი ჭრილებიდან ჩანს, სამშენებლო უბნებზე მიწის ზედაპირიდან 0,20 მ-ის სიღრმემდე გავრცელებულია ნიადაგის ფენა ბალახეული მცენარის ფესვებით და კენჭების ჩანართებით (ფენა 1). ნიადაგის ფენის ქვეშ, საოფისე შენობის უბანზე 5,10 - 5,20 მ-მდე, ხოლო საწარმოო დანიშნულების შენობის უბანზე 4,00 - 4,20 მ-მდე გავრცელებულია დელუვიური (დQIV) გენეზისის თიხოვანი გრუნტი, წარმოდგენილი უმთავრესად მყარი კონსისტენციის, კენჭების იშვიათი ჩანართებიანი, ღია ყავისფერი თიხნარებით (ფენა 2). თიხნარების ქვეშ, ორივე უბანზე, კვლევის სიღრმემდე (11,0) მ გავრცელებულია ალუვიური (QIV) გენეზისის მსხვილნატეხოვანი გრუნტი, წარმოდგენილი ქვიშის 30%-მდე შემავსებლიანი კენჭნაროვანი გრუნტი (ფენა 3).

ჰიდროგეოლოგიური პირობების მხრივ, უბნები ხასიათდება გრუნტის წყლის გავრცელებით, რომელიც ორივე უბანზე გამოვლინდა 6,70 მ-ის სიღრმეზე მიწის ზედაპირიდან და რამოდენიმე ხნის შემდეგ წყლის დონემ ამოიწია და დამყარდა 6,30 მ-ის სიღრმეზე.

გენეტიკურად წყალი წარმოადგენს ატმოსფერული ნალექების შედეგად ინფილტრირებულ წყალს. წყლის მაქსიმალურ დონედ სავარაუდოდ შეიძლება მიღებული იქნეს +0,5 მ დამყარებულ დონესთან შედარებით. როგორც აღინიშნა ზემოთ, უბნებზე გავრცელებული გრუნტების და გრუნტის წყლის ლაბორატორიული შესწავლის მიზნით, ჭაბურღილებიდან აღებული იყო დაურღვეველი და დარღვეული სტრუქტურის 12 ნიმუში და გრუნტის წყლის 3 სინჯი.

დაურღვეველი სტრუქტურის 6 ნიმუში აღებულია თიხოვანი გრუნტიდან (ფენა 2), ხოლო დარღვეული სტრუქტურის 6 ნიმუში კერნის სრული გამოსავლის მიხედვით აღებულია მსხვილნატეხოვანი გრუნტიდან (ფენა 3).

თიხოვან გრუნტზე ლაბორატორიაში შესწავლილი იქნა ფიზიკური მახასიათებლების სრული კომპლექსი, ხოლო მსხვილნატეხოვანზე განისაზღვრა გრანულომეტრიული შემადგენლობა, შემავსებლის სახეობა და პროცენტული შემცველობა.

ქვემოთ, ცხრილში მოცემულია თიხოვანი გრუნტის (ფენა 2) ფიზიკური მახასიათებლების ცვალებადობის დიაპაზონი და გამოთვლილია მათი საშუალო (ნორმატიული) მნიშვნელობები.

№	შინიკური მახასიათებლები	ბანს.	მთავრულ მნიშვნელობათა დიაპაზონი	საშუალო (ნორმატიული) მნიშვნელობა	
1	პლასტიკურობის რიცხვი	I_p	-	0,13–0,17	0,16
2	ტენიანობა	W	%	14,4–17,9	16,2
3	სიმკვრივე	გრუნტის ρ	გ/სმ ³	1,85–1,90	1,88
		შშრალი გრუნტის ρ_d		1,60–1,65	1,62
		გრუნტის ნაწილაკების ρ_s		2,69–2,70	2,70
4	ფორიანობა	n	%	38,8–40,6	39,9
5	ფორიანობის კოეფიციენტი	e	-	0,635–0,684	0,664
6	დენადობის მაჩვენებელი	I_L	-	-0,28 ÷ -0,01	-0,12
7	ტენიანობის ხარისხი	S_r	-	0,58–0,71	0,66

როგორც წარმოდგენილი ცხრილიდან ჩანს, გამოკვლეული გრუნტი მიეკუთვნება ძირითადად მყარი კონსისტენციის ($IL = -0,12$) არასრულად წყალგაჯერებულ ($w_r = 0,660,80$), თიხნარს ($I_p = 0,16$). ცხრილში მოცემული საშუალო სიდიდეები, საჭიროებისას, გამოიყენება როგორც ნორმატიული - საანგარიშო.

როგორც მსხვილნატეხოვანი გრუნტის გრანულომეტრიული ანალიზის შედეგებიდან ჩანს, გამოკვლეული გრუნტი მიეკუთვნება 30%-მდე ქვიშის შემავსებლიან კენჭნაროვან გრუნტს (ფენა 3).

გრუნტის წყლის ქიმიური ანალიზის შედეგების მიხედვით გამოკვლეული წყალი-გარემო არ ხასიათდება არცერთი სახის აგრესიულობით, ნებისმიერი მარკის ცემენტებზე დამზადებული ბეტონის კონსტრუქციების მიმართ.

დასკვნები და რეკომენდაციები:

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შეიძლება გაკეთდეს შემდეგი დასკვნები:

1. საინჟინრო გეოლოგიური თვალსაზრისით, სამშენებლო ტერიტორიაზე არახელსაყრელი ფიზიკურ-გეოლოგიური მოვლენები (მეწყერი, კარსტი, ჯდენები და სხვა) არ არის გავრცელებული. საინჟინრო გეოლოგიური პირობების სირთულის მიხედვით, უბანი სნ და წ 1.02.07-87-ის მე-10 სავალდებულო დანართის თანახმად, მიეკუთვნება I კატეგორიას (მარტივი);
2. ტერიტორიაზე გავრცელებული გრუნტების ფენებში, სამშენებლო თვისებების მიხედვით, ნიადაგის ფენის (ფენა 1) ჩათვლელად გამოიყოფა ორი საინჟინრო გეოლოგიური ელემენტი სგე: I სგე - თიხნარი (ფენა 2); II სგე - კენჭნაროვანი გრუნტი (ფენა 3);
3. ტერიტორიის გეოლოგიური აგებულებიდან გამომდინარე შენობების დაფუძნებისთვის შეიძლება გამოყენებული იქნეს ორივე სგე-ის გრუნტი. საძირკვლის ტიპი შეიძლება მიღებული იქნეს ჩვეულებრივი ნებისმიერი - ლენტური, ცალკემდგომი, ფილა;
4. საძირკვლის ანგარიშებისთვის, ქვემოთ მოცემულ ცხრილში მოცემულია გამოყოფილი ორივე სგე-ის გრუნტის (ფენები 2 და 3) ფიზიკურ-მექანიკური მახასიათებლების მნიშვნელობები, მიღებული ლაბორატორიული გამოკვლევების, ნორმატიული დოკუმენტების, საფონდო მასალების და საცნობარო ლიტერატურის გამოყენების საფუძველზე.

№ №	ბრუნტების მახასიათებელი	საანგარიშო მნიშვნელობები	
		სბმ (შპნა 2)	სბმ (შპნა 3)
1	სიმკვრივე, ρ გდ/სმ ³	1,88	1,95
2	ხვედრითი შეჭიდულობა, c კპა (კგდ/სმ ²)	35 (0,35)	1,0 (0,01)
3	შინაგანი ხახუნის კუთხე, φ°	24	40
4	დეფორმაციის მოდული, E მპა (კგდ/სმ ²)	24 (240)	40 (400)
5	პირობითი საანგარიშო წინააღობა, R_0 კპა (კგდ/სმ ²)	270 (2,7)	450 (4,5)
6	საგების კოეფიციენტი, k კგ/სმ ³	3,0	6,0
7	პუასონის კოეფიციენტი, μ	0,35	0,27

შენიშვნა: ცხრილში მოცემული მსხვილნატეხიანი გრუნტის სიმტკიცის და დეფორმაციული მახასიათებლების მნიშვნელობები მიღებულია პნ 02.01-08-ის დანართი 2-ის, მუხლი 2-ის ცხრილი 1-ის ა) პუნქტში მოყვანილი მნიშვნელობების კორექტირებით.

5. ტერიტორიაზე გავრცელებული გრუნტის წყლის დონე არ წარმოადგენს ხელშემშლელ პირობას მშენებლობისას. იმ შემთხვევაში თუ დაფუძნებისას საძირკვლების ჩაღრმავება მოხდება გრუნტის წყლის დონემდე კონსტრუქციები შეიძლება დამზადდეს ნებისმიერი მარკის ცემენტების ბეტონით;
6. პნ 01.01_09-ის („სეისმომედეგი მშენებლობა“) თანახმად, ქ. თერჯოლა მდებარეობს 8 ბალიანი სეისმურობის ზონაში. ტერიტორიაზე გავრცელებული გრუნტები, სეისმური თვისებების მიხედვით, მიეკუთვნებიან II კატეგორიას. ტერიტორიის საანგარიშო სეისმურობად განისაზღვროს 8 ბალი. სეისმურობის უგანზომილებო კოეფიციენტი ქ. თერჯოლის ზონისთვის $A=0,13$;
7. ქვაბულის ან თხრილების ფერდობების მაქსიმალური დასაშვები დახრა, ტერიტორიაზე გავრცელებული გრუნტებისთვის მიღებულ იქნეს სნ და წ 3.02.01-87-ის პპ 3.11, 3.12, 3.15 და სნ და წ III-4-80-ის მე-9 თავის მოთხოვნათა გათვალისწინებით;
8. დამუშავების სიძნელის მიხედვით, სნ და წ IV-2-82-ის 1-1 ცხრილის თანახმად, უბანზე გავრცელებული გრუნტები მიეკუთვნებიან:
 - a) ნიადაგის ფენა (ფენა 1) - ერთციცხვიანი ექსკავატორით დამუშავებისას - I ჯგუფს, ბულდოზერით და ხელით დამუშავებისას - II ჯგუფს, საშუალო სიმკვრივით 1200 კგ/მ³ (რიგ.#9ბ);
 - b) თიხნარი (ფენა 2) - სამივე სახეობით (ერთციცხვიანი ექსკავატორით, ბულდოზერით და ხელით) დამუშავებისას - II ჯგუფს, სიმკვრივით 1880 კგ/მ³ (რიგ. #33ვ);
 - c) კენჭნაროვანი გრუნტი (ფენა 3) - ერთციცხვიანი ექსკავატორით დამუშავებისას - II ჯგუფს, ბულდოზერით და ხელით დამუშავებისას - III ჯგუფს, საშუალო სიმკვრივით 1950 კგ/მ³ (რიგ. #6ბ).

საპროექტო ტერიტორიის ტოპოგეგმა, გაბურღილი ჭაბურღილების დატანით, გეოლოგიური ჭრილები, გრუნტების ლაბორატორიული კვლევის შედეგები, წყლის ქიმიური ანალიზის შედეგები, შესაბამისი დასკვნებით და ფოტომასალით დანართის სახით თან ერთვის წინამდებარე გზმ ანგარიშს ცალკე დოკუმენტად.

4.2.6 საშიში გეოდინამიკური პროცესების განვითარების რისკები

საპროექტო ტერიტორიის საინჟინრო-გეოლოგიური შესწავლის დროს, დადგინდა, რომ საკვლევი ტერიტორიის ფარგლებში საშიში გეოდინამიკური პროცესების თვალსაზრისით საყურადღებო უბნები არ გამოვლენილა და მოსალოდნელიც არ არის. შესაბამისად, პროექტის განხორციელება პრევენციული ან/და შემარბილებელი ღონისძიებების დაგეგმვას და გატარებას არ საჭიროებს.

4.3 რაიონის ჰიდროლოგიური დახასიათება

4.3.1 მდ. ყვირილას ჰიდროლოგია

მდინარე ყვირილა სათავეს იღებს რაჭის ქედის სამხრეთ ფერდობზე ერწოს ტბიდან 1711 მეტრ სიმაღლეზე და უერთდება მდინარე რიონს ვარციხესთან 83 მეტრ სიმაღლეზე. მდინარე ყვირილას სიგრძე არის 140 კმ, საერთო ვარდნა 1628 მეტრი. მდინარის დახრილობა შეადგენს 11,6 ‰. წყალშემკრები აუზის ფართობი შეადგენს 3630 კმ²-ს, აუზის საშუალო სიმაღლე 790 მეტრი. მდინარე ყვირილას უერთდება სხვადასხვა თანრიგის მდინარეები 2906 მდინარე, რომელთა ჯამური სიგრძე შეადგენს 5254 კმ-ს. მდ. ყვირილას ძირითადი შენაკადებია გვიზლა (19 კმ), გედურა (13კმ), ლაშურა (13 კმ), ჩიხურა (21 კმ), ჟრუჭლა (18 კმ), საძალიხევი (10 კმ), კაცხურა (13 კმ), ძირულა (94 კმ), ჩოლაბური (20 კმ), ლუხუტა (21 კმ), შაბათაღელე (15 კმ), პეშავია (15 კმ), წყალწითელა (49 კმ). წყალშემკრებ აუზში მდინარეთა ქსელის სიხშირის კოეფიციენტი შეადგენს 1,45 კმ/კმ².

რაჭის ქედი - გასწვრივი გვერდითი ქედი კავკასიონის სამხრეთ კალთაზე, იწყება კავკასიონის მთავარ ქედზე, მწვერვალ ზეკარასთან და მთავრდება დასავლეთით მდინარე რიონის მარცხენა ნაპირზე. ქედის სიგრძე 85 კმ-ია. აღმოსავლეთ ნაწილი აგებულია იურული ფიქლებითა და პორფირიტული წყებებით, დასავლეთი - ცარცული კირქვებით. რაჭის ქედზეა მწვერვალები: მაჩხარახოხი, სირხლებერთა (ლებურის მთა), დაღვერულა, ხინათა, ველტყევი, საწალიკე, ნაქერალა, თავშავა. უღელტეხილები: ლეთა, ერწო, ხინათა, ნაქერალა და სხვა. სამხრეთი კალთა ციცაბოა, ჩრდილოეთი - დამრეცი, სადაც მდებარეობს შაორის ქვაბული.

აუზის ზედა ნაწილი მდებარეობს რაჭის ქედის სამხრეთ და სურამის ქედის დასავლეთ კალთებზე, შუა წელი ქართლ-იმერეთის კრისტალურ მასივზე, ხოლო ქვემო დინება კოლხეთის დაბლობზე. აუზის ზემო ნაწილი ხასიათდება მთის პირობებისათვის დამახასიათებელი ღრმა ხეობებით და ხრამებით. კრისტალურ მასივზე რელიეფის უფრო რბილი ფორმებია გავრცელებული, ხოლო ზესტაფონის შემდეგ მდინარე კოლხეთის დაბლობზე გამოდის. ყვირილას აუზის ზედა ნაწილი აგებულია ზედა და შუა იურული კირქვებით, მერგელებით, ქვიშაქვებით, პორფირიტებით და ფიქლებით. შუა ნაწილში ჭარბობენ ზედა და შუა მიოცენური თიხები, მერგელები, ქვიშაქვები და კონგლომერატები. ზედა და შუა იურული ასაკის ქანები გვხვდება ზესტაფონის მიდამოებში, აქვე და უფრო ქვემოთ გავრცელებულია ცარცული კირქვები, მერგელები და ქვიშაქვები. აუზის შუა და ქვემო ნაწილების ზედაპირი ძირითადად დაფარულია მეოთხეული ნალექებით, რომლებიც ნაწილობრივ წარმოდგენილნი არიან ალუვიური და ფლუვიოგლაციური ნალექებით. უხვადაა ახალი ალუვიური და ალუვიურ-პროლუვიური ნალექებიც.

მდინარე ყვირილას აუზში გავრცელებულია შემდეგი სახის ნიადაგები: მთა-მდელოს კორდიანი, ყომრალი მჟავე, ყომრალი სუსტად არამაძღარი, ყომრალი გაწერებული, ყვითელ ყომრალი, ყომრალი მჟავე, ნემომპალა კარბონატული და ალუვიური კარბონატული.

მდინარე ყვირილას აუზი განეკუთნება კავკასიონის ოლქის, კოლხეთის ნოტიო სუბტროპიკულ ოლქის ლანდშაფტს, რომელშიც გამოიყოფა 1) კოლხეთის ვაკე-დაბლობებისა და ბორცვიანი მთისპირების ქვეოლქი და 2) ზემო იმერეთის მაღლობის ქვეოლქი, რომლებიც თავის მხრივ მოიცავს შემდეგ ლანდშაფტებს: ნოტიო სუბტროპიკების ვაკის ლანდშაფტი, ნოტიო სუბტროპიკების მთისპირა ლანდშაფტი,

ნოტიო ჰავიანი მთის ტყის ლანდშაფტი, ზომიერად ნოტიო მთის ტყის ლანდშაფტი, სუბალპური ლანდშაფტი.

მდინარე ყვირილას აუზში გასულ საუკუნეში განთავსებული იყო ჰიდროლოგიური სადგურები სადაც ხდებოდა დაკვირვება მდინარის რეჟიმზე, იზომებოდა წყლის ხარჯები, წყლის დონეები და სხვადასხვა ჰიდროლოგიური მახასიათებლები. ჰიდროლოგიური სადგური ყვირილა - საჩხერე დაკვირვება წარმოებდა 1935, 1937-39, 1967-2021 წლებში (აუზის ფართობი 933 კმ²), ჰიდროლოგიური სადგური ყვირილა - ზესტაფონი დაკვირვება წარმოებდა 1930-1990 წლებში (აუზის ფართობი 2490 კმ²), ჰიდროლოგიური სადგური ყვირილა - აჯამეთი დაკვირვება წარმოებდა 1972-1990 წლებში (აუზის ფართობი 3270 კმ²), ასევე დაკვირვება წარმოებდა მდ. ყვირილას ძირითად შენაკადებზე: ჰიდროლოგიური სადგური ჩიხურა - სხვიტორი დაკვირვება წარმოებდა 1941-1990 წლებში (აუზის ფართობი 79 კმ²), ჰიდროლოგიური სადგური ძირულა - წევა დაკვირვება წარმოებდა 1932-1990 წლებში (აუზის ფართობი 1190 კმ²), ჰიდროლოგიური სადგური ჩხერიმელა - ქვები დაკვირვება წარმოებდა 1970-1990 წლებში (აუზის ფართობი 149 კმ²), ჰიდროლოგიური სადგური ჩხერიმელა - ორჯონიკიძე დაკვირვება წარმოებდა 1932, 1933, 1940-51, 1953-1990 წლებში (აუზის ფართობი 398 კმ²).

მდ. ყვირილა იკვებება თოვლის, გრუნტის და მიწისქვეშა წყლებით. მისი წყლიანობის რეჟიმი ხასიათდება გაზაფხულის წყალდიდობით, რომელსაც ხშირად ემატება წვიმებით გამოწვეული წყალმოვარდნები, ზაფხულის არამდგრადი წყალმცირობით და შემოდგომა-ზამთრის წყალმოვარდნებით, რაც გამოწვეულია წვიმებით და ჰაერის უეცარი დათბობით. ჩამონადენის შიდაწლიური განაწილება უკიდურესად არათანაბარია. საშუალოდ გაზაფხულზე ჩამოედინება წლიური ჩამონადენის 52%, ზაფხულში და შემოდგომაზე 20%, ზამთარში კი 28%. მოკლევადიანი ციხულოვანი მოვლენები, ძირითადად წანაპირების სახით, აღინიშნება მხოლოდ სათავეებში.

4.3.2 მდინარე ჩოლაბურის ჰიდროლოგია

მდინარე ჩოლაბური წარმოიქმნება მდინარე ძუსასა და ბუჯას შეერთებით, მოედინება თერჯოლისა და ზესტაფონის მუნიციპალიტეტების ტერიტორიებზე, 170 მეტრის სიმაღლეზე და უერთდება მდინარე ყვირილას მარჯვენა სანაპიროზე, შესართავიდან 23 კმ-ის დაშორებით. მდინარის სიგრძე 20 კმ-ია, საერთო დახრა 55 მ. წყალშეკრები აუზის ფართობი 590 კვ. კმ-ია. მდინარე იკვებება მიწისქვეშა და ზედაპირული წყლებით, ამიტომ ხასიათდება გაზაფხულისა და შემოდგომის წყალდიდობებით, ზამთარში წყალმეჩხრობით. მდინარის სიგანე ზემო წელში 7-8 მეტრია, რომელიც შესართავთან 20 მეტრამდე იზრდება. მდინარის საშუალო სიგანე 15 მეტრს შეადგენს. მდინარის სიღრმე 0,2 მეტრიდან 0,8 მეტრამდე მერყეობს, საშუალო სიღრმეა 0,5 მეტრი. მდინარის საშუალო სიჩქარე 0,3-0,6 მ/წმ-ია. მდინარის საშუალო ხარჯი შესართავთან 11,4 კუბ.მ/წმ-ია. მაქსიმალური 636 კუბ.მ./წმ. მინიმალური 1,60 კუბ.მ. /წმ.

4.4 ზედაპირული წყლის ობიექტების დაბინძურების მდგომარეობა

როგორც უკვე აღინიშნა, დაგეგმილი საპროექტო ტერიტორიიდან მდ. ყვირილა დაშორებულია 500, ხოლო მდ. ჩოლაბური 310 მეტრით. ორივე მდინარე წარმოადგენს სამეურნეო-საყოფაცხოვრები

წყალსარგებლობის კატეგორიის წყლის ობიექტს, რომელტათვისაც საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს “ზედაპირული წყლების გაბინძურებისაგან დაცვის სანიტარიული წესებითა და ნორმებით” (16.08.2001 წ.), აგრეთვე საქართველოს მთავრობის 2013 წლის 31 დეკემბრის №425 დადგენილებით დამტკიცებული “საქართველოს ზედაპირული წყლების დაბინძურებისაგან დაცვის ტექნიკური რეგლამენტით” დადგენილია შემდეგი მოთხოვნები:

ცხრილი 6.4.1

ჟბმ	6 მგ O ₂ /ლ
ნიტრატები	45,0 მგ/ლ
ქლორიდები	350 მგ/ლ
ნიტრიტები	3,3 მგ/ლ
ნავთობპროდუქტები	0,3 მგ/ლ
გახსნილი ჟანგბადი	> 4 მგ/ლ
პოლიფოსფატები	3,5 მგ/ლ
pH	6,5-8,5
შეწონილი ნაწილაკები	ფონურთან მატება არაუმეტეს 0,75 მგ/ლ

4.5 ატმოსფერული ჰაერის მდგომარეობის ანალიზი, ინფორმაცია გაბატონებული ქარების შესახებ

საქართველოს მსხვილ ინდუსტრიულ ცენტრებში, სხვადასხვა პერიოდებში ფუნქციონირებდა ატმოსფერული ჰაერის დაბინძურებაზე რეგულარულ დაკვირვებათა ქსელის საგუშაგოები (პოსტები) და მათზე წარმოებდა რიგი მავნე ნივთიერებების ატმოსფერული კონცენტრაციების ყოველდღიური სამჯერადი გაზომვა, ხოლო იმ დასახლებული პუნქტებისათვის, სადაც აღნიშნული მიმართულებით გაზომვები არ ტარდებოდა, დაბინძურების შესაბამისი მონაცემების დადგენა ხორციელდებოდა მოსახლეობის რაოდენობაზე დაყრდნობის საფუძველზე, ქვეყანაში მიღებული მეთოდური რეკომენდაციების შესაბამისად. უკანასკნელ წლებში მნიშვნელოვნად შეიზღუდა სრულყოფილი დაკვირვებების წარმოების შესაძლებლობა. ამასთან აღსანიშნავია ისიც, რომ ქვეყანაში საგრძნობლად დაეცა ადგილობრივი სამრეწველო პოტენციალი და შესაბამისად, ბუნებრივ გარემოზე ზემოქმედების ჯამური მახასიათებლების მნიშვნელობებიც. აქედან გამომდინარე, გარკვეულწილად, მიზანშეწონილია ადრინდელი რეკომენდაციებით განსაზღვრული მონაცემებით სარგებლობა, გარემოს პოტენციური დაბინძურების მახასიათებლების დასადგენად – დასახლებული პუნქტის ინფრასტრუქტურის არსებული მდგომარეობის განვითარების პერსპექტივით, იმაზე გაანგარიშებით, რომ რეალურად შესაძლებელია ადრინდელი პერიოდისათვის უკვე მიღწეული გარემოს დაბინძურების მაჩვენებლების მიღება – შეჩერებული ან უმოქმედო საწარმოო პოტენციალის სრული ამოქმედების შემთხვევისათვის.

ჰაერის დაბინძურებაზე გავლენის მქონე მეტეოპარამეტრებისა და სხვა ძირითადი მახასიათებლების მნიშვნელობები მოცემულია ცხრილ 4.5.1-ში.

საწარმოო რეგიონში გაბატონებული ქარები ფიქსირდება აღმოსავლეთი და დასავლეთის მიმართულებით (35 და 38 %).

აღსანიშნავია, რომ მავნე ნივთიერებების საშუალო კონცენტრაციების მნიშვნელობებთან ერთად, ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების დონის დახასიათების მიზნით გამოიყენება კონკრეტული ადგილმდებარეობის ატმოსფეროში მავნე ნივთიერებების ფონური კონცენტრაციები – დამაბინძურებელი ნივთიერებების კონცენტრაციათა ის მაქსიმალური მნიშვნელობები, რომელზე გადამეტებათა დაკვირვებების რაოდენობა არის მრავალწლიანი(არანაკლებ 5 წლის პერიოდის) რეგულარული დაკვირვებების მთლიანი რაოდენობის 5%-ის ფარგლებში. ფონური კონცენტრაციების მნიშვნელობები განისაზღვრება ცალ-ცალკე შტილისათვის(ქარის სიჩქარის მნიშვნელობა დიაპაზონში 0-2მ/წმ, რომელიც ხასიათდება დაბინძურების ერთ-ერთი ყველაზე არასასურველი ეფექტით) და ქარის სხვადასხვა გაბატონებული მიმართულებებისათვის. სამწუხაროდ, ყველა დასახლებულ ტერიტორიებზე არ ხერხდება სრულფასოვანი რეგულარული დაკვირვებების ორგანიზაცია და შესაბამისად, ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების დონის ფაქტობრივი მნიშვნელობების განსაზღვრა. იმის გამო, რომ როგორც წესი, შედარებით პატარა ქალაქებში და მცირემოსახლეობიან დასახლებულ პუნქტებში ატმოსფერული ჰაერის დაბინძურებაზე დაკვირვებები პრაქტიკულად არ ტარდება. ასეთი ტერიტორიებისათვის, მავნე ნივთიერებებით ადგილმდებარეობის ატმოსფერული ჰაერის ფონური დაბინძურების მახასიათებლების დადგენა ხდება ქვეყანაში მიღებული წესით, რომელიც ეფუძნება დასახლებულ ტერიტორიაზე მოსახლეობის საერთო რაოდენობის მაჩვენებელს და ითვალისწინებს იმ ზოგად საწარმოო და საყოფაცხოვრებო მომსახურების ინფრასტრუქტურას, რომლის ფუნქციონირებაც მეტ-ნაკლებად დამახასიათებელია შესაბამისი დასახლებებისათვის (ცხრილი 4.5.2).

ცხრილი 4.5.1 - ატმოსფეროში დამაბინძურებელი ნივთიერებების გაბნევის ჰირობების გამსაზღვრელი მეტეოროლოგიური მახასიათებლები და კოეფიციენტები

მახასიათებლის დასახელება	მახასიათებლის მნიშვნელობა
ატმოსფეროს ტემპერატურული სტრათიფიკაციის კოეფიციენტი	200
რელიეფის კოეფიციენტი	1.0
წლის ყველაზე ცხელი თვისას ჰაერის საშუალო ტემპერატურა	20.3
წლის ყველაზე ცივი თვისას ჰაერის საშუალო ტემპერატურა	3.7
საშუალო ქართა ვარდის მდგენელები, %	
ჩრდილოეთი	1
ჩრდილო-აღმოსავლეთი	4
აღმოსავლეთი	35
სამხრეთ-აღმოსავლეთი	12
სამხრეთი	4
სამხრეთ-დასავლეთი	4
დასავლეთი	38
ჩრდილო-დასავლეთი	2
შტილი	51
ქარის სიჩქარე (მრავალწლიურ დაკვირვებათა გასაშუალოებით), რომლის გადაჭარბების განმეორადობაა 5%, მ/წმ	9.3

ცხრილი 4.5.2 - ფონური კონცენტრაციებისათვის დადგენილი მნიშვნელობები დასახლებულ ტერიტორიებისათვის მოსახლეობის რაოდენობის მიხედვით

	მავნე ნივთიერება
--	-------------------------

მოსახლეობის რიცხვი (ათასი მოსახლე)	მტვერი	გოგირდის დიოქსიდი	აზოტის დიოქსიდი	ნახშირჟანგი
1	2	3	4	5
ნაკლები 10-ათასზე	0	0	0	0
10-50	0.1	0.02	0.008	0.4
50-125	0.15	0.05	0.015	0.8
125-250	0,2	0.05	0.03	1.5

დაგეგმილი საქმიანობის განხორციელების შემთხვევაში, კონკრეტულ საწარმოო მაჩვენებლებზე დაყრდნობით, მოცემული ობიექტისათვის, გარემოში მავნე ნივთიერებათა გამოყოფის (ატმოსფეროში გამოფრქვევის) ზღვრულად დასაშვები ნორმატივების (შესაბამისად – ზდგ) პროექტების დამუშავება საშუალებას იძლევა დაბინძურების ყოველი კონკრეტული წყაროსათვის დადგინდეს მავნე ნივთიერებათა ემისიის რაოდენობა და ინტენსივობა. დაგეგმილი საქმიანობის საწარმოო ციკლის შესაბამისად, საჭიროა შეფასებული იქნას საქმიანობის ობიექტისაგან მავნე ნივთიერებათა ატმოსფერულ ჰაერში გამოფრქვევა. აქედან გამომდინარე, მავნე ნივთიერებათა ატმოსფერულ ჰაერში ზღვრულად დასაშვები გამოფრქვევების პროექტების დამუშავება საშუალებას იძლევა განხორციელდეს დაგეგმილი საქმიანობის გარემოზე ზემოქმედების შედეგად ბუნებრივი გარემოს ხარისხობრივი ნორმების დაცვის შეფასება.

4.6 რადიაციული ფონის შეფასება

ატმოსფეროს მიწისპირა ფენის რადიაციული მდგომარეობის დადგენისათვის გამა – გამოსხივების ფონის განსაზღვრისათვის, ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე ფუნქციონირებს საქართველოს გარემოს ეროვნული სააგენტოს ოპერატიული დანიშნულების სადგურები, რომელთა უკანასკნელი წლების რეგულარულ დაკვირვებათა მონაცემების საფუძველზე, აღმოსავლეთ საქართველოში რადიაციული დაბინძურების ფონი შეადგენს 10-17 მიკრორენტგენს საათში, ტეთრიწყაროსა და მის შემოგარენში აღნიშნული მახასიათებელი არის 11-13 მიკრორენტგენი საათში. ამ მონაცემებიდან ჩანს, რომ გამა-გამოსხივების სიმძლავრე, მთელ საქართველოში ნორმის ფარგლებშია და დასაშვებად მიღებულ დონეზე 20-30 მკრ/სთ, გაცილებით ნაკლებია.

აქედან გამომდინარე, დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ საკვლევ ტერიტორიაზე დადგენილი რადიაციული ფონი უმნიშვნელოა და აქ მომუშავე თუ მცხოვრებ ადამიანებს არავითარ საფრთხეს არ შეუქმნის.

რაც შეეხება, დაგეგმილ საქმიანობას, საწარმოში ისეთი დანადგარების ან/და მოწყობილობების გამოყენება, რომლებიც შეიძლება წარმოადგენდეს რადიაციული გამოსხივების წყაროს დაგეგმილი არ არის.

4.7 ძირითადი ნიადაგები და ლანდშაფტები

საპროექტო ტერიტორია განთავსებულია მნიშვნელოვანი ტექნოგენური დატვირთვის მქონე ზონაში. აღნიშნულის გამო საკვლევ ტერიტორიაზე ბუნებრივი ლანდშაფტი არ არის შემორჩენილი, ხოლო ნიადაგი ძალზედ დეგრადირებულია.

თერჯოლის რაიონის დაბლობ ტერიტორიაზე, მდინარეთა გასწვრივ უკარბონატო ალუვიური ნიადაგია, დაბლობის ამაღლებულ ნაწილში, დიდი ფართობი უჭირავს სუბტროპიკულ ეწერ ნიადაგს, აქა-იქ მცირე ფართობები - ყვითელმიწებია, ოკრიბა - არგვეთის ქედის სამხრეთ კალთაზე განვითარებულია ნემომპალა - კარბონატული ნიადაგი, ამავე ქედის მაღალ ნაწილში გვხვდება ტყის ყომრალი ნიადაგი.


თერჯოლის რაიონის ტერიტორია ერთიანდება ნოტიო სუბტროპიკულ ვაკეთა და მთისწინეთის, აგრეთვე ნოტიოჰავიანი მთა - ტყის ლანდშაფტის ტიპებში, რომლებშიც გამოიყოფა შემდეგი სახის ძირითადი ლანდშაფტები:

- ჭალები მდელო - ტყის (ლაფნარ - თხმელნარი) მცენარეულობით და ალუვიური ნიადაგებით;
- ვაკე - დაბლობები კოლხური მცენარეულობით, ალუვიური და სუბტროპიკულ
- ეწერი ნიადაგებით;
- ვაკე - ბორცვიანი მთისწინეთი, კოლხური მცენარეულობით, ნემომპალა - კარბონატული, ყვითელმიწა და სუბტროპიკულ - ეწერი ნიადაგებით;
- ბორცვიანი მთისწინეთი, კოლხური მცენარეულობით და ნემომპალა - კარბონატული ნიადაგებით.

4.8 დაცული ტერიტორიები

საპროექტო ტერიტორიიდან უახლოესი დაცული ტერიტორია, აჯამეთის აღკვეთილი დაშორებულია 2.3 კმ მანძილით.

ჯამეთის აღკვეთილი თბილისიდან 230 კმ-ის, ხოლო ქუთაისიდან 15 კმ-ის დაშორებით მდებარეობს, ბაღდათისა და ზესტაფონის რაიონში, რიონის ვაკეზე და აჯამეთის, ვარციხისა და სვირის უბნებისგან შედგება. აღკვეთილი შეიქმნა 1935 წელს, რომელიც სახელმწიფო ნაკრძალის სახით 1946 წელს ჩამოყალიბდა და მისი შექმნის მიზანი იშვიათი რელიქტების - იმერეთის მუხისა და ძელქვის შენარჩუნება იყო. აჯამეთის განთქმული მუხნარი ძალიან ძველია. ზოგიერთი ხის ასაკი 250 წელზე მეტს ითვლის.



სურ. 4.8 - საპროექტო ტერიტორიის დაშორება აჯამეთის ადკვეთილიდან

4.9 არქეოლოგიური და კულტურული მემკვიდრეობის ძეგლები

თერჯოლის რაიონი მდიდარია კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებით. თუმცა, უშუალოდ ქ. თერჯოლის ტერიტორიაზე, საქართველოს კულტურულ მემკვიდრეობის ელექტრონულ პორტალზე განთავსებული ოფიციალური ინფორმაციის თანახმად, მდებარეობს გოფანდის ეკლესია, რომელიც პორტალზე რეგისტრირებულია 9345 ნომრით და წარმოადგენს 4-18 საუკუნეების არქიტექტურული მნიშვნელობის ძეგლს, და ასევე არქიტექტურული, 19-21 საუკუნეების ძეგლი წმინდა გიორგის ეკლესია, რომელიც პორტალზე რეგისტრირებულია 9276 ნომრით.


გოფანდის ეკლესია საპროექტო ტერიტორიიდან დაშორებულია 4,9 კმ მანძილით და მდებარეობს შემდეგი GPS კოორდინატების ფარგლებში: X: 332327.36 Y: 4673109.04; ხოლო, წმ. გიორგის ეკლესია საპროექტო ტერიტორიიდან დაშორებულია 5.7 კმ მანძილით და მდებარეობს შემდეგი GPS კოორდინატების ფარგლებში: X: 334008.59 Y: 4672410.33.

საპროექტო ტერიტორიიდან კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების დაშორების ამსახველი სურათი მოცემულია რუკაზე.

ამასთან, წინამდებარე გზმ ანგარიშის მომზადების პროცესში ჩართული იყვნენ შესაბამისი დარგის სპეციალისტები (ისტორიკოსი, არქეოლოგი). მათ მიერ საპროექტო ტერიტორიის დეტალური კვლევის შედეგად, მათ შორის მიწის ჭრილებში ჩატარებული დაკვირვებით დადგინდა, რომ ტერიტორია თავისუფალია არქეოლოგიური და კულტურული მემკვიდრეობის ნიმუშებისგან. ამასთან, ასეთი ტიპის ფენის არსებობა არც მიწის სიღრმეშია მოსალოდნელი.

ამასთან, ექსპერტების მიერ ჩატარებული კვლევის მასალები, შესაბამისი თანხმობის მიღების მიზნით გადაგზავნილი იქნა კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულ სააგენტოში. სააგენტოს 2021 წლის 7 ოქტომბრის #17/3859 წერილის შესაბამისად, საპროექტო არეალში ხილული კულტურული მემკვიდრეობის ან/და არქეოლოგიური ძეგლი/ობიექტი და არტეფაქტები არ ფიქსირდება. შესაბამისად, სააგენტო არ არის წინააღმდეგი საპროექტო ტერიტორიაზე ფეროშენადნობების საწარმოს მოწყობის და ექსპლუატაციის პროექტის განხორციელებაზე.

არქეოლოგიური კვლევის მასალა, ასევე კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს წერილი დანართის სახით თან ერთვის წინამდებარე გზმ ანგარიშს (დანართი 3 და 4).



სურ. 4.9 - საპროექტო ტერიტორიიდან კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების დაშორების ამსახველი სურათი

4.10 ბიოლოგიური გარემო

4.10.1 ფლორა

თერჯოლის რაიონში, მცენარეული საფარი კოლხური ტიპისაა, ადრინდელ პერიოდში გავრცელებული ტყეების ნაცვლად უმეტეს ტერიტორიაზე ამჟამად ძირითადი ფართობები სახნავ - სათეს მიწებს, ბაღ - ბოსტნებსა და ვენახებს უკავია, ტყეები უმეტესად შემორჩენილია ოკრიბა - არგვეთის ქედზე, სადაც ტყის შემქმნელი ჯიშებია: რცხილა, მუხა. არის აგრეთვე ნეკერჩხალი, კუნელი, ზოგან წიფელი, ცაცხვი და თელა, იშვიათია წაბლი, ქვეტყეში - მარადმწვანეთაგან გვხვდება ბუა, ბაძგი, წყავი; ფოთოლმცვენებიდან - იელი და ზღმარტლი; სიმონეთის ვაკეზე და დაბლობში ტყეები თითქმის მთლიანად გაჩეხილია და შემორჩენილია მხოლოდ მუხნარ - რცხილნარისა და ჯაგ - რცხილნარის მცირე კორომები. ძალზე იშვიათად გვხვდება ძელქვა; მდინარისპირებში გავრცელებულია ტირიფი და მურყანი (თხმელა), ტყეებში უხვადაა ლიანები, უტყეო და დაუმუშავებელი ფართობები რაიონის მთელ ტერიტორიაზე, განსაკუთრებით კი ოკრიბა არგვეთის ქედის კალთებზე უკავია მდებარეობს, რომლებიც სათიბ - საძოვრად არის გამოყენებული.

ბოტანიკური კვლევა განხორციელდა საველე-მარშუტული კვლევის მეთოდით და მცენარეთა სისტემატიკურ-მორფოლოგიური რკვევისათვის გამოყენებულ იქნა შეგროვილი ფოტო მასალა. ტერიტორიაზე არ გვხვდება მერქნიან მცენარეთა არცერთი სახეობა, რაც შეეხება ბალახოვან მცენარეთა საფარს, როგორც უკვე აღინიშნა, საპროექტო ტერიტორია ტექნოგენურად სახეცვლილია და ძირითადად წარმოდგენილია ქვიშა-ქვიანი ზედაპირით, სადაც ქვიშიან ზედაპირზე ამოსულია სარეველა მცენარეები. შესაბამისად, ტერიტორია ბოტანიკური მრავალფეროვნებით არ გამოირჩევა,

ალაგ-ალაგ გვხვდება მარცლოვანი (*Poa spp.*) მდელოს ნიშნები. საპროექტო ტერიტორიაზე ძირითადად გავრცელებულია სარეველა მცენარე, აბზინდა (*L. Artemisia absinthium*), რომელიც გამოირჩევა სპეციფიკური სუნით და ძალიან მწარე გემოთი. იგი მრავალწლოვანი მცენარეა და მარტივად მრავლდება თესლის ჩაფანტვით. მისი სარეველა თვისებიდან გამომდინარე, იმ ტერიტორიის ბოტანიკური გამრავალფეროვნების შესაძლებლობა, სადაც ეს მცენარე იზრდება, ძალიან მცირეა.



**სურ. 4.10.1 - საპროექტო ტერიტორიაზე გავრცელებული მცენარეული საფარი,
აბზინდა (*L. Artemisia absinthium*)**

4.10.2 ფაუნა

ცხოველთა სამყარო მრავალფეროვანია: თერჯოლის რაიონის ტყე - ბუჩქნარებში ბინადრობს მგელი, მელა, კავკასიური კვერნა, მაჩვი, ტურა, ბევრია კურდღელი, ტყის თაგვი, ბუჩქნარის მემინდვრია, დედოფალა; იშვიათია - წავი; ფრინველებიდან არის ყვავი, შაშვი, ჩხიკვი, კოდალა, ოფოფი, მოლადური, მწყერი, გუგული, გვრიტი, იხვი, ქორი და გვხვდება ხოხობიც; მდინარეებში არის კოლხური წვერა, კავკასიური ქაშაყი, ღორჯო, ლოქო, კოლხური ტობი და სხვა. ყვირილაში ზოგჯერ შემოდის ზუთხი, ბევრია ქვეწარმავლები.

როგორც უკვე აღინიშნა საწარმო განთავსდება ქ. თერჯოლის ტერიტორიაზე, სამრეწველო ზონაში. ტერიტორია ანთროპოგენური დატვირთვის გამო, საკმაოდ სახეცვლილია. ამასთან არ ესაზღვრება ტყიან ტერიტორიებს. შესაბამისად ფაუნის მრავალფეროვნებით არ გამოირჩევა, რასაც ხელს უწყობს იქ არსებული საწარმოების ფუნქციონირებით გამოწვეული ხმაური (სამსხვრევი დანადგარების არსებობა).

თუმცა, საპროექტო ტერიტორიაზე შესაძლოა ფაუნის რომელიმე სახეობის შემთხვევით მოხვედრა, რაც დროებითი ხასიათის იქნება, ვინაიდან აქ მათთვის საბინადრო პირობები არ არის შექმნილი.

საპროექტო ტერიტორიაზე საველე კვლევა ჩატარდა აგვისტოს და სექტემბრის დასაწყისში, რომლის დროსაც ტერიტორიაზე გარეულ ცხოველთა რაიმე კვალი (ნაფეხური, ბეწვი, სორო, საბინადრო ადგილი) არ დაფიქსირებულა.

ამასთან, საწარმოს მიერ წამოქმნილი ემისიები ატმოსფერულ ჰაერში, მათ შორის ხმაური, საწარმოს ტექნოლოგიიდან და დასახული პრევენციული და შემარბილებელი ღონისძიებების გათვალისწინებით ნორმის ფარგლებში იქნება. შესაბამისად, ამ ტიპის ზემოქმედება ფაუნის რომელიმე წარმომადგენელზე მოსალოდნელი არ იქნება.

4.11 ნიადაგის ნაყოფიერი ფენის მოხსნა და რეკულტივაცია, გრუნტის მოხსნა

საწარმოს მოწყობის ეტაპზე საყურადღებოა ნიადაგის დაზიანების და სტაბილურობის დარღვევის რისკები, რაც ძირითადად მოსალოდნელია მოსამზადებელი და სამონტაჟო სამუშაოების დროს (სამშენებლო მოედნის მომზადება, ტექნიკის გადაადგილება, მიწის სამუშაოები, დროებითი და მუდმივი ინფრასტრუქტურის მოწყობა და ა.შ.).

როგორც უკვე აღინიშნა, საპროექტო ტერიტორია ტექნოგენურად სახეცვლილია და ძირითადად წარმოდგენილია ქვიშა-ქვიანი ზედაპირით, სადაც ქვიშიან ზედაპირზე ამოსულია სარეველა მცენარეები. ტერიტორიის ერთიანი სურათი ქმნის მწვანე საფარს, თუმცა აქ ნიადაგის ნაყოფიერი ფენა ძირითადად წარმოდგენილი არ არის. თუმცა, შესაძლებელია ტერიტორიის გარკვეულ ნაწილზე, სავარაუდოდ 1000კვ.მ-ზე წარმოდგენილი იყოს ნიადაგის ნაყოფიერი ფენა საშუალო სიმძლავრით 0,05მ (5სმ). მოსალოდნელი ნიადაგის ნაყოფიერი ფენის ჯამური რაოდენობა იქნება $1000კვმ \times 0.05მ = 50მ^3$

მოსამზადებელი ეტაპზე, საწარმოს მოწყობის სამუშაოების დაწყებამდე, ტერიტორია გასუფთავდება სარეველა მცენარეებისგან. შემდგომში განხორციელდება ნიადაგის ნაყოფიერი ფენის მოხსნა, იმ ადგილებში, სადაც გამოიკვეთება მისი არსებობა. ნაყოფიერი ფენის მოხსნა და დასაწყობება განხორციელდება საქართველოს მთავრობის 2013 წლის 31 დეკემბრის №415 დადგენილებით დამტკიცებული „ნიადაგის ნაყოფიერების ღონის განსაზღვრის“ და „ნიადაგის კონსერვაციისა და ნაყოფიერების მონიტორინგის“ ტექნიკური რეგლამენტით გათვალისწინებული პირობებისა და ასევე „ნიადაგის ნაყოფიერი ფენის მოხსნის, შენახვის, გამოყენებისა და რეკულტივაციის შესახებ“ ტექნიკური რეგლამენტის შესაბამისად. მოხსნილი ნაყოფიერი ფენა დასაწყობდება საპროექტო ტერიტორიაზე გამოყოფილ დაახლოებით 50მ² ფართობზე, რომლის GPS კოორდინატები იქნება:

N	X	Y
1	329044.00	4669401.00
2	329047.00	4669398.00
3	329052.00	4669411.00
4	329055.00	4669408.00


ნიადაგის ნაყოფიერი ფენის განთავსება მოხდება შესაბამისი წესების დაცვით: ნაყარის სიმაღლე არ აღემატება 2 მ-ს; ნაყარის ფერდებს მიეცემა შესაბამისი დახრის (45⁰) კუთხე; დაცული იქნება საშუალო

მოედნების საზღვრები მოსაზღვრე უბნების შესაძლო დაბინძურების, ნიადაგის ნაყოფიერი ფენის დაზიანების და ნიადაგის ეროზიის თავიდან აცილების მიზნით.

ნიადაგის ნაყოფიერი ფენის მოხსნის შემდეგ, უშუალოდ საწარმოს შენობის მოწყობის ადგილზე, სძირკვლების მოწყობის მიზნით, მოხდება გრუნტის ე.წ ფუჭი ქანების მოხსნა, რომელიც დროებით დასაწყობდება მოხსნის ადგილის მიმდებარედ. სძირკვლების მოწყობის შემდეგ მოხსნილი ფუჭი ქანები გამოყენებული იქნება საწარმოს ტერიტორიაზევე ამოვსებითი სამუშაოებისთვის.

ხოლო, რაც შეეხება ნიადაგის ნაყოფიერ ფენას, მისი რეკულტივაცია მოხდება სამუშაოების დასრულების შემდეგ, საწარმოს ტერიტორიაზევე გაზონის მოსაწყობად.

საპროექტო ტერიტორიაზე წარმოდგენილი ნიადაგის ფოტომასალა წარმოდგენილია სურათებზე.



სურ 4.11.1 - საპროექტო ტერიტორია, ნიადაგის საფარის ჩვენებით

5. საწარმოს განთავსების და ტექნოლოგიური ალტერნატივების განხილვა

„გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-8 მუხლის, მესამე პუნქტის „ა.გ“ ქვეპუნქტის შესაბამისად სხვა საკითხებთან ერთად გზმ ანგარიში უნდა მოიცავდეს დაგეგმილი საქმიანობისა და მისი განხორციელების ადგილის ალტერნატივების შესახებ ინფორმაციას.

დაგეგმილი საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე განხილული იქნა შემდეგი ალტერნატიული ვარიანტები:

- არაქმედების ალტერნატივა;
- ტერიტორიის შერჩევის 3 სხვადასხვა ალტერნატივა;
- ტექნოლოგიური ალტერნატივა;
- მტვერგამწმენდი სისტემის ალტერნატივა.

5.1 არაქმედების ალტერნატიული ვარიანტი

არაქმედების ანუ ნულოვანი ალტერნატივა გულისხმობს, საქმიანობის განუხორციელებლობის შემთხვევაში გარემოს არსებული მდგომარეობის ბუნებრივად განვითარების შესაძლებლობას, რადროსაც არ არის მოსალოდნელი პროექტის განხორციელებით მოსალოდნელი რიგი დადებითი თუ უარყოფითი ზემოქმედებები.

აღსანიშნავია, რომ ფეროშენადნობების გამოყენების ფართო სპექტრიდან გამომდინარე, როგორც ადგილობრივ ასევე მსოფლიო ბაზარზე მაღალია ამ პროდუქციაზე მოთხოვნილება და ფასები. შესაბამისად დაგეგმილი საქმიანობის განხორციელება დადებით იმოქმედებს ქვეყნის ეკონომიკურ მდგომარეობაზე, კერძოდ: ადგილი ექნება ადგილობრივი და ასევე ცენტრალური ბიუჯეტის შემოსავლების გარკვეულ ზრდას. ამასთან:

- საწარმოს სპეციფიკის გათვალისწინებით გათვალისწინებულია 70 ადამიანის დასაქმება. თერჯოლის მუნიციპალიტეტში, ისევე როგორც სხვა მუნიციპალიტეტების სოფლებში დასაქმების მაჩვენებელი ძალიან დაბალია. არაქმედების ალტერნატივის შემთხვევაში აღარ შეიქმნება ადგილობრივი მოსახლეობისთვის სამუშაო ადგილები რაც უარყოფითად აისახება სოფლის მაცხოვრებლების ეკონომიკურ მდგომარეობაზე;

თუმცა, ნულოვანი ალტერნატივის, ანუ პროექტის განუხორციელებლობის შემთხვევაში არ არის მოსალოდნელი ისეთი ზემოქმედებები, როგორიცაა:

- ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებების ემისიები;
- ხმაურის გავრცელებით მოსალოდნელი ზემოქმედება;
- ზემოქმედება ადგილობრივ სოციალურ-ეკონომიკურ გარემოზე;
- ვიზუალურ-ლანდშაფტური ცვლილებით მოსალოდნელი ზემოქმედებები და სხვა.

თუმცა, გარემოზე ზემოქმედების შეფასების პროცესში გაკეთებული გათვლების და გაბნევის ანგარიშის შესაბამისად, საწარმოს ექსპლუატაციით გამოწვეული ზემოქმედება მინიმალურია და სათანადო შემარბილებელი ღონისძიებების გატარების შემთხვევაში (როგორიცაა მისასვლელი

გზების მორწყვა, სატრანსპორტო საშუალებების გადახურვა და ეფექტური მტვერდამჭერი სისტემების მოწყობა) შესაძლებელი იქნება ზემოქმედების ნულამდე დაყვანაც კი.

ზემოაღნიშნული გარემოებების, მათ შორის იმის გათვალისწინებით, რომ კომპანია მზადაა დასახული შემარბილებელი ღინისძიებების შესრულების გათვალისწინებით მართოს თავისი საქმიანობა, ასევე იმის გათვალისწინებით, რომ დაგეგმილია ეფექტური მონიტორინგის სისტემის დანერგვა, რითიც თავიდან იქნება აცილებული გარემოს სხვადასხვა კომპონენტებზე ზემოქმედება, არაქმედების, ანუ ნულოვანი ალტერნატივა უარყოფილი იქნა.

5.2 ტერიტორიის შერჩევის ალტერნატივა I

საწარმოს მოწყობის ერთ-ერთ ალტერნატივად განიხილებოდა მისი მოწყობა სახელმწიფო საკუთრებაში არსებულ, არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მქონე მიწის ნაკვეთზე, რომელიც მდებარეობს ქ. თერჯოლაში, შემდეგი საკადასტრო კოდის ფარგლებში: 33.09.43.427

მიწის ნაკვეთი არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულებისაა, ცენტრალური ავტობანიდან დაშორებულია დაახლოებით 400 მეტრი მანძილით, თუმცა წარმოადგენს მდ. ჩოლაბურის ქალაქობის და უშუალოდ ესაზღვრება მას. შესაბამისად, შესაძლებელია წარმოადგენდეს სასარგებლო წიაღისეულის საბადოს. გარდა ამისა, ტერიტორიასთან მისასვლელი გზები არ არის დამაკმაყოფილებელ მდგომარეობაში და საწარმოს მოწყობის შემთხვევაში საჭირო იქნება დაახლოებით 500 მეტრი სიგრძის გზის მოწყობა, რაც დაკავშირებულია ფინანსებთან და ასევე გარემოსდაცვითი თვალსაზრისით ახალი გზების მოწყობა წარმოადგენს გარემოს სხვადასხვა კომპონენტებზე ზემოქმედების დამატებით წყაროს. აღნიშნული ფაქტორების გათვალისწინებით, ასევე იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ მიწის ნაკვეთი უშუალოდ ესაზღვრება მდინარე ჩოლაბურს და ტერიტორიაზე არ მიდის საკომუნიკაციო ქსელები ეს ალტერნატიული ვარიანტი უგულვებელყოფილი იქნა.

5.3 ტერიტორიის შერჩევის ალტერნატივა II

საწარმოს მოწყობის მეორე ალტერნატივად განიხილებოდა კერძო საკუთრებაში არსებული, სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მქონე მიწის ნაკვეთ, რომელიც მდებარეობს თერჯოლის რაიონში, სოფ. ღვანკითის ტერიტორიაზე, შემდეგი საკადასტრო კოდის ფარგლებში: 33.10.38.238

მიწის ნაკვეთი ესაზღვრება ავტობანს (დაშორება 25მ), მისგან 150 მეტრში მდებარეობს სს საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის ქვესადგური, 150 მეტრში შპს ნეოგაზის გაზის გამართვის სადგური, ხოლო უახლოესი საცხოვრებელი სახლი, რომლის საკადასტრო კოდია: 33.10.38.274, მდებარეობს 410 მეტრში.

აღნიშნულ მიწის ნაკვეთზე მსჯელობის დროს გამოიკვეთა რიგი საკითხებისა, რომელმაც შესაძლოა მნიშვნელოვანი ზემოქმედება გამოიწვიოს გარემოს სხვადასხვა კომპონენტებზე, მათ შორის ადგილობრივ მაცხოვრებლებზე. როგორცაა: მიწა სასოფლო-სამეურნეო დანიშნულებისაა და საჭირო იქნებოდა მიწის კატეგორიის შეცვლა; ასევე, უახლოესი საცხოვრებელი სახლი განთავსებულია 500 მეტრიანი რადიუსის შიგნით; ობიექტის სიახლოვეს მდებარეობს ისეთი

სტრატეგიული ობიექტი, როგორცაა: სს საქართველო სახელმწიფო ელექტროსისტემის მაღალი ძაბვის ქვესადგური და ელექტროგადამცემი ანძები. გარდა ამისა, საჭირო იქნებოდა ტერიტორიასთან მისასვლელი, დაახლოებით 200 მეტრი სიგრძის ახალი გზის მშენებლობა. ამასთან აღნიშნული ტერიტორიის ავტობანთან სიახლოვის გამო, ამ ტერიტორიაზე საქმიანობის განხორციელებით მოსალოდნელია ვიზუალურ-ლანშაფტური ზემოქმედება. აღნიშნული საკითხების გათვალისწინებით ეს ვარიანტიც უგულვებელყოფილი იქნა.

5.4 ტერიტორიის შერჩევის ალტერნატივა - III და მისი გარემოსდაცვითი, სოციალური, ეკონომიკური და ტექნიკური უპირატესობები

მას შემდეგ რაც უარყოფილი იქნა საწარმოს განთავსება პირველ და მეორე ალტერნატიულ ტერიტორიებზე, კომპანიის მიერ დაიწყო ისეთი მიწის მოძიება, რომელიც მისაღები იქნებოდა, როგორც გარემოსდაცვითი, ისე ეკონომიური და სოციალური თვალსაზრისით. შესაბამისად, ფეროშენადნობების გადამამუშავებელი საწარმოს განთავსების მიზნით კომპანიამ შეარჩია არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მქონე მიწა, რომელიც მდებარეობს ქ. თერჯოლის ტერიტორიაზე. მიწის ნაკვეთის საკადასტრო კოდია: 33.09.43.671. მიწის ნაკვეთის საერთო ფართობი 10 553 კვ.მ, სადაც ასევე განთავსდება კომპანიის ასფალტის საწარმო დამოუკიდებელი ინფრასტრუქტურით, რომელზედაც, როგორც წინამდებარე დოკუმენტის შესავალ ნაწილში აღინიშნა, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2021 წლის 14 ივნისის #2-897 ბრძანებით გაცემულია გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება. საწარმოსთვის განკუთვნილი ტერიტორია თავისუფალია ხე-მცენარეებისგან და ტერიტორიაზე ნიადაგის ფენა ძლიერ სახეცვლილია, რაც განპირობებულია, მიმდებარედ არსებული საწარმოო ზონის გავლენით.

საპროექტო ტერიტორიის საზღვრიდან უახლოესი საცხოვრებელი სახლი დამორებულია 1450 და 1950 მეტრი მანძილით. ტერიტორიამდე არსებობს მისასვლელი გზა, რომლის ტექნიკური მდგომარეობაც დამაკმაყოფილებელია. არქეოლოგიის შეფასებით, ტერიტორიაზე არ ფიქსირდება კულტურული მემკვიდრეობის ძეგლი.

იქიდან გამომდინარე, რომ მუნიციპალიტეტში არსებული მიწები ძირითადად კერძო საკუთრებაშია და წარმოადგენს სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მქონე მიწებს, ასევე იმის გათვალისწინებით რომ ეს ვარიანტი მნიშვნელოვანი მანძილით არის დამორებული საცხოვრებელი სახლებიდან, ამასთან იმ მნიშვნელოვანი ფაქტორის გათვალისწინებით, რომ ტერიტორიაზე არსებობის მისასვლელი გზა, რომელიც არ გადის დასახლებულ პუნქტში, რითიც თავიდან იქნება აცილებული სატვირთო ავტომობილების გადაადგილება უშუალოდ დასახლებულ ტერიტორიაზე, რაც თავისთავად გამოიწვევს სატრანსპორტო საშუალებების მიერ წარმოქმნილი ხმაურით გამოწვეულ ზემოქმედებას მაცხოვრებლებზე, ასევე მინიმუმამდე იქნება დაყვანილი სატრანსპორტო რისკები და ამასთან, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, ჩატარებულმა კომპიუტერულმა და მეთოდური გათვლებმა აჩვენა, რომ ამ ტერიტორიაზე საწარმოს მოწყობით გარემოს სხვადასხვა კომპონენტებზე ზემოქმედება იქნება უმნიშვნელო, რაც ნულამდე იქნება დაყვანილი კომპანიის მიერ შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებების გათვალისწინებით.

ამასთან, მნიშვნელოვანია ის გარემოება, რომ მიწის ნაკვეთი მდებარეობს უკვე სახეცვლილ საწარმოო ზონაში, რომელიც ტექნოგენური დატვირთვის ქვეშ იმყოფება და საწარმოო მიზნებისთვის ახალი ტერიტორიების ათვისება, რაც დაკავშირებული იქნება ვიზუალურ-ლანდშაფტურ ცვლილებასთან არ ხდება.

ამ ფაქტორების მხედველობაში მიღებით, მესამე ალტერნატიული ვარიანტი გარემოსდაცვით, სოციალურ, ტექნიკურ და ეკონომიკურ ასპექტებთან მიმართებაში ჩაითვალა რელევანტურად ფეროშენადნობების საწარმოს მოსაწყობად. შესაბამისად, საწარმოსთვის შერჩეული იქნა მესამე ვარიანტი.

5.5 ტექნოლოგიური ალტერნატივები

მეტალურგიულ წარმოებაში არსებობს სადნობი ღუმელების რამდენიმე ალტერნატიული ვარიანტი, კერძოდ:

- ელექტრორკალური (ნახშირბადადღგენითი და სილიკოთერმული) მეთოდი - გამოდნობა ხდება რკალურ მადანთერმულ ღუმელში ელექტროენერჯის საშუალებით გამოყოფილი სითბოს ხარჯზე;
- ლითონთერმული მეთოდი - გამოდნობა ხდება კერიაში გარედან სითბოს მიწოდების ხარჯზე. პროცესისთვის საჭირო სითბო ეგზოთერმული რეაქციებით გამოიყოფა;
- ელექტროლიტური მეთოდი - ელემენტების აღდგენა ხდება გოგირდმჟავას ხსნარში გადასული შესაბამისი ოქსიდებიდან;
- გამოდნობა პლაზმურ ღუმელებში.

ზემოთ ჩამოთვლილი მეთოდებიდან, შერჩეული იქნა ელექტრორკალური მეთოდი, რადგან აღნიშნულ მეთოდს გააჩნია რიგი უპირატესობები, კერძოდ:

- ძირითად ტექნოლოგიურ პროცესში ენერჯის წყაროდ გამოიყენება ელექტროენერჯია და საჭირო არ არის დამატებით ენერჯის სხვა წყაროების გამოყენება, რომელთა წვის შედეგად ადგილი ექნება დამატებით ემისიებს;
- ფეროშენადნობების გამოდნობა შესაძლებელია როგორც უწყვეტი ისე პერიოდული ციკლით, რაც ელექტროენერჯის დაზოგვის და პროცესების ეკონომიურად მართვის საშუალებას იძლევა;
- შესაძლებელია თვითცხოვადი ელექტროდების გამოყენება, რომელიც გაცილებით იაფია გრაფიტისა და ნახშირის ელექტროდებთან შედარებით.

ყოველივე ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, უპირატესობა უნდა მიენიჭოს ელექტრორკალური ღუმელის გამოყენებას, როგორც გარემოზე ზემოქმედების შედარებით დაბალი რისკების, ასევე ეკონომიკური თვალსაზრისით.

5.6 მტვერგამწმენდი სისტემის ალტერნატიული ვარიანტები

საგულსხმოა ის ფაქტი, რომ საწარმოში დაგეგმილი სადნობი ღუმელის არჩევა განხორციელდა უკვე აპრობირებული ტექნოლოგიებიდან გამომდინარე, რომელიც მთლიანად აკმაყოფილებს ანალაგიური ტიპის საწარმოებისათვის შესარჩევ სადნობ ღუმელს.


დღეისობით მსოფლიოში გამოყოფილი მტვრის დასაჭერად ყველაზე ეფექტურ მტვერდამჭერ სისტემად ითვლება სახელოებიანი ფილტრები, რომლის ეფექტურობა აღწევს არანაკლებ 99 %-ს.

ამიტომ საწარმოში სადნობი ღუმელიდან გამოყოფილი აირმტვერნარების გასაწმენდად შეირჩეულ იქნა სახელოებიანი ფილტრი, რომლის წარმადობაა 50000 მ³/სთ-ში და გამომავალ ჰაერში მტვრის კონცენტრაცია არ აღემატება 20 მგ/მ³-ში.

აქედან გამომდინარე, საწარმოს მიერ შერჩეული იქნა ზემოთ აღნიშნული მტვერდამჭერი სისტემა, რომელიც უკვე აპრობირებულია ქვეყანაში ანალოგიური ტიპის საწარმოებში და რომელსაც გააჩნია მტვრის დაჭერის მაღალი ეფექტურობა. აქედან გამომდინარე მტვერდამჭერი სისტემის შერჩევის სხვა ალტერნატიული ვარიანტების განხილვა აღარ მომხდარა.

6. საპროექტო ტერიტორიასთან მისასვლელი გზები

შპს „დაგი“-ს ფეროშენადნობების საწარმოს საპროექტო ტერიტორიასთან მისასვლელი გზაა ზესტაფონი-სვირის საავტომობილო გზა. აღნიშნული გზაზე მოხვედრა შეიძლება ავტობანიდან. ავტობანის გადასახვევიდან საპროექტო ტერიტორიამდე მისასვლელი გზის მანძილი შეადგენს 2.8 კილომეტრს. ვინაიდან, აღნიშნული გზა დამაკმაყოფილებელ მდგომარეობაშია, საწარმოსთან მოსასვლელად ახალი გზის მოწყობა ან/და არსებულის რეაბილიტაცია გათვალისწინებული არ არის. ამასთან, საწარმოს ფუნქციონირების პროცესში, თუ მოხდება აღნიშნული გზის ვაკისის დაზიანება, მისი აღდგენა მოხდება კომპანიის მიერ ადგილობრივ მუნიციპალიტეტთან შეთანხმებით. ამასთან, კომპანიას უკვე გააჩნია აღნიშნული გზის გამოყენების და ამ გზის მეშვეობით ნედლეულის/პროდუქციის ტრანსპორტირების თანხმობა ადგილობრივი მუნიციპალიტეტიდან, რომელიც დანართის სახით თან ახლავს წინამდებარე დოკუმენტს (დანართი 5). სიტუაციური რუკა მისასვლელი გზის ჩვენებით, რომელიც გამოყენებული იქნება საწარმოს ტერიტორიაზე მოსახვედრად და ნედლეულის/პროდუქციის ტრანსპორტირებისთვის წარმოდგენილია სურათზე #6.1.



სურ 6.1 - საპროექტო ტერიტორიასთან მისასვლელი გზა

6.1 ნედლეულის/პროდუქციის ტრანსპორტირების შესახებ ინფორმაცია, დასახლებულ პუნქტში გადაადგილების პირობები, სატრანსპორტო ნაკადების მართვის საკითხი

როგორ წინამდებარე გზმ ანგარიშის შესაბამის თავშია მოცემული, საწარმოსთან მისასვლელად გამოყენებული იქნება ზესტაფონი-სვირის საავტომობილო გზა, რომელთან დაკავშირებაც ხდება თბილისი - სენაკი - ლესელიძის საავტომობილო მაგისტრალიდან (ავტობანიდან). მაგისტრალიდან საპროექტო ტერიტორიამდე მანძილი შეადგენს 2.8კმ-ს.

შესაბამისად საწარმოს ნედლეულით მომარაგება, ასევე საწარმოდან მზა პროდუქციის გატანა მოხდება აღნიშნული გზით. აქვე აღსანიშნავია ის გარემოება, რომ საპროექტო ტერიტორიამდე მისასვლელი გზა არ გადის დასახლებულ პუნქტში, რითაც თავიდან იქნება აცილებული ადგილობრივ მოსახლეობის შეწუხება. ამასთან, სასოფლო-სამეურნეო სავარგულებზე ზემოქმედების თავიდან აცილების მიზნით გათვალისწინებულია სატრანსპორტო საშუალებების ძარაგადახურული მოძრაობა და გარკვეული შეზღუდვების დაწესება. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით შემუშავებული შემარბილებელი ღონისძიებების, ასევე მონიტორინგის საკითხების შესახებ დეტალური ინფორმაცია მოცემულია წინამდებარე დოკუმენტის შემარბილებელი ღონისძიებების და გარემოსდაცვითი მონიტორინგის გეგმებში.

რაც შეეხება საწარმოს ნედლეულით, მანგანუმის მადნის კონცენტრატით მომარაგების საკითხს, მისი შემოტანა განხორციელდება ავტომანქანებით, როგორც საქართველოს ტერიტორიაზე არსებული საბადოებიდან (ძირითადად ჭიათურიდან), ასევე საზღვარგარეთის ქვეყნებიდან.

საწარმოს წარმადობის გათვალისწინებით დღის განმავლობაში ნედლეულის შემოტანის მიზნით საჭირო იქნება 4 სატრანსპორტო რეისის განხორციელება, ხოლო პროდუქციის საწარმოდან გატანის მიზნით გათვალისწინებულია 1 სატრანსპორტო რეისის განხორციელება. ამრიგად, დღის განმავლობაში განხორციელებული სატრანსპორტო ოპერაციების რაოდენობა არ გადააჭარბებს 5-ს. აღნიშნული რაოდენობა ადგილობრივ სატრანსპორტო ნაკადებზე ზემოქმედებას არ მოახდენს.

აღსანიშნავია, რომ საპროექტო ტერიტორიასთან მისასვლელი გზა არ გადის დასახლებული პუნქტის სიახლოვეს და ტრანსპორტის გადაადგილება უშუალოდ საწარმოს განთავსების რაიონში დასახლებული პუნქტის სიახლოვეს არ არის გათვალისწინებული. თუმცა, მისასვლელ გზასთან ახლოს განთავსებულია სასოფლო-სამეურნეო სავარგულები. ამასთან, როგორც უკვე აღინიშნა ნედლეულის შემოტანა განხორციელდება სხვადასხვა მუნიციპალიტეტებიდან. შესაბამისად სასოფლო-სამეურნეო სავარგულებზე და ასევე სხვა მუნიციპალიტეტების არსებულ ბუნებრივ და ფიზიკურ გარემოზე ზემოქმედების თავიდან აცილების მიზნით კომპანიამ შეიმუშავა შემარბილებელი ღონისძიებების გეგმა, რომელიც ითვალისწინებს ძარაგადახურული ავტოსატრანსპორტო საშუალებების გამოყენებას, სიჩქარის შეზღუდვას, სატრანსპორტო საშუალებებზე ტექნიკური გამართულობის კონტროლის დაწესებას, გზების მორწყვას და ასევე დამის საათებში ნედლეულის/პროდუქციის ტრანსპორტირების აკრძალვას. ამასთან დოკუმენტს თან

ერთვის გარემოსდაცვითი მონიტორინგის გეგმა, რომელიც სხვა საკითხებთან ერთად განსაზღვრავს აღნიშნულ საკითხებზე გარემოსდაცვითი მონიტორინგის წარმოების პროცესს.

იმის გათვალისწინებით, რომ საწარმოსთან მისასვლელი გზები არ გადის დასახლებულ პუნქტში, ასევე იმის გათვალისწინებით, რომ დღის განმავლობაში დაგეგმილი სატრანსპორტო ოპერაციების რაოდენობა მცირეა, დაგეგმილი შემარბილებელი და სამონიტორინგო ღონისძიებების გატარების პირობით, ნედლეულის/პროდუქციის ტრანსპორტირებით გამოწვეული ზემოქმედება მოსახლეობაზე და სატრანსპორტო ნაკადებზე მინიმუმამდე იქნება დაყვანილი და თავიდან აცილებული.

6.2 ინფორმაცია ნედლეულის/პროდუქციის გადაზიდვისთვის გამოყენებული სატრანსპორტო საშუალებების შესახებ

საწარმოო ობიექტის ნედლეულით უზრუნველყოფის, ასევე საწარმოდან მზა პროდუქციის გატანის მიზნით გამოყენებული იქნება სხვადასხვა მარკის სატვირთო ავტომობილი, სულ 5 ერთეული. აღნიშნული სატრანსპორტო საშუალებების საწვავით გამართვა მოხდება მუნიციპალიტეტში არსებული საწვავსამართი სადგურებიდან, ხოლო ტექნიკურ შემოწმებას მუნიციპალიტეტში არსებულ ტექ. მომსახურების ცენტრებში მათთან გაფორმებული ხელშეკრულების შესაბამისად.

7. დაგეგმილი საქმიანობის დეტალური აღწერა, საწარმოს ტექნოლოგიური პროცესი

7.1 საქმიანობის დეტალური აღწერა, ინფრასტრუქტურული ობიექტების მშენებლობა/მოწყობა

როგორც უკვე აღინიშნა საპროექტო ტერიტორიაზე დაგეგმილია ფეროშენადნობების საწარმოს მოწყობა შესაბამისი ინფრასტრუქტურით. საწარმოო პროცესის უზრუნველყოფის მიზნით დაგეგმილია შემდეგი ძირითადი და დამხმარე ინფრასტრუქტურული ობიექტების მოწყობა:


1. ანგარის ტიპის საწარმოო შენობა, რომელიც მოიცავს: ელ. ღუმელების განთავსების საამქროს უბანს, მზა პროდუქციის დასაწყობების უბანს, მაღანთერმულ ელექტრო ღუმელს, სატრანსფორმატოროს, გრანულაციის ორმოს, ნედლეულის მიმღებ ბუნკერებს, ელ. ხიდურა ამწეს და აირგამწმენდ ნაგებობას. დაგეგმილი საწარმოო შენობის პარამეტრები იქნება: 34.8X12.7X16.5(h). საწარმოო შენობის ტექნიკური ნახაზები დანართის სახით თან ერთვის წინამდებარე გზმ ანგარიშს (დანართი 7), ხოლო საწარმოს გენ. გეგმა შესაბამისი ექსპლიკაციით მოცემულია სურათზე #7.1.1. ლითონის კონსტრუქციის მქონე ანგარის ტიპის შენობის მოწყობა გათვალისწინებულია რკინა-ბეტონის საძირკველზე, ორქანობიანი გადახურვით. მოწყობის შემდეგ ლითონის შედგება მოხდება ანტიკოროზიული საღებავით;
2. ადმინისტრაციული საოფისე შენობა, რომლის პარამეტრები იქნება: 13X12X4(h);
3. ადმინისტრაციული საოფისე შენობისთვის განკუთვნილი ფეკალური წყლების ორმო, რომლის პარამეტრები იქნება: 5.8X3.3X2.5(h), 47.8მ³ მოცულობის;
4. საყარაულო, რომლის პარამეტრები იქნება: 3X3X4(h);
5. ცალკე მდგომი WC, შესაბამისი ფეკალური წყლების ორმითი, პარამეტრებით: 3.2X3X2.80(h), 26.8მ³ მოცულობის;

6. ნედლეულის ღია საწყობი 4 სექციით, თითოეული სექციის პარამეტრები იქნება: 8.0 X 7.0;
7. ობიექტის ტერიტორიაზე დაგეგმილია არტეზიული ჭის მოწყობა, რომელზეც კომპანია მოიპოვებს სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების შესაბამის ლიცენზიას სსიპ მინერალური რესურსების ეროვნული სააგენტოდან;
8. 15 ტონა მოცულობის მქონე წყლის საწნეო ავზი, რომლის შევსებაც მოხდება არტეზიული ჭაბურღილიდან;
9. 8 ავტომანქანისთვის განკუთვნილი საპარკინგე ადგილი,

ამასთან, საწარმოო ტერიტორია შემოიღობება, მოეწყობა ტერიტორიაზე შესასვლელი ძირითადი ჭიშკარი, ხოლო საპროექტო ტერიტორიის იმ ნაწილზე, რომელზედაც არ არის ინფრასტრუქტურული ობიექტების მოწყობა დაგეგმილი გამწვანდება გაზონით.

აქვე აღსანიშნავია, რომ საწარმოო შენობის გარდა, ყველა დამხმარე ნაგებობა იქნება მობილური ტიპის, ასაწყობი და მათი მონტაჟისთვის სამშენებლო სამუშაოების განხორციელება, მათ შორის საძირკვლების მოწყობა გათვალისწინებული არ არის. აღნიშნული მობილური შენობები მოეწყობა მოხრეშილ ტერიტორიაზე. შესაბამისად, ამ ნაგებობების მონტაჟით გამოწვეული უარყოფითი ზემოქმედება გარემოს რომელიმე კომპონენტზე მოსალოდნელი არ არის.

საწარმოს ტერიტორიაზე წარმოქმნილი სამეურნეო-ფეკალური და სანიაღვრე წყლების გატანა მოხდება შევსებისთანავე ქალაქის კომუნალური სამსახურის მიერ, მათთან გაფორმებული შეთანხმების შესაბამისად.



სურ.7.1.1 - საწარმოს გენ. გეგმა შესაბამისი უქსპლიკაციით

7.2 საწარმოს შემადგენელი ტექნიკური და ტექნოლოგიური დანადგარების აღწერა

შპს „დაგის“ ფეროშენადნობების საწარმოში დამონტაჟებული იქნება ღუმელი, რომელიც აღჭურვილი იქნება ტექნოლოგიური პროცესების მიმდინარეობისას წარმოქმნილი აირების და მტვერის ევაკუაციისათვის აუცილებელი გამწოვი ვენტილაციით და სპეციალური ფილტრებით.

ღუმელიდან გამოსული აირების ტემპერატურა დაახლოებით 100⁰-350⁰ C-მდე მერყეობს, რომელიც ღუმელიდან გამოსვლის შემდეგ მოხვდება ჯერ ციკლონში, სადაც მოხდება დიდი ზომის ნაწილაკების დალექვა და შემდეგ მშრალი გამწმენდის სახელოებიან ფილტრებში, საიდანაც გაწმენდილი ჰაერი მძლავრი ვენტილატორით 14 მ სიმაღლის და 0.8 მ დიამეტრის მქონე საკვამლე მილიდან ატმოსფეროში გაიტყორცნება. აღნიშნული მი

როგორც უკვე აღინიშნა, ფეროშენადნობების დნობისათვის გამოყენებული იქნება სპეციალური კონსტრუქციული, ელექტროდოღური ტიპის ღუმელი, რომლის სიმძლავრე იქნება 5.5 მგვტ.

ღუმელი წარმოადგენს 20 მმ ფურცლოვანი რკინისაგან შეკრულ მრგვალ ქვაბისებურ კონსტრუქციას, 60 % მაღალალუმინიანი ცეცხლგამძლე აგურისა (შამოტის) და სპეციალური პასტის ამონაგებით. მაღალტემპერატურულ რეჟიმში ფეროშენადნობთა მიღება ხორციელდება კონვექციის გზით. ღუმელში განლაგებულია სადნობ მასაში ნაწილობრივ ჩაფლული ელექტროდები, რომლებიც განლაგებულია სამკუთხედის წვეროებზე. მათი ბალანსირება დნობის პროცესში, კერძოდ გადაადგილება დნობისას ხორციელდება ჰიდრავლიკური სისტემით და გადაადგილების რეგულირებით მიიღწევა სასურველი ელექტრული პირობები.

გარდა ამისა, საწვავი ღუმელის შემადგენლობაში შედის:

- სპილენძის მილების წყლის გამაციებელი მოკლე ხაზი;
- სპილენძის კონტაქტები;
- ელექტროდის დაცურების მექანიზმი;
- ჰიდრავლიკის მექანიზმი თავისი მართვით;
- ელექტროგაყვანილობები;
- კაზმის სახარჯი ღუმელი და კონვეიერი;
- წყლის გამაგრილებელი სისტემა;
- ღუმელის ტრანსფორმატორი;
- რეაქტიული დენების კომპენსაციის დანადგარები;

ღუმელს მოემსახურება 5.5 მგვტიანი ტრანსფორმატორი, რომელიც აღჭურვილი იქნება საფეხურების გადამრთველით, გაზისა და წნევის რელეთი, ზეთის ტუმბოთი, მარშალინგ ბოქსით, კიპის (საკონტროლო-გამზომი) ხელსაწყოებით; უზრუნველყოფილია მაღალი და დაბალი ძაბვის, შესაბამისი ამპერაჟის დენით. ღუმელის ტრანსფორმატორი დაცულია კომპლექსური გამანაწილებელი უჯრედის მეშვეობით.

ღუმელის ტრანსფორმატორის საპასპორტო მონაცემები წარმოდგენილია ცხრილში #7.2.1.


ცხრილი 7.2.1 - ღუმელის ტრანსფორმატორის საპასპორტო მონაცემები

#	დასახელება	ტიპი	პარამეტრები
1.	საფეხურების გადამრთველი	3xმ1802-72,5/ბ-17.17.0 მა 2	17 საფეხური - 92 ვოლტიდან 165 ვოლტამდე
2.	გაზის რელე	ბაკხოლცის	ამძრ ძალა 125 - 130 გრ.
3.	წნევის რელე	ბსტრ-34/66	0.95 - 4.0 ატმ (კგ/სმ ²)
4.	ზეთის ტუმბო	1143 ლ.	850 ლ/წთ-ში, 2850 ბრ/წთ.
5.	მაღალი დაბვა	-	10 კვ.
6.	დაბალი დაბვა	-	92 - 165 ვტ.
7.	მაღალი დაბვის დენი	1 საფ/17 საფ	455 ამპ / 519 ამპ
8.	დაბალი დაბვის დენი	1 საფ/17 საფ	49900 ამპ / 31500 ამპ
9.	ზეთის ტუმბო	ფტტ-200 კვტ	900 ლ/წთ 0.5 ატმ.
10.	ზეთის გამაფართოებელი ბაკი	ცილინდრი	650 ლიტრი
11.	მარშალინგ ბოქსი	მტკ-3 აა	ბიჯის გადამრთავი მექანიზმი
12.	კიპის ხელსაწყოები	ტპ 2-2/80	ტემპ. გაზომვა 80 - 110 გრად.

ღუმელის ტრანსფორმატორის დაცვას აწარმოებს:

- კომპლექსური გამანაწილებელი მოწყობილობის უჯრედი, დახურული ტიპის 3150 ამპერიანი ვაკუუმური, საკომუტაციო აპარატი;
- მოკლე შერთვის დენი 31 ka. სამუშაო დაბვა 12 kV;
- დენის ტრანსფორმატორი 3000/5-5 A , სიზუსტის კლასი 5P;
- ჩამონტაჟებული დაბვის ტრანსფორმატორი;
- ოპერატიული დაბვა 220 ვ;
- გადადაბვის შემზღუდველი 12 kV;
- მაქსიმალური დენის დაცვის რელე MiCOm P122.

კომპლექსური გამანაწილებელი მოწყობილობის უჯრედის, დახურული ტიპის სურათი მოცემულია სურათზე # 7.2.2-ში.



სურ. 7.2.2 - კომპლექსური გამანაწილებელი მოწყობილობის უჯრედი

ღუმელში დნობისას წარმოქმნილი მტვრის დასაჭერად გათვალისწინებულია ასპირაციული სისტემის მოწყობა. საწარმოში წარმოქმნილი აირმტვერნარევის მოცულობა იქნება 45 000 მ³/სთ-ს.

აირების გაწმენდისათვის გათვალისწინებულია ორსაფეხურიანი სისტემის მოწყობა რომლის შემადგენლობაში იქნება ციკლონი და სახელოებიანი ფილტრები.

პროექტის მიხედვით გამწმენდი სისტემის ეფექტურობა იქნება 99%. აირგამწმენდ სისტემაში შესვლამდე მტვრის კონცენტრაცია დასაშვებია იყოს 2 გ/მ³, ხოლო ფილტრის გამოსავალზე არაუმეტეს 20 მგ/მ³. სახელოებიან ფილტრებში გაწმენდის შემდეგ გაფრქვევა მოხდება საკვამლე მილით, რომლის დიამეტრი იქნება 0.8 მ, ხოლო სიმაღლე 14 მ.

გამწოვი სისტემის საშუალებით, ღუმელებიდან გამომავალი აირმტვერნარევი თავდაპირველად მოხვდება ციკლონში, სადაც ხდება დიდი ზომის მტვრის ნაწილაკების დალექვა და შემდგომ სახელოებიან ფილტრებში. სახელოებიანი ფილტრის პარამეტრებია:

- ფილტრების სახელოების რაოდენობა - 150 ცალი;
- აირის წნევითი დატვირთვა, მ³/მ² წუთში 0,8-მდე;
- ფილტრის ჰიდრაულიკური წინააღმდეგობა, არაუმეტეს 2.0 კპასკ;
- გასაწმენდი აირის ტემპერატურა, 120 °C-მდე;
- მტვრის კონცენტრაცია გაწმენდის შემდეგ - არაუმეტეს 20 მგ/მ³;
- შეკუმშული ჰაერის ხარჯი 12,5 მ³/წმ;
- შეკუმშული ჰაერის წნევა 6-7 კგ/სმ²;
- ფილტრის ზედაპირის ფართობი 1450მ²;
- როგორც აღინიშნა ფილტრის გამოსავალზე აირმტვერნარევი მტვრის შემცველობა არ იქნება 20 მგ/მ³-ზე მეტი.

გარდა ამისა, საწარმო აღჭურვილი იქნება ღუმელისა და ტრანსფორმატორის წყლით გაციების მბრუნავი სისტემით. დაგეგმილი პროექტის მიხედვით, საწარმოში ღუმელის და ტრანსფორმატორის გაგრილებისთვის გათვალისწინებულია ბრუნვითი წყალმომარაგების სისტემის მოწყობა. შესაბამისად მნიშვნელოვანად შემცირდება ამ მიზნით გამოყენებული წყლის რაოდენობა და წყლით გარემოს დაბინძურების რისკები.

წყალი, რომლის მეშვეობითაც მოხდება ღუმელის და მისი დანადგარების გაგრილება გაივლის სპეციალური დამუშავების ეტაპს. დამუშავებული წყალი ნადებს არ გაიკეთებს მილებში და არ გაჭედავს წყლის ონკანებს და ღარებს. წყლის გამაციებლის სიმძლავრე შეადგენს 120 მ³/სთ-ს, ხოლო წყლის დანაკარგი იქნება 1%, ანუ 1.2 მ³/სთ. ანუ, ყოველ 1 საათში გამაციებელი სისტემის მიერ მოხდება 1,2მ³ წყლის დაკარგვა, ხოლო დანარჩენი ბრუნვითი სისტემის მეშვეობით დაბრუნებული იქნება გამაციებელ სისტემაში. შესაბამისად საწარმოს 24 საათიანი სამუშაო რეჟიმის გათვალისწინებით დღე-ღამის განმავლობაში წყლის დანაკარგი იქნება 28.8 მ³, რაც წლის განმავლობაში შეადგენს დაახლოებით 9792 მ³-ს, ამას დაემატება 120მ³ წყალი, რომელიც თავდაპირველად იქნება გაშვებული სისტემაში. აღნიშნული წყლის ხარჯი ფორმულის სახით ასე გამოისახება: $1.2\text{მ}^3 \times 24\text{სთ} \times 340\text{დღე} = 9792\text{მ}^3 + 120\text{მ}^3 = 9912\text{მ}^3$. აქედან გამომდინარე, საწარმოს წყლის გამაციებელი სისტემის წლიური ხარჯი იქნება 9912მ³.

საწარმოს წყლის დანაკარგის შევსება მოხდება საწარმოს ტერიტორიაზე დაგეგმილი არტეზიული ჭაბურღილიდან.

ამასთან, საწარმო აღჭურვილი იქნება ელექტრონული პანელებით, რომლებიც იმართება ოპერატორების მიერ. პანელებით მოხდება საკაზმე მასალების აწონვა-ჩატვირთვა და ღუმელის მართვა. ღუმელზე ასევე არის გათვალისწინებული ლოჯისტიკური მართვის კონტროლერი, რომელსაც შეუძლია მართოს ღუმელი ავტომატურ რეჟიმში.


7.2.1 მტვერდამჭერი მოწყობილობების და მისი ეფექტურობის დეტალური აღწერა

- მომიჯნავე ობიექტის სამსახურების შეტყობინება;
- ავარიის შედეგად შექმნილი სიტუაციის შეფასება და რეაგირების ღონისძიებათა დაწყება;
- რეაგირების კატეგორიის განსაზღვრა;
- ავარიული შემთხვევის შედეგების ლიკვიდაციის სამსახურის მობილიზება და მზადყოფნაში მოყვანა;
- ავარიული შემთხვევის (გარემოს შესაძლებელი დაბინძურების) ადგილმდებარეობის სქემაზე აღნიშვნა;
- გარემოს შესაძლებელი დაბინძურების რაოდენობრივი შეფასება და შესაძლებელი გავრცელების განსაზღვრა;
- ავარიულ შემთხვევასთან დაკავშირებული უსაფრთხოების მოთხოვნების შეფასება;
- რეაგირების სტრატეგიის შემუშავება;
- არსებული რესურსების შეფასება და მობილიზება;
- მიმდინარე რეაგირების სამუშაოთა ხელმძღვანელობა;
- სალიკვიდაციო სამუშაოთა დამთავრების პირობების განსაზღვრა;
- სალიკვიდაციო სამსახურის მოქმედების შეწყვეტა;
- მობილიზებული რესურსების მდგომარეობის შემოწმება;
- სამთავრობო და დაინტერესებული ორგანოების და პირების შეტყობინება სალიკვიდაციო სამუშაოების დასრულების შესახებ.
- ავარიული სიტუაციის დოკუმენტირება, სადაც დაფიქსირებული უნდა იყოს:
 - ავარიული შემთხვევის თარიღი, დრო და კლასი (გარემოს შესაძლებელი/აღმოჩენილი დაბინძურების მიხედვით);

- გამომვლენის/ინფორმაციის მომწოდებლის ვინაობა;
- გარემოს დაბინძურების მდგომარეობა, მისი გავრცელება და დაბინძურებული ტერიტორიის ფართობი;
- მეტეოპირობები (ქარის სიჩქარე, მიმართულება, და სხვა);
- დაბინძურების დახასიათება ტიპის მიხედვით;
- დაბინძურების წყარო;
- სხვა დამკვირვებლების მონაცემები.

11.3 ხანძარი/აფეთქება

ხანძრის აღმოცენება-გავრცელებისა და აფეთქების რისკები არსებობს ობიექტის ექსპლუატაციის დროს. ავარიის გამომწვევი ფაქტორი ძირითადად შეიძლება იყოს ანთროპოგენური, კერძოდ: მომსახურე პერსონალის გულგრილობა და უსაფრთხოების წესების დარღვევა. აფეთქების და ხანძრის გავრცელების პროვოცირება შეიძლება სტიქიურმა მოვლენამაც მოახდინოს (მაგ. მიწისძვრა).

ხანძრის/აფეთქების თანმდევი პროცესები შეიძლება იყოს:

- საშიში ნივთიერებების ზალპური გაფრქვევა / დაღვრა;
- პერსონალის ან მოსახლეობის ტრავმები და მათი ჯანმრთელობის უსაფრთხოებასთან დაკავშირებული შემთხვევები.

11.3.1 რეაგირება ხანძრის აღმოჩენა-გავრცელების შემთხვევაში

ხანძრის კერის ან კვამლის აღმომჩენი პირის სტრატეგიული ქმედებებია:

- სამუშაო უბანზე ყველა საქმიანობის შეწყვეტა, გარდა უსაფრთხოების ზომებისა;
- სიტუაციის შეფასება, ხანძრის კერის და მიმდებარე ტერიტორიების დაზვერვა;
- შეძლებისდაგვარად ტექნიკის და სხვა დანადგარ-მოწყობილობების იმ ადგილებიდან გაყვანა/გატანა, სადაც შესაძლებელია ხანძრის გავრცელება.
- ელექტრომოწყობილობები უნდა ამოირთოს წრედიდან;
- იმ შემთხვევაში თუ ხანძარი მძლავრია და გაძნელებულია ხანძრის კერასთან მიდგომა, მიმდებარედ განლაგებულია რაიმე ხანძარსაშიში ან ფეთქებადსაშიში უბნები/ნივთიერებები, მაშინ:
 - მოშორდით სახიფათო ზონას;
 - ევაკუირებისას თუ თქვენ გიწევთ კვამლიანი დახურული სივრცის გადაკვეთა, დაიხარეთ, რადგან ჰაერი ყველაზე სუფთა იატაკთანაა, ცხვირზე და პირზე აიფარეთ სველი ნაჭერი;
 - თუ ვერ ახერხებთ ევაკუაციას აღმოდებული გასასვლელის გამო ხმამაღლა უხმეთ მშველელს;
 - ავარიის შესახებ შეტყობინება გადაეცით საწარმოს ხელმძღვანელობას;
 - დაელოდეთ სამაშველო რაზმის გამოჩენას და მათი მოსვლისას გადაეცით დეტალური ინფორმაცია ხანძრის მიზეზების და ხანძრის კერის სიახლოვეს არსებული სიტუაციის შესახებ;

- იმ შემთხვევაში თუ ხანძარი არ არის მძლავრი, ხანძრის კერა ადვილად მისადგომია და მასთან მიახლოება საფრთხეს არ უქმნის თქვენს ჯანმრთელობას. ამასთან არსებობს მიმდებარე ტერიტორიებზე ხანძრის გავრცელების გარკვეული რისკები, მაშინ იმოქმედეთ შემდეგნაირად:
- ავარიის შესახებ შეტყობინება გადაეცით საწარმოს ხელმძღვანელობას;
- მოძებნეთ უახლოესი სახანძრო სტენდი და მოიმარაგეთ საჭირო სახანძრო ინვენტარი (ცეცხლმაქრობი, ნაჯახი, ძალაყინი, ვედრო და სხვ);
- ეცადეთ ხანძრის კერის ლიკვიდაცია მოახდინოთ ცეცხლმაქრობით, ცეცხლმაქრობზე წარმოდგენილი ინსტრუქციის მიხედვით;
- იმ შემთხვევაში თუ უბანზე არ არსებობს სახანძრო სტენდი, მაშინ ხანძრის ჩასაქრობად გამოიყენეთ ქვიშა, წყალი ან გადააფარეთ ნაკლებად აალებადი ქსოვილი;
- იმ შემთხვევაში თუ ხანძრის კერის სიახლოვეს განლაგებულია წრედში ჩართული ელექტროდანადგარები წყლის გამოყენება დაუშვებელია;
- დახურულ სივრცეში ხანძრის შემთხვევაში ნუ გაანიავებთ ოთახს (განსაკუთრებული საჭიროების გარდა), რადგან სუფთა ჰაერი უფრო მეტად უწყობს ხელს წვას და ხანძრის მასშტაბების ზრდას. ხანძრის შემთხვევაში საწარმოს ხელმძღვანელის სტრატეგიული ქმედებებია:
- დეტალური ინფორმაციის მოგროვება ხანძრის კერის ადგილმდებარეობის, მიმდებარედ არსებული/დასაწყობებული დანადგარ-მექანიზმების და ნივთიერებების შესახებ და სხვ;
- სახანძრო სამსახურის ინფორმირება;
- სხვა პერსონალის და სახანძრო სამსახურის ინფორმირება;
- ინციდენტის ადგილზე მისვლა და სიტუაციის დაზვერვა, რისკების გაანალიზება და ხანძრის სავარაუდო მასშტაბების შეფასება;
- მთელს პერსონალს ეთხოვოს მანქანებისა და უბანზე არსებული ხანძარსაქრობი აღჭურვილობის გამოყენება;
- სახანძრო სამსახურის მოსვლამდე პერსონალის ქმედებების გაკონტროლება და ხელმძღვანელობა.

11.4 პერსონალის ტრავმები და მათი ჯანმრთელობის უსაფრთხოებასთან დაკავშირებული ინციდენტები

გარდა სხვა ავარიულ სიტუაციებთან დაკავშირებული ინციდენტებისა მუშახელის ტრავმატიზმი შესაძლოა უკავშირდებოდეს:

- გამოყენებულ ტექნიკასთან/მანქანებთან დაკავშირებულ ინციდენტებს;
- დენის დარტყმას დაბვის ქვეშ მყოფი დანადგარების სიახლოვეს ყოფნისას.

11.4.1 რეაგირება პერსონალის ტრავმატიზმის შემთხვევაში

ადამიანის დაშავების აღმომჩენი პირის უპირველეს ქმედებას წარმოადგენს ინციდენტის შესახებ შეტყობინების სასწრაფო გადაცემა. სასწრაფო სამედიცინო დახმარების გამოჩენამდე დაშავებულს პირველადი დახმარება უნდა გაეწიოს შემდგომ ქვეთავებში მოცემული პირველადი დახმარების სტრატეგიის მიხედვით: პირველადი დახმარების გაწევამდე აუცილებელია სიტუაციის შეფასება და დადგენა ქმნის თუ არა საფრთხეს დაშავებულთან მიახლოვება.

11.4.2 პირველადი დახმარება მოტეხილობის დროს

არჩევნ ძვლის ღია და დახურულ მოტეხილობას. ღია მოტეხილობისათვის დამანასიათებელია კანის საფარველის მთლიანობის დარღვევა. ამ დროს დაზიანებულ არეში არის ჭრილობა და სისხლდენა. ღია მოტეხილობის დროს მალაღია ინფიცირების რისკი. ღია მოტეხილობის დროს:

- დროულად მოუხმეთ დამხმარეს, რათა დამხმარემ ჩაატაროს სხეულის დაზიანებული ნაწილის იმობილიზაცია, სანამ თქვენ დაამუშავებთ ჭრილობას;
- დაფარეთ ჭრილობა სუფთა საფენით და მოახდინეთ პირდაპირი ზეწოლა სისხლდენის შეჩერების მიზნით. არ მოახდინოთ ზეწოლა უშუალოდ მოტეხილი ძვლის ფრაგმენტებზე;
- ჭრილობაზე თითებით შეხების გარეშე, საფენის ზემოდან ფრთხილად შემოფარგლეთ დაზიანებული არე სუფთა ქსოვილით და დააფიქსირეთ ის ნახვევით;
- თუ ჭრილობაში მოჩანს მოტეხილი ძვლის ფრაგმენტები, მოათავსეთ რბილი ქსოვილი ძვლის ფრაგმენტების გარშემო ისე, რომ ქსოვილი სცილდებოდეს მათ და ნახვევი არ ახდენდეს ზეწოლას ძვლის ფრაგმენტებზე. დაამაგრეთ ნახვევი ისე, რომ არ დაირღვეს სისხლის მიმოქცევა ნახვევის ქვემოთ;
- ჩაატარეთ მოტეხილი ძვლის იმობილიზაცია, ისევე, როგორც დახურული მოტეხილობისას;
- შეამოწმეთ პულსი, კაპილარული ავსება და მგრძნობელობა ნახვევის ქვემოთ ყოველ 10 წთ-ში ერთხელ.

თუ დახურულ მოტეხილობასთან გვაქვს საქმე და კანის მთლიანობა დაზიანებულ არეში დარღვეული არ არის. ამ დროს დაზიანებულ არეში აღინიშნება სისხლჩაქცევა და შეშუპება. დახურული მოტეხილობის დროს:

- სთხოვეთ დაზარალებულს იწვეს მშვიდად და დააფიქსირეთ სხეულის დაზიანებული ნაწილი მოტეხილობის ზემოთ და ქვემოთ ხელით, სანამ არ მოხდება მისი იმობილიზაცია (ფიქსაცია);
- კარგი ფიქსაციისათვის დაამაგრეთ სხეულის დაზიანებული ნაწილი დაუზიანებელზე. თუ მოტეხილობა არის ხელზე დააფიქსირეთ ის სხეულზე სამკუთხა ნახვევის საშუალებით. ფეხზე მოტეხილობის არსებობისას დააფიქსირეთ დაზიანებული ფეხი მეორეზე. შეკარით კვანძები დაუზიანებელი ფეხის მხრიდან;

- შეამოწმეთ პულსი, მგრძობელობა და კაპილარული ავსება ნახვევის ქვემოთ ყოველ 10 წთ-ში ერთხელ. თუ სისხლის მიმოქცევა ან მგრძობელობა დაქვეითებულია, დაადეთ ნაკლებ მჭიდრო ნახვევი.

11.4.3 პირველადი დახმარება ქრილობის და სისხლდენის დროს

არსებობს სამი სახის სისხლდენა:

სისხლი ცოტაა. ამ დროს ინფექციის საშიშროება მეტია:

- დაშავებულს მობანეთ ქრილობა დასაღვევად ვარგისი ნებისმიერი უფერო სითხით;
- შეახვიეთ ქრილობა სუფთა ქსოვილით;

სისხლი ბევრია. ამ დროს არსებობს სისხლის დაკარგვის საშიშროება:

- დააფარეთ ქრილობას რამდენიმე ფენად გაკეცილი ქსოვილი და გააკეთეთ დამწოლი ნახვევი;
- თუ სისხლი ისევ ჟონავს, ქრილობაზე ქსოვილი კიდევ დაახვიეთ (სისხლით გაქლენთილი ქსოვილი არ მოხსნათ) და ძლიერად დააწექით სისხლმდინარ არეს;

ქრილობიდან სისხლი შადრევანივით ასხამს. ამ დროს სისხლი ძალიან სწრაფად იკარგება. ამის თავიდან ასაცილებლად არტერიის საპროექციო არეს (ქრილობის ზემოთ) თითით (ან თითებით) უნდა დააწვეთ, შემდეგ კი ლახტი დაადოთ. არტერიაზე ზეწოლის ადგილებია:

- მხრის ქვედა მესამედი და ბარძაყის ზედა მესამედი. ლახტის დადების წესი ასეთია: o ლახტს მხოლოდ უკიდურეს შემთხვევაში ადებენ, რადგან ის ხშირად შეუქცევად დაზიანებებს იწვევს;
- ლახტი ედება ქრილობის ზემოთ;
- ლახტის დასადები ადგილი ტანსაცმლით უნდა იყოს დაფარული. თუ ქრილობის ადგილი შიშველია, ლახტს ქვეშ სუფთა ქსოვილი უნდა დავუფინოთ;
- პირველი ნახვევი მჭიდრო უნდა იყოს (შეძლებისდაგვარად უნდა დამაგრდეს), შემდეგ ლახტი იჭიმება და ქრილობის არეს დამატებით ედება 3-4-ჯერ (ლახტის მაგივრად შეიძლება გამოყენებულ იქნეს თოკი, ქამარი და სხვა);
- ლახტი ზამთარში ერთი, ზაფხულში კი ორი საათით ედება. შემდეგ 5-10 წუთით უნდა მოვუშვათ და თავდაპირველი ადგილიდან ოდნავ ზემოთ დავადოთ;
- შეამოწმეთ, სწორად ადევს თუ არა ლახტი - სწორად დადების შემთხვევაში კიდურზე პულსი არ ისინჯება;
- არ ჩავყოთ ხელი ქრილობაში;
- ქრილობიდან არაფერი ამოვიდოთ. თუ ქრილობიდან გამოჭრილია უცხო სხეული, ვეცადოთ, ის მაქსიმალურად დავაფიქსიროთ (ნახვევი დავადოთ გამოჩრილი უცხო სხეულის ირგვლივ).

შინაგანი სისხლდენა ძნელად აღმოსაჩენი დაზიანებაა. ეჭვი მიიტანეთ შინაგან სისხლდენაზე, როდესაც ტრავმის მიღების შემდეგ აღინიშნება შოკის ნიშნები, მაგრამ არ არის სისხლის თვალსაჩინო დანაკარგი. შინაგანი სისხლდენის დროს:

- დააწინეთ დაზარალებული ზურგზე და აუწიეთ ფეხები ზემოთ;
- შეხსენით მჭიდრო ტანსაცმელი კისერზე, გულმკერდზე, წელზე;
- არ მისცეთ დაზარალებულს საჭმელი, წამალი და სასმელი. თუ დაზარალებული გონზეა და აღენიშნება ძლიერი წყურვილის შეგრძნება, დაუსველეთ მას ტუჩები;
- დაათბუნეთ დაზარალებული – გადააფარეთ საბანი ან ქსოვილი;
- ყოველ 10 წთ-ში ერთხელ გადაამოწმეთ პულსი, სუნთქვა და ცნობიერების დონე. თუ დაზარალებული კარგავს გონებას, მოათავსეთ უსაფრთხო მდებარეობაში.

11.4.4 პირველადი დახმარება ელექტროტრავმის შემთხვევაში.

არჩევნ ელექტროტრავმის სამ სახეს:

მაღალი ძაბვის დენით გამოწვეული ელექტროტრავმა:

მაღალი ძაბვის დენით გამოწვეული ელექტროტრავმის დროს განვითარებული დაზიანება უმრავლეს შემთხვევაში სასიკვდილოა. ამ დროს ვითარდება მძიმე დამწვრობა. კუნთთა ძლიერი შეკუმშვის გამო, ხშირად დაზარალებული გადაისროლება მნიშვნელოვან მანძილზე, რაც იწვევს მძიმე დაზიანებების (მოტენილობების) განვითარებას. მაღალი ძაბვის დენით გამოწვეული ელექტროტრავმის შემთხვევაში:

- არ შეიძლება დაზარალებულთან მიახლოვება, სანამ არ გამოირთვება დენი და საჭიროების შემთხვევაში, არ გაკეთდება იზოლაცია.
- შეინარჩუნეთ 18 მეტრის რადიუსის უსაფრთხო დისტანცია.
- არ მისცეთ სხვა თვითმხილველებს დაზარალებულთან მიახლოვების საშუალება.
- ელექტროტრავმის მიღების შემდეგ, უგონოდ მყოფ დაზარალებულთან მიახლოვებისთანავე გახსენით სასუნთქი გზები თავის უკან გადაწვევის გარეშე, ქვედა ყბის წინ წამოწევით;
- შეამოწმეთ სუნთქვა და ცირკულაციის ნიშნები. მზად იყავით რეანიმაციული ღონისძიებების ჩატარებისათვის;
- თუ დაზარალებული უგონო მდგომარეობაშია მაგრამ სუნთქავს, მოათავსეთ იგი უსაფრთხო მდებარეობაში;
- ჩაატარეთ პირველი დახმარება დამწვრობისა და სხვა დაზიანებების შემთხვევაში.

დაბალი ძაბვის დენით გამოწვეული ელექტროტრავმა. დაბალი ვოლტაჟის დენით განპირობებული ელექტროტრავმა შეიძლება გახდეს სერიოზული დაზიანებისა და სიკვდილის მიზეზიც კი. ხშირად ამ ტიპის ელექტროტრავმა განპირობებულია დაზიანებული ჩამრთველებით, ელექტროგაყვანილობითა და მოწყობილობით. სველ იატაკზე დგომის ან სველი ხელებით დაუზიანებელ ელექტროგაყვანილობაზე შეხებისას ელექტროტრავმის მიღების რისკი მკვეთრად მატულობს. დაბალი ძაბვის დენით გამოწვეული ელექტროტრავმის შემთხვევაში:

- არ შეეხოთ დაზარალებულს, თუ ის ეხება ელექტროდენის წყაროს;
- არ გამოიყენოთ ლითონის საგნები ელექტროდენის წყაროს მოშორების მიზნით;

- თუ შეგიძლიათ, შეწყვიტეთ დენის მიწოდება (გამორთეთ დენის ჩამრთველი). თუ ამის გაკეთება შეუძლებელია, გამორთეთ ელექტრომომწყობილობა დენის წყაროდან;
- თუ თქვენ არ შეგიძლიათ დენის გამორთვა დადებით მშრალ მაიზოლირებელ საგანზე (მაგალითად, ხის ფიცარზე, რეზინისა ან პლასტმასის საფენზე, წიგნზე ან გაზეთების დასტაზე;
- მოაშორეთ დაზარალებულის სხეული დენის წყაროდან ცოცხის, ხის ჯოხის, სკამის საშუალებით. შესაძლებელია გადაადგილოთ დაზარალებულის სხეული დენის წყაროდან ან პირიქით, თუ ეს უფრო მოსახერხებელია, გადაადგილოთ თვით დენის წყარო;
- დაზარალებულის სხეულზე შეხების გარეშე, შემოახვიეთ ბაწარი მისი ტერფებისა ან მხრების გარშემო და მოაშორეთ დენის წყაროს;
- უკიდურეს შემთხვევაში, მოკიდეთ ხელი დაზარალებულის მშრალ არამჭიდრო ტანსაცმელს და მოაშორეთ ის დენის წყაროდან;
- თუ დაზარალებული უგონო მდგომარეობაშია, გახსენით სასუნთქი გზები, შეამოწმეთ სუნთქვა და პულსი;
- თუ დაზარალებული უგონო მდგომარეობაშია, სუნთქვა და პულსი აქვს, მოათავსეთ უსაფრთხო მდებარეობაში. გააგრძელეთ დამწვარი არეები და დაადეთ ნახვევი;
- თუ დაზარალებულს ელექტროტრავმის მიღების შემდეგ არ აღენიშნება ხილული დაზიანება და კარგად გრძნობს თავს, ურჩიეთ დაისვენოს.

ელვის/მეხის ზემოქმედებით გამოწვეული ელექტროტრავმა ელვით განპირობებული ელექტროტრავმის დროს ხშირია სხვადასხვა ტრავმის, დამწვრობის, სახისა და თვალების დაზიანება. ზოგჯერ ელვამ შეიძლება გამოიწვიოს უეცარი სიკვდილი. სწრაფად გადაიყვანეთ დაზარალებული შემთხვევის ადგილიდან და ჩაუტარეთ პირველი დახმარება როგორც სხვა სახის ელექტროტრავმის დროს.

11.5 სატრანსპორტო შემთხვევები, რეაგირება სატრანსპორტო შემთხვევების დროს

ავტოსატრანსპორტო შემთხვევის დროს საჭიროა შემდეგი სტრატეგიული ქმედებების განხორციელება:

- სატრანსპორტო საშუალებების / ტექნიკის გაჩერება;
- ინფორმაციის გადაცემა შესაბამისი სამსახურებისთვის (საპატრულო პოლიცია, სასწრაფო სამედიცინო სამსახური);
- იმ შემთხვევაში თუ საფრთხე არ ემუქრება ადამიანის ჯანმრთელობას და არ არსებობს სხვა ავარიული სიტუაციების პროვოცირების რისკები (მაგ. სხვა სატრანსპორტო საშუალებების შეჯახება, ხანძარი, საწვავის დაღვრა და სხვ.), მაშინ:
- გადმოდით სატრანსპორტო საშუალებიდან / ტექნიკიდან ან მოშორდით ინციდენტის ადგილს და შეინარჩუნეთ უსაფრთხო დისტანცია;
- დაელოდეთ საპატრულო პოლიციის / სამაშველო რაზმის გამოჩენას.

დამატებითი საფრთხეების შემთხვევაში იმოქმედეთ შემდეგნაირად:

- გადმოდით სატრანსპორტო საშუალებიდან / ტექნიკიდან ან მოშორდით ინციდენტის ადგილს და შეინარჩუნეთ უსაფრთხო დისტანცია;
- ხანძრის, საწვავის დაღვრის შემთხვევებში იმოქმედეთ შესაბამის ქვეთავებში მოცემული რეაგირების სტრატეგიის მიხედვით;
- იმ შემთხვევაში თუ საფრთხე ემუქრება ადამიანის ჯანმრთელობას ნუ შეეცდებით სხეულის გადაადგილებას მოხსენით ყველაფერი რაც შესაძლოა სულს უხუთავდეს (ქამარი, ყელსახვევი);
- დაშავებულს პირველადი დახმარება აღმოუჩინეთ შესაბამის ქვეთავებში მოცემული პირველადი დახმარების სტრატეგიის მიხედვით (თუმცა გახსოვდეთ, რომ დაშავებულის ზედმეტი გადაადგილებით შესაძლოა დამატებითი საფრთხე შეუქმნათ მის ჯანმრთელობას).

11.6 ბუნებრივი ხასიათის ავარიული სიტუაციები (მარგინალური ამინდის პირობები, მიწისძვრა, წყალმოვარდნა და სხვ.

11.6.1 ავარიული სიტუაციების წარმოქმნის ძირითადი პრევენციული ღონისძიებები

ხანძრის / აფეთქების პრევენციული ღონისძიებები:

- პერსონალის პერიოდული სწავლება და ტესტირება ხანძრის პრევენციის საკითხებზე;
- ადვილად აალებადი და ფეთქებადსაშიში ნივთიერებების დასაწყობება უსაფრთხო ადგილებში. მათი განთავსების ადგილებში შესაბამისი გამაფრთხილებელი ნიშნების არსებობის მუდმივი კონტროლი;
- ხანძარსაწინააღმდეგო ნორმების დაცვა და მაღალი რისკის მქონე ტერიტორიებზე ქმედითუნარიანი სახანძრო ინვენტარის არსებობა;
- მუშაობის დროს უნებლიედ გაფანტული ხანძარსაშიში, ადვილად აალებადი ნივთიერებები უნდა იყოს ფრთხილად მოგროვილი და მოთავსებული ნარჩენების ყუთში. ის ადგილები, სადაც იყო დარჩენილი ან გაფანტული ხანძარსაშიში ნივთიერებები, უნდა იყოს გულმოდგინედ გაწმენდილი ნარჩენების საბოლოოდ მოცილებამდე.

პერსონალის ტრავმატიზმის/დაზიანების პრევენციული ღონისძიებები:

- პერსონალის პერიოდული სწავლება და ტესტირება შრომის უსაფრთხოების საკითხებზე;
- პერსონალის აღჭურვა ინდივიდუალური დაცვის საშუალებებით;
- სახიფათო ზონები უნდა იყოს შემოფარგლული და აღნიშნული, დამით ადვილად შესამჩნევი;
- შესაბამის ადგილებში სამედიცინო ყუთების განლაგება;
- სახიფათო ზონებში შესაბამისი გამაფრთხილებელი ნიშნების, ასევე უსაფრთხოების განათების მოწყობა;
- სპეციალური კადრების მომზადება, რომელიც გააკონტროლებს სამუშაო უბნებზე უსაფრთხოების ნორმების შესრულების დონეს და დააფიქსირებს უსაფრთხოების ნორმების დარღვევის ფაქტებს.

12. ინფორმაცია არახელსაყრელ მეტეოროლოგიურ პირობებში საწარმოს ფუნქციონირების შეზღუდვის შესახებ

არახელსაყრელ მეტეოროლოგიურ პირობებში ატმოსფერული ჰაერის დაცვის წესები განისაზღვრება საქართველოს მთავრობის 2014 წლის 3 იანვრის # 8 დადგენილებით დამტკიცებული „არახელსაყრელ მეტეოროლოგიურ პირობებში ატმოსფერული ჰაერის დაცვის ტექნიკური რეგლამენტი“.

შესაბამისად, შპს „დაგი“ საქმიანობას განახორციელებს აღნიშნული ტექნიკური რეგლამენტის და ასევე სხვა საკანონმდებლო მოთხოვნებით დადგენილი წესების შესაბამისად.

აღნიშნულის უზრუნველყოფის მიზნით, კომპანია საწარმოს სპეციფიკის გათვალისწინებით, საქმიანობის დაწყებამდე შეიმუშავებს კონკრეტულ ღონისძიებებს.

ამასთან, საწარმოში მუდმივ რეჟიმში დაწესდება შემდეგი მონიტორინგის სისტემა:

- საწარმოს ტექნოლოგიური რეგლამენტის ზუსტ დაცვაზე კონტროლის გაძლიერება;
- საკონტროლო-გამზომი ხელსაწყოების და მართვის ავტომატური სისტემების მუშაობაზე კონტროლის გაძლიერება;
- აირმტვერდამჭერი მოწყობილობების ტექნიკურ მდგომარეობაზე და ექსპლუატაციაზე კონტროლის გაძლიერება;
- აირმტვერდამჭერი მოწყობილობების და მათი ცალკეული ელემენტების შეუფერხებელი მუშაობის უზრუნველყოფა;
- აირმტვერდამჭერ მოწყობილობებში, უშუალოდ გაფრქვევის წყაროებზე და უახლოეს დასახლებულ პუნქტის საზღვარზე ინსტრუმენტული კონტროლის უზრუნველყოფა;
- ტექნოლოგიური მოწყობილობის გაჩერება აირმტვერდამჭერი მოწყობილობის მწყობრიდან გამოსვლის შემთხვევაში;
- ავტოსატრანსპორტო საშუალებების ტექნიკურ დათვალიერებაზე კონტროლის გაძლიერება;
- ავტოსატრანსპორტო საშუალებების მოძრაობის შეზღუდვა დასახლებულ პუნქტებში;
- არახელსაყრელი მეტეოროლოგიური პირობების დროს მნიშვნელოვანი დაბინძურების გამომწვევი ჩატვირთვა-გადმოტვირთვის სამუშაოების შეზღუდვა;
- მოწყობილობების ფორსირებულ რეჟიმში მუშაობის აკრძალვა.

13. საქმიანობის შეწყვეტის შემთხვევაში ტერიტორიის პირვანდელ მდგომარეობამდე აღდგენის ღონისძიებები

13.1 მოკლევადიანი გაჩერება ან რემონტი

საპროექტო საწარმოს ან მისი ცალკეული უბნების დროებითი გაჩერების ან შეკეთების (მიმდინარე და კაპიტალური) შემთხვევაში, ობიექტის საექსპლუატაციო სამსახური ვალდებულია შეიმუშავოს საქმიანობის დროებით შეჩერებასთან ან შეკეთებასთან დაკავშირებული ოპერატიული გეგმა, რომელიც პირველ რიგში უნდა მოიცავდეს უსაფრთხოების მოთხოვნებს და შეთანხმებული უნდა იყოს ყველა დაინტერესებულ პირთან.

ექსპლუატაციის დროებითი შეწყვეტის შემთხვევაში აუცილებელია საწარმოს ნარჩენების მართვის გეგმით გათვალისწინებული პროცედურების კორექტირება და წარმოქმნილი ნარჩენების დასაწყობებისთვის დროებითი ალტერნატიული ტერიტორიის გამოყენება.

დროებით შეჩერებული უბანი ან მთლიანად საწარმო, გამოთავისუფლებული უნდა იყოს დასაწყობებული ნარჩენებისგან.

13.2 ექსპლუატაციის ხანგრძლივი შეწყვეტა ან კონსერვაცია

საწარმოს ან მისი ცალკეული უბნების ექსპლუატაციის ხანგრძლივი შეწყვეტის ან კონსერვაციის შემთხვევაში, კომპანია ვალდებულია შექმნას ჯგუფი, რომელიც დაამუშავებს ექსპლუატაციის ხანგრძლივი შეწყვეტის ან კონსერვაციის გეგმას. ექსპლუატაციის ხანგრძლივი შეწყვეტის ან კონსერვაციის გეგმა შეთანხმებული უნდა იყოს რეგიონის უფლებამოსილ ორგანოებთან. გეგმის ძირითად შინაარსს წარმოადგენს უსაფრთხოების მოთხოვნები.

საქმიანობის შეწყვეტამდე საჭიროა გატარდეს შემდეგი სახის ღონისძიებები:

- საწარმოს შიდა აუდიტის ჩატარება – ინფრასტრუქტურის ტექნიკური მდგომარეობის დაფიქსირება, ავარიული რისკების და გარემოსდაცვითი თვალსაზრისით პრობლემატური უბნების გამოვლენა და პრობლემის გადაწყვეტა;
- სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს ინფრომირება;
- დამხმარე ინფრასტრუქტურის დროებითი დემობილიზაცია - საწარმოს გამოთავისუფლება დასაწყობებული ნარჩენებისგან;
- ტერიტორიის პერიმეტრის გამაფრთხილებელი და ამკრძალავი ნიშნებით უზრუნველყოფა.

13.3 ობიექტის ლიკვიდაცია

საწარმოს ან მისი ცალკეული უბნის გაუქმების შემთხვევაში, გარემოს წინანდელ მდგომარეობამდე აღდგენის გზებისა და საშუალებების განსაზღვრისათვის გათვალისწინებული უნდა იყოს სპეციალური პროექტის დამუშავება.

აღნიშნული პროექტის დამუშავებაზე პასუხისმგებელია საწარმოს ადმინისტრაცია. არსებული წესის მიხედვით საწარმოს გაუქმების სპეციალური პროექტი შეთანხმებული უნდა იყოს უფლებამოსილი

ორგანოების მიერ და ინფორმაცია უნდა მიეწოდოს ყველა დაინტერესებულ ფიზიკურ და იურიდიული პირს, მათ შორის ადგილობრივ მუნიციპალიტეტებს და სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოს.

პროექტი უნდა ითვალისწინებდეს ტექნოლოგიური პროცესების შეწყვეტის წესებს და რიგითობას, შენობა-ნაგებობების და მოწყობილობების დემონტაჟს, სადემონტაჟო სამუშაოების ჩატარების წესებს და პირობებს, უსაფრთხოების დაცვის და გარემოსდაცვითი ღონისძიებებს.

14. გარემოზე ზემოქმედების შემარბილებელი ღონისძიებების გეგმა

14.1 ზოგადი მიმოხილვა

გარემოსდაცვითი ღონისძიებების იერარქია შემდეგნაირად გამოყურება:

- ზემოქმედების თავიდან აცილება/პრევენცია;
- ზემოქმედების შემცირება;
- ზემოქმედების შერბილება;
- ზიანის კომპენსაცია.

ზემოქმედების თავიდან აცილება და რისკის შემცირება შესაძლებლობისდაგვარად შეიძლება მიღწეულ იქნას ობიექტის ექსპლუატაციისას საუკეთესო პრაქტიკის გამოცდილების გამოყენებით. თუმცა ვინაიდან ყველა ზემოქმედების თავიდან აცილება შეუძლებელია, პროექტის გარემოსადმი მაქსიმალური უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად სასიცოცხლო ციკლის ყველა ეტაპისთვის და ყველა რეცეპტორისთვის განისაზღვრება შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებების გეგმა.

გარემოსდაცვითი მონიტორინგის და მენეჯმენტის წარმართვაზე, ასევე ყველა თანდართულ ინფორმაციაში (ავარიულ სიტუაციებზე რეაგირების გეგმა, მონიტორინგის გეგმა) განსაზღვრული ვალდებულებების შესრულებაზე პასუხისმგებლობას იღებს საქმიანობის განმახორციელებელი.

ქვემოთ მოყვანილ ცხრილებში წარმოდგენილია ინფორმაცია პროექტის განხორციელების შედეგად მოსალოდნელი ზემოქმედებების შემარბილებელი ღონისძიებების და საჭირო მონიტორინგის შესახებ.

14.2 შემარბილებელი ღონისძიებების გეგმა - მშენებლობის ეტაპი

შემოქმედება/ შემოქმედების აღწერა	ამოცანა	შემარბილებელი ღონისძიებები:	
		დახასიათება	პასუხისმგებლობა, ვადები და ხარჯები
<p>ატმოსფერულ ჰაერში ემისიების გავრცელება.</p> <p>მნიშვნელოვნება: „საშუალო“</p>	<p><u>ემისიების გავრცელებით ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების და მოსახლეობის შეწუხების რისკების მინიმუმამდე დაყვანა</u></p>	<p>a) სატრანსპორტო საშუალებების ტექნიკურ გამართულობაზე კონტროლის დაწესება;</p> <p>b) სამშენებლო მასალებით დატვირთული სატრანსპორტო საშუალებების ძარის გადახურვა;</p> <p>c) მისასვლელი გზების პერიოდული, განსაკუთრებით ცხელ და ქარიან ამინდში მორწყვა (ყოველდღიურად, დღეში რამოდენიმეჯერ საჭიროების მიხედვით);</p> <p>ნარჩენი შემოქმედების მნიშვნელოვნება: „საშუალო“</p>	<p>პასუხისმგებელი შემარბილებელი ღონისძიებების გატარებაზე:</p> <p>შპს დაგი</p> <p>შემარბილებელი ღონისძიებების შესრულების ვადები:</p> <p>a) მუდმივად; b) მუდმივად; c) ყოველდღიურად, დღეში რამოდენიმეჯერ საჭიროების მიხედვით;</p> <p>შემარბილებელი ღონისძიებების ჩატარების ხარჯები:</p> <p>შეიძლება დაკავშირებული იყოს „საშუალო“ ხარჯებთან.</p>

<p>ხმაურის გავრცელება სამუშაო ზონაში და მისასვლელ გზებზე. ზემოქმედება სხვა რეცეპტორებზე:</p> <p>სატრანსპორტო საშუალებების გადაადგილებით გამოწვეული ხმაურის გავრცელება; საწარმოს ფუნქციონირებით გამოწვეული ხმაური.</p> <p>მნიშვნელოვნება:</p> <p>„დაბალი“</p>	<p>ხმაურის გავრცელების მინიმუმამდე დაყვანა. გარემოზე ისეთი სახის ზემოქმედებების შემცირება, როგორცაა:</p> <ul style="list-style-type: none"> • ადამიანის ჯანმრთელობაზე ზემოქმედება; • სხვა გარემო ფაქტორების შეწუხების თავიდან აცილება. 	<p>a) სატრანსპორტო საშუალებების ტექნიკურ გამართულობაზე კონტროლის დაწესება;</p> <p>b) ღამის საათებში სამშენებლო მასალების ტრანსპორტირების აკრძალვა;</p> <p>c) ხმაურის ინსტრუმენტული მონიტორინგი დასახლებული პუნქტის საზღვართან</p> <p>ნარჩენი ზემოქმედების მნიშვნელოვნება:</p> <p>„დაბალი“</p>	<p>პასუხისმგებელი შემარბილებელი ღონისძიებების გატარებაზე:</p> <p>შპს „დაგი“</p> <p>შემარბილებელი ღონისძიებების შესრულების ვადები:</p> <p>a), b) - მუდმივად, მშენებლობის განხორციელების ეტაპზე</p> <p>შემარბილებელი ღონისძიებების ჩატარების ხარჯები: შესაძლებელია დაკავშირებული იყოს დაბალ ხარჯებთან</p>
----------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------	------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------	------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------	----------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------

<p>ნარჩენებით გარემოს დაბინძურების რისკები:</p> <ul style="list-style-type: none"> • სახიფათო ნარჩენები; • საყოფაცხოვრებო ნარჩენები <p>მნიშვნელოვნება: „საშუალო“</p>	<ul style="list-style-type: none"> • ნარჩენების გარემოში უსისტემოდ გავრცელების პრევენცია და შესაბამისად გარემოზე ისეთი სახის ზემოქმედებების შემცირება, როგორცაა: ადამიანის ჯანმრთელობასა და უსაფრთხოებაზე ნეგატიური ზემოქმედება; • უარყოფითი ვიზუალურ ლანდშაფტური ცვლილება და სხვა 	<p>a) ნარჩენების სეპარირებული შეგროვების მეთოდის დანერგვა</p> <p>b) სახიფათო ნარჩენების დროებითი განთავსებისთვის ობიექტის ტერიტორიაზე შესაბამისი კონტეინერის მოწყობა;</p> <p>c) ტერიტორიაზე არსებული კონტეინერების მუდმივი კონტროლი, მარკირება;</p> <p>d) ნარჩენების მართვისათვის სათანადო მომზადების მქონე პერსონალის მუდმივი სწავლება;</p> <p>e) პერსონალის ინსტრუქტაჟი;</p> <p>f) შემდგომი მართვის მიზნით ტერიტორიებიდან სახიფათო ნარჩენების გატანა ამ საქმიანობაზე სათანადო ნებართვის მქონე კონტრაქტორის საშუალებით.</p> <p>ნარჩენი ზემოქმედების მნიშვნელოვნება: „საშუალო“</p>	<p>კასუხისმგებელი შემარბილებელი ღონისძიებების გატარებაზე:</p> <p>შპს „დაგი“</p> <p>შემარბილებელი ღონისძიებების ჩატარების ხარჯები: ღონისძიებების შესრულება შეიძლება დაკავშირებული იყოს „მაღალ“ ხარჯებთან.</p>
<p>დასაქმება და მასთან დაკავშირებული უარყოფითი ზემოქმედების რისკები, კერძოდ:</p> <ul style="list-style-type: none"> • დასაქმებულთა უფლებების დარღვევა; • უთანხმოება ადგილობრივ მოსახლეობასა და დასაქმებულთა (არა ადგილობრივები) შორის. <p>მნიშვნელოვნება: „დაბალი“</p>	<ul style="list-style-type: none"> • ობიექტზე დასაქმებული პერსონალის და ადგილობრივი მოსახლეობის უკმაყოფილების გამორიცხვა 	<p>a) თითოეულ პერსონალთან ინდივიდუალური სამუშაო კონტრაქტის გაფორმება;</p> <p>b) ყველა პერსონალის უზრუნველყოფა ინფორმაციით მათი სამსახურის შესახებ;</p> <p>c) ყველა არა ადგილობრივი პერსონალის ინფორმირება ადგილობრივი უნარ-ჩვევების და კულტურის შესახებ;</p> <p>d) ადგილობრივი მოსახლეობის დასაქმება;</p> <p>e) პერსონალის საჩივრების განხილვის მექანიზმის შემუშავება და პრაქტიკულად გამოყენება;</p> <p>f) პერსონალის საჩივრების ჟურნალის წარმოება.</p> <p>ნარჩენი ზემოქმედების მნიშვნელოვნება: „დაბალი“</p>	<p>კასუხისმგებელი შემარბილებელი ღონისძიებების გატარებაზე:</p> <p>შპს „დაგი“</p> <p>შემარბილებელი ღონისძიებების შესრულების ვადები:</p> <ul style="list-style-type: none"> • პერსონალის აყვანამდე და აყვანის პროცესში. <p>ღონისძიებების შესრულება შეიძლება დაკავშირებული იყოს დაბალ ხარჯებთან</p>

<p>ზემოქმედება სატრანსპორტო ინფრასტრუქტურაზე:</p> <ul style="list-style-type: none"> • გზების საფარის დაზიანება; • გადაადგილების შეზღუდვა <p>მნიშვნელოვნება:</p> <p>„საშუალო“</p>	<ul style="list-style-type: none"> • ობიექტის მიმდებარედ გზების საფარის შენარჩუნება და თავისუფალი გადაადგილების ხელშეწყობა; • მოსახლეობის უკმაყოფილების გამორიცხვა. 	<ol style="list-style-type: none"> a. მოსახლეობის გადაადგილების მინიმალური შეფერხება; b. სამუშაო უბანზე მისასვლელი ოპტიმალური მარშრუტის შერჩევა; c. დასახლებულ პუნქტში და საზოგადოებრივ გზებზე სატრანსპორტო საშუალებების გადაადგილების შეზღუდვა; d. დაზიანების შემთხვევაში გზის დაზიანებული უბნის მაქსიმალური აღდგენა, რათა ხელმისაწვდომი იყოს მოსახლეობისთვის; e. საჩივრების დაფიქსირება/აღრიცხვა და სათანადო რეაგირება. <p>ნარჩენი ზემოქმედების მნიშვნელოვნება: „დაბალი“</p>	<p>კასუხისმგებელი შემარბილებელი ღონისძიებების გატარებაზე:</p> <p>შპს „დაგი“</p> <p>შემარბილებელი ღონისძიებების შესრულების ვადები:</p> <p>a, b, c, d - სამუშაოების წარმოებისას - სატრანსპორტო ოპერაციებისას;</p> <p>e - საჩივრების შემოსვლის შემდგომ.</p> <p>შემარბილებელი ღონისძიებების ჩატარების ხარჯები:</p> <p>ღონისძიებების შესრულება შეიძლება დაკავშირებული იყოს „საშუალო“ ხარჯებთან.</p>
<p>ჯანმრთელობასა და უსაფრთხოებასთან დაკავშირებული რისკები:</p> <ul style="list-style-type: none"> • მოსახლეობის ჯანმრთელობასა და უსაფრთხოებაზე მოსალოდნელი ზემოქმედება; • დასაქმებული პერსონალის ჯანმრთელობასა და უსაფრთხოებაზე მოსალოდნელი ზემოქმედება. <p>მნიშვნელოვნება:</p> <p>„საშუალო“ - „დაბალი“</p>	<ul style="list-style-type: none"> • ადამიანის ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფა. 	<ol style="list-style-type: none"> a. პერსონალისთვის ტრენინგების ჩატარება უსაფრთხოებისა და შრომის დაცვის საკითხებზე; b. პერსონალის უზრუნველყოფა ინდივიდუალური დაცვის საშუალებებით; c. ჯანმრთელობისათვის სახიფათო უბნებში და გზებზე შესაბამისი გამაფრთხილებელი, მითითებელი და ამკრძალავი ნიშნების დამონტაჟება; d. ჯანმრთელობისათვის სახიფათო უბნების შემოღობვა; e. ჯანმრთელობისათვის სახიფათო უბნებზე და ობიექტის ოფისში სტანდარტული სამედიცინო ყუთების არსებობა; f. მანქანა-დანადგარების ტექნიკური გამართულობის უზრუნველყოფა; g. დასახლებულ პუნქტებში გამავალი გზებით სარგებლობის მინიმუმამდე შეზღუდვა; h. სამუშაო უბნებზე უცხო პირთა უნებართვოდ ან სპეციალური დამცავი საშუალებების გარეშე მოხვედრის და გადაადგილების კონტროლი; i. რისკის შეფასება ადგილებზე, მოსახლეობისათვის კონკრეტული რისკ-ფაქტორების დასადგენად და ასეთი რისკების შესაბამისი მართვის მიზნით; j. ინციდენტებისა და უბედური შემთხვევების სააღრიცხვო ჟურნალის წარმოება. 	<p>კასუხისმგებელი შემარბილებელი ღონისძიებების გატარებაზე:</p> <p>შპს „დაგი“</p> <p>შემარბილებელი ღონისძიებების შესრულების ვადები:</p> <p>a - პერსონალის აყვანისას და შემდგომ პერიოდულად</p> <p>b, c, d, e, - სამუშაოების მიმდინარეობისას და მუდმივი განახლება;</p> <p>f, g, h, i, j, k, l – მუდმივად</p> <p>შემარბილებელი ღონისძიებების ჩატარების ხარჯები:</p>

		<p>ამასთან, ატმოსფერული ჰაერის, წყლისა და ნიადაგის ხარისხის გაუარესების თავიდან აცილების ყველა ღონისძიების გატარება. ხმაურის გავრცელების შემარბილებელი ღონისძიებების გატარება.</p> <p>ნარჩენი ზემოქმედების მნიშვნელოვნება: „საშუალო“</p>	<p>ღონისძიებების შესრულება შეიძლება დაკავშირებული იყოს „საშუალო“ ხარჯებთან.</p>
<p>ზემოქმედება ნიადაგის ნაყოფიერ ფენაზე</p>	<ul style="list-style-type: none"> • ნიადაგის ნაყოფიერი ფენის დაცვა და შენარჩუნება 	<p>a) სამშენებლო სამუშაოების დაწყებამდე ნიადაგის ნაყოფიერი ფენის მოხსნა და დასაწყობება;</p> <p>b) ნიადაგის ნაყოფიერი ფენის მოვლა-პატრონობა;</p> <p>ნარჩენი ზემოქმედების მნიშვნელოვნება: „დაბალი“</p>	<p>კასუხისმგებელი შემარბილებელი ღონისძიებების გატარებაზე:</p> <p>შპს „დაგი“</p> <p>შემარბილებელი ღონისძიებების შესრულების ვადები:</p> <p>სამშენებლო სამუშაოების დაწყებამდე</p> <p>ღონისძიებების შესრულება შეიძლება დაკავშირებული იყოს „დაბალ“ ხარჯებთან.</p>

<p>ზემოქმედება გრუნტის წყლებზე</p> <p>ნარჩენი ზემოქმედების მნიშვნელოვნება: „საშუალო“</p>	<ul style="list-style-type: none"> გრუნტის წყლების დაბინძურება სახიფათო მასალებით და ნარჩენებით 	<p>a) სატრანსპორტო საშუალებების მიერ მისასვლელ გზებზე შემთხვევით დაღვრილი ნავთობპროდუქტების ლოკალიზება, დაბინძურებულ ადგილზე ნიადაგის დაუყოვნებლივ მოხსნა და მისი მართვა სახიფათო ნარჩენების მართვის წესების შესაბამისად;</p> <p>b) სატრანსპორტო საშუალებების ტექნიკური გამართულობის მკაცრი კონტროლი;</p> <p>c) სამუშაოს დასრულების შემდეგ ტერტორიიდან ყველა პოტენციური დამაბინძურებელი მასალის გატანა.</p> <p>ნარჩენი ზემოქმედების მნიშვნელოვნება: „დაბალი“</p>	<p>კასუხისმგებელი შემარბილებელი ღონისძიებების გატარებაზე:</p> <p>შპს „დაგი“</p> <p>შემარბილებელი ღონისძიებების შესრულების ვადები:</p> <p>სამშენებლო სამუშაოების მიმდინარეობისას, მუდმივად ღონისძიებების შესრულება შეიძლება დაკავშირებული იყოს „დაბალ“ ხარჯებთან.</p>
-----------------------------------------------------------------------------------------------------	----------------------------------------------------------------------------------------------------------------	----------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------	-----------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------

14.3 შემარბილებელი ღონისძიებების გეგმა - ექსპლუატაციის ეტაპი

შემოქმედება/ შემოქმედების აღწერა	ამოცანა	შემარბილებელი ღონისძიებები:	
		დანასიათება	პასუხისმგებლობა, ვადები და ხარჯები
<p>ატმოსფერული ჰაერში ემისიების გავრცელება.</p> <p>მნიშვნელოვნება:</p> <p>„საშუალო“</p>	<p>ემისიების გავრცელებით ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების და მოსახლეობის შეწუხების რისკების მინიმუმამდე დაყვანა</p>	<p>d) ატმოსფერული ჰაერის უწყვეტი მონიტორინგის ხელსაწყოს მონტაჟი გაფრქვევის წყაროს გამოსასვლელამდე;</p> <p>e) ორგანიზებული გაფრქვევების ფაქტობრივი რაოდენობისა და ტემპერატურის უწყვეტი ინსტრუმენტული მეთოდით შემდეგი მავნე ნივთიერებების განსაზღვრა:</p> <ul style="list-style-type: none"> • მტვერი (შეწონილი ნაწილაკები); • აზოტის ორჟანგი (NO₂); • გოგირდის ორჟანგი (SO₂); • მანგანუმის დიოქსიდი; • ნახშირჟანგი (CO). <p>f) სატრანსპორტო საშუალებების ტექნიკურ გამართულობაზე კონტროლის დაწესება;</p> <p>g) ნედლეულით/პროდუქციით დატვირთული სატრანსპორტო საშუალებების ძარის გადახურვა;</p> <p>h) მისასვლელი გზების პერიოდული, განსაკუთრებით ცხელ და ქარიან ამინდში მორწყვა (ყოველდღიურად, დღეში რამოდენიმეჯერ საჭიროების მიხედვით);</p> <p>ნარჩენი შემოქმედების მნიშვნელოვნება:</p> <p>„საშუალო“</p>	<p>პასუხისმგებელი შემარბილებელი ღონისძიებების გატარებაზე: შპს დაგი</p> <p>შემარბილებელი ღონისძიებების შესრულების ვადები:</p> <ol style="list-style-type: none"> a) საწარმოს ექსპლუატაციაში გამშვებამდე b) მუდმივად, საწარმოს ექსპლუატაციის პროცესში; c) მუდმივად; d) მუდმივად; e) ყოველდღიურად, დღეში რამოდენიმეჯერ საჭიროების მიხედვით; <p>შემარბილებელი ღონისძიებების ჩატარების ხარჯები:</p> <p>შეიძლება დაკავშირებული იყოს „მაღალ“ ხარჯებთან.</p>

<p>ხმაურის გავრცელება სამუშაო ზონაში და მისასვლელ გზებზე, ზემოქმედება სხვადასხვა რეცეპტორებზე.</p> <p>სატრანსპორტო საშუალებების გადაადგილებით გამოწვეული ხმაურის გავრცელება; ნედლეულის/პროდუქციის მიღება/ჩამოცლისას/ჩაყრისას გამოწვეული ხმაური</p> <p>მნიშვნელოვნება: „საშუალო“</p>	<p>ხმაურის გავრცელებით მოსახლეობის შეწუხების რისკების მინიმუმამდე დაყვანა და ისეთი ზემოქმედების თავიდან აცილება, როგორცაა:</p> <ul style="list-style-type: none"> • ადამიანის ჯანმრთელობაზე ზემოქმედება; • სხვა გარემო ფაქტორების შეწუხების თავიდან აცილება. 	<p>a) სატრანსპორტო საშუალებების ტექნიკურ გამართულობაზე კონტროლის დაწესება;</p> <p>b) დამის საათებში ნედლეულის / პროდუქციის ტრანსპორტირების აკრძალვა;</p> <p>c) საწარმოს ტერიტორიაზე ხმაურის გავრცელების შეზღუდვის მიზნით ბუნებრივი ეკრანის სახით მაღალმოზარდი მცენარეების დარგვა სრულ პერიმეტრზე.</p> <p>ნარჩენი ზემოქმედების მნიშვნელოვნება: „დაბალი“</p>	<p>პასუხისმგებელი შემარბილებელი დონისძიებების გატარებაზე:</p> <p>შპს „დაგი“</p> <p>შემარბილებელი დონისძიებების შესრულების ვადები:</p> <p>a), b) - მუდმივად;</p> <p>c) საწარმოს მოწყობის პარალელურად, სეზონის შესაბამისად.</p> <p>შემარბილებელი დონისძიებების ჩატარების ხარჯები: შესაძლებელია დაკავშირებული იყოს დაბალ ხარჯებთან</p>
<p>ნარჩენებით გარემოს დაბინძურების რისკები:</p> <ul style="list-style-type: none"> • სახიფათო ნარჩენები; • წილის ნარჩენები; • მტვერდამჭერ სისტემაში წარმოქმნილი მტვერი; • საყოფაცხოვრებო ნარჩენები <p>მნიშვნელოვნება: „მაღალი“</p>	<p>ნარჩენების გარემოში უსისტემოდ გავრცელების პრევენცია და შესაბამისად გარემოზე ისეთი სახის ზემოქმედებების შემცირება, როგორცაა:</p> <ul style="list-style-type: none"> • ადამიანის ჯანმრთელობასა და უსაფრთხოებაზე ნეგატიური ზემოქმედება; • უარყოფითი ვიზუალურ ლანდშაფტური ცვლილება და სხვა; • გარემოზე სხვადასხვა სახის ზემოქმედება სახიფათო და არასახიფათო ნარჩენების დაბინძურებით; • სასოფლო-სამეურნეო სავარგულების 	<p>a) საწარმოს ტერიტორიის გარეთ სახიფათო და არასახიფათო ნარჩენების გაფანტვის აკრძალვა;</p> <p>b) ნარჩენების სეპარირებული მეთოდის დანერგვა;</p> <p>c) წილის ნარჩენის გადაცემა სამშენებლო მასალების მწარმოებელი კომპანიებისთვის;</p> <p>d) მტვერდამჭერ სისტემაში წარმოქმნილი მტვერის გადაცემა აგლომერაციის საწარმოებისთვის;</p> <p>e) სახიფათო ნარჩენების გადაცემა ნებართვის მქონე კომპანიისთვის</p> <p>ნარჩენი ზემოქმედების მნიშვნელოვნება: „საშუალო“</p>	<p>პასუხისმგებელი შემარბილებელი დონისძიებების გატარებაზე:</p> <p>შპს „დაგი“</p> <p>შემარბილებელი დონისძიებების შესრულების ვადები:</p> <p>a), b), c), d), e) - მუდმივად საწარმოს ექსპლუატაციისას</p> <p>შემარბილებელი დონისძიებების ჩატარების ხარჯები: შესაძლებელია დაკავშირებული იყოს საშუალო ხარჯებთან</p>

	ნარჩენებით დაბინძურების გამორიცხვა		
<p>დასაქმება და მასთან დაკავშირებული უარყოფითი ზემოქმედების რისკები, კერძოდ:</p> <ul style="list-style-type: none"> დასაქმებულთა უფლებების დარღვევა; უთანხმობა ადგილობრივ მოსახლეობასა და დასაქმებულთა (არა ადგილობრივები) შორის. <p>მნიშვნელოვნება:</p> <p>„დაბალი“</p>	<ul style="list-style-type: none"> ობიექტზე დასაქმებული პერსონალის და ადგილობრივი მოსახლეობის უკმაყოფილების გამორიცხვა 	<p>გ) თითოეულ პერსონალთან ინდივიდუალური სამუშაო კონტრაქტის გაფორმება;</p> <p>h) ყველა პერსონალის უზრუნველყოფა ინფორმაციით მათი სამსახურის შესახებ;</p> <p>i) ყველა არა ადგილობრივი პერსონალის ინფორმირება ადგილობრივი უნარ-ჩვევების და კულტურის შესახებ;</p> <p>j) ადგილობრივი მოსახლეობის დასაქმება;</p> <p>k) პერსონალის საჩივრების განხილვის მექანიზმის შემუშავება და პრაქტიკულად გამოყენება;</p> <p>l) პერსონალის საჩივრების ჟურნალის წარმოება.</p> <p>ნარჩენი ზემოქმედების მნიშვნელოვნება: „დაბალი“</p>	<p>პასუხისმგებელი შემარბილებელი ღონისძიებების გატარებაზე:</p> <p>შპს „დაგი“</p> <p>შემარბილებელი ღონისძიებების შესრულების ვადები:</p> <ul style="list-style-type: none"> პერსონალის აყვანამდე და აყვანის პროცესში. <p>ღონისძიებების შესრულება შეიძლება დაკავშირებული იყოს დაბალ ხარჯებთან</p>
<p>ზემოქმედება სატრანსპორტო ნაკადებზე და საგზაო ინფრასტრუქტურაზე:</p> <ul style="list-style-type: none"> გზების საფარის დაზიანება; გადაადგილების შეზღუდვა <p>მნიშვნელოვნება:</p> <p>„საშუალო“</p>	<ul style="list-style-type: none"> ობიექტის მიმდებარედ გზების საფარის შენარჩუნება და თავისუფალი გადაადგილების ხელშეწყობა; მოსახლეობის უკმაყოფილების გამორიცხვა; სატრანსპორტო ნაკადებზე ზემოქმედების თავიდან აცილება; 	<p>f. მოსახლეობის გადაადგილების მინიმალური შეფერხება;</p> <p>g. სამუშაო უბანზე მისასვლელი ოპტიმალური მარშრუტის შერჩევა;</p> <p>h. დასახლებულ პუნქტში და საზოგადოებრივ გზებზე სატრანსპორტო საშუალებების გადაადგილების შეზღუდვა;</p> <p>i. დაზიანების შემთხვევაში გზის დაზიანებული უბნის მაქსიმალური აღდგენა, რათა ხელმისაწვდომი იყოს მოსახლეობისთვის;</p> <p>j. გადაადგილების სიჩქარით მოძრაობა (დაბალი სიჩქარით მოძრაობა)</p> <p>k. საჩივრების დაფიქსირება/აღრიცხვა და სათანადო რეაგირება.</p> <p>ნარჩენი ზემოქმედების მნიშვნელოვნება: „დაბალი“</p>	<p>პასუხისმგებელი შემარბილებელი ღონისძიებების გატარებაზე:</p> <p>შპს „დაგი“</p> <p>შემარბილებელი ღონისძიებების შესრულების ვადები:</p> <p>a, b, c, d, e - სამუშაოების წარმოებისას - სატრანსპორტო ოპერაციებისას;</p> <p>f - საჩივრების შემოსვლის შემდგომ.</p> <p>შემარბილებელი ღონისძიებების ჩატარების ხარჯები:</p> <p>ღონისძიებების შესრულება შეიძლება დაკავშირებული იყოს „საშუალო“ ხარჯებთან.</p>

<p>ჯანმრთელობასა და უსაფრთხოებასთან დაკავშირებული რისკები:</p> <ul style="list-style-type: none"> • მოსახლეობის ჯანმრთელობასა და უსაფრთხოებაზე მოსალოდნელი ზემოქმედება; • დასაქმებული პერსონალის ჯანმრთელობასა და უსაფრთხოებაზე მოსალოდნელი ზემოქმედება. <p>მნიშვნელოვნება:</p> <p>„მაღალი“</p>	<ul style="list-style-type: none"> • ადამიანის ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფა. 	<p>k. პერსონალისთვის ტრენინგების ჩატარება უსაფრთხოებისა და შრომის დაცვის საკითხებზე;</p> <p>l. პერსონალის უზრუნველყოფა ინდივიდუალური დაცვის საშუალებებით;</p> <p>m. ჯანმრთელობისათვის სასიფათო უბნებში და გზებზე შესაბამისი გამაფრთხილებელი, მიმითითებელი და ამკრძალავი ნიშნების დამონტაჟება;</p> <p>n. ჯანმრთელობისათვის სასიფათო უბნების შემოღობვა;</p> <p>o. ჯანმრთელობისათვის სასიფათო უბნებზე და ობიექტის ოფისში სტანდარტული სამედიცინო ყუთების არსებობა;</p> <p>p. მანქანა-დანადგარების ტექნიკური გამართულობის უზრუნველყოფა;</p> <p>q. დასახლებულ პუნქტებში გამავალი გზებით სარგებლობის მინიმუმამდე შეზღუდვა;</p> <p>r. სამუშაო უბნებზე უცხო პირთა უნებართვოდ ან სპეციალური დამცავი საშუალებების გარეშე მოხვედრის და გადაადგილების კონტროლი;</p> <p>s. რისკის შეფასება ადგილებზე, მოსახლეობისათვის კონკრეტული რისკ-ფაქტორების დასადგენად და ასეთი რისკების შესაბამისი მართვის მიზნით;</p> <p>t. ინციდენტებისა და უბედური შემთხვევების საადრიცხვო ჟურნალის წარმოება;</p> <p>u. ატმოსფერულ ჰაერში ხმაურის და მავნე ნივთიერებების გაფრქვევის კონტროლი;</p> <p>v. ზედაპირული და მიწისქვეშა წყლებისა და ნიადაგის ხარისხის გაუარესების თავიდან აცილების ყველა ღონისძიების გატარება. ხმაურის გავრცელების შემარბილებელი ღონისძიებების გატარება.</p> <p>ნარჩენი ზემოქმედების მნიშვნელოვნება: „საშუალო“</p>	<p>პასუხისმგებელი შემარბილებელი ღონისძიებების გატარებაზე:</p> <p>შპს „დაგი“</p> <p>შემარბილებელი ღონისძიებების შესრულების ვადები:</p> <p>a - პერსონალის აყვანისას და შემდგომ პერიოდულად</p> <p>b, c, d, e, - სამუშაოების მიმდინარეობისას, მუდმივად;</p> <p>f, g, h, i, j, k, – მუდმივად</p> <p>შემარბილებელი ღონისძიებების ჩატარების ხარჯები:</p> <p>ღონისძიებების შესრულება შეიძლება დაკავშირებული იყოს „საშუალო“ ხარჯებთან.</p>
<p>ზემოქმედება ნიადაგის ნაყოფიერ ფენაზე</p>	<ul style="list-style-type: none"> • ნიადაგის ნაყოფიერი ფენის დაკარგვის თავიდან აცილება 	<p>a) სამშენებლო სამუშაოების დაწყებამდე მოხსნილი ნიადაგის ნაყოფიერი ფენის რეკულტივაცია;</p> <p>b) რეკულტივირებულ ფართობზე მწვანე საფარის, გაზონის მოწყობა, მოვლა და პატრონობა</p>	<p>პასუხისმგებელი შემარბილებელი ღონისძიებების გატარებაზე:</p> <p>შპს „დაგი“</p> <p>შემარბილებელი ღონისძიებების შესრულების ვადები:</p>

		ნარჩენი ზემოქმედების მნიშვნელოვნება: „დაბალი“	საწარმოს ექსპლუატაციაში გაშვებამდე ლონისძიებების შესრულება შეიძლება დაკავშირებული იყოს „საშუალო“ ხარჯებთან.
ზემოქმედება გრუნტის წყლებზე	<ul style="list-style-type: none"> გრუნტის წყლების დაბინძურება სახიფათო მასალებით და ნარჩენებით 	<p>d) საწარმოს ტერიტორიის ზედაპირის მომანდაკება;</p> <p>e) საწარმოს ტერიტორიის გარეთ სახიფათო და არასახიფათო ნარჩენების გაფანტვის აკრძალვა;</p> <p>f) სატრანსპორტო საშუალებების მიერ მისასვლელ გზებზე შემთხვევით დაღვრილი ნავთობპროდუქტების ლოკალიზება, დაბინძურებულ ადგილზე ნიადაგის დაუყოვნებლივ მოხსნა და მისი მართვა სახიფათო ნარჩენების მართვის წესების შესაბამისად;</p> <p>g) სატრანსპორტო საშუალებების ტექნიკური გამართულობის მკაცრი კონტროლი</p> <p>ნარჩენი ზემოქმედების მნიშვნელოვნება: „დაბალი“</p>	<p>პასუხისმგებელი შემარბილებელი ღონისძიებების გატარებაზე:</p> <p>შპს „დაგი“</p> <p>შემარბილებელი ღონისძიებების შესრულების ვადები:</p> <p>საწარმოს ფუნქციონირების პროცესში მიდმივად ღონისძიებების შესრულება შეიძლება დაკავშირებული იყოს „საშუალო“ ხარჯებთან.</p>
ზემოქმედება სასოფლო-სამეურნეო სავარგულებზე	<ul style="list-style-type: none"> სასოფლო-სამეურნეო სავარგულებზე და იქ მოყვანილ პროდუქციაზე უარყოფითი ზემოქმედების თავიდან აცილება 	<p>a) გზშ ანგარიშით დადგენილი მოთხოვნების შესრულება;</p> <p>b) უწყვეტი მონიტორინგის სისტემის დაყენება გაფრქვევის წყაროსთან;</p> <p>c) ზღვ ნორმაზე გადაჭარბების შემთხვევაში საწარმოს დროებითი გაჩერება, მიზეზის მოკვლევა და გამოსწორება;</p> <p>d) ქარიან ამინდში ნედლეულის მიღების და პროდუქციის გაცემის, ბუნკერებში ჩაყრის აკრძალვა;</p> <p>e) ნედლეულის/პროდუქციის ძარაგადახურული ავტომანქანებით ტრანსპორტირება;</p> <p>f) საწარმოო ტერიტორიის პერიმეტრზე მწვანე ზოლის მოწყობა;</p> <p>g) ნარჩენების მართვის სეპარირებული მეთოდის დანერგვა და მკაცრი</p>	<p>პასუხისმგებელი შემარბილებელი ღონისძიებების გატარებაზე:</p> <p>შპს „დაგი“</p> <p>შემარბილებელი ღონისძიებების შესრულების ვადები:</p> <p>a, b, c, d, e, - მუდმივად, საწარმოს ექსპლუატაციის პროცესში</p> <p>f – საქმიანობის დაწყებამდე</p> <p>g - საწარმოს ექსპლუატაციის პროცესში</p> <p>შემარბილებელი ღონისძიებების ჩატარების ხარჯები:</p>
მნიშვნელოვნება: „მაღალი“			

		<p>მონიტორინგი ნარჩენების უკანონო მართვაზე.</p> <p>ნარჩენი ზემოქმედების მნიშვნელოვნება:</p> <p>„დაბალი“</p>	<p>დონისძიებების შესრულება შეიძლება დაკავშირებული იყოს „მაღალ“ ხარჯებთან.</p>
--	--	--------------------------------------------------------------------------------------------------------------------	--------------------------------------------------------------------------------------

15. გარემოსდაცვითი მონიტორინგის გეგმა

მონიტორინგის მეთოდები მოიცავს ვიზუალურ დაკვირვებას და გაზომვებს. მონიტორინგის გეგმა აღწერს სამონიტორინგო პარამეტრებს, მონიტორინგის დროს და სიხშირეს, მონიტორინგის მონაცემების შეგროვებას და ანალიზს. მონიტორინგის მოცულობა დამოკიდებულია მოსალოდნელი ზემოქმედების/რისკის მნიშვნელოვნებაზე.

საწარმოს ექსპლუატაციის პროცესში ეკოლოგიური მონიტორინგის ორგანიზება ითვალისწინებს შემდეგი ამოცანების გადაჭრას:

- მოქმედი გარემოსდაცვითი კანონმდებლობის მოთხოვნათა შესრულების დადასტურება;
- რისკებისა და ეკოლოგიური ზემოქმედებების კონტროლირებადობის უზრუნველყოფა;
- დაინტერესებული პირების უზრუნველყოფა სათანადო გარემოსდაცვითი ინფორმაციით;
- ნეგატიური ზემოქმედების შემამცირებელი/შემარბილებელი ღონისძიებების განხორციელების დადასტურება, მათი ეფექტურობის განსაზღვრა და აუცილებლობის შემთხვევაში მათი კორექტირება;
- მშენებლობის და ექსპლუატაციის პერიოდში პერმანენტული გარემოსდაცვითი კონტროლი.

15.1 გარემოსდაცვითი მონიტორინგის გეგმა-გრაფიკი, მშენებლობის ფაზა

კონტროლის საგანი	კონტროლის წერტილი	მეთოდი	სიხშირე/დრო	მიზანი	პასუხისმგებელი
ჰაერი (მაკვნივთიერებათა ემისიები)	ბაზის ტერიტორია უახლოესი მოსახლე	<ul style="list-style-type: none"> ემისიების კონტროლი, ინსტრუმენტული გაზომვები; დანადგარების, რეზერვუარების, სასუნთქი სარქველების ტექნიკური გამართულობის კონტროლი 	ყოველკვარტალურად და ასევე დაუყოვნებლივ საჩივრის შემოსვლის შემთხვევაში	<p>ატმოსფერული ჰაერის ხარისხის ნორმატიულთან შესაბამისობის უზრუნველყოფა;</p> <p>პერსონალის, მოსახლეობის უსაფრთხოების უზრუნველყოფა</p>	შპს „დაგი“
ხმაური	ბაზის ტერიტორია უახლოესი მოსახლე	<p>მანქანა-დანადგარების ტექნიკური გამართულობის კონტროლი;</p> <p>ხმაურის ინსტრუმენტალური გაზომვა ყოველ კვარტალურად.</p>	<p>მანქანა-დანადგარების ტექნიკური გამართულობის კონტროლი მუდმივად;</p> <p>ხმაურის ინსტრუმენტალური გაზომვა კვარტალში ერთხელ და დაუყოვნებლივ საჩივრის შემოსვლის შემთხვევაში</p>	<p>ჯანდაცვის და უსაფრთხოების ნორმებთან შესაბამისობის უზრუნველყოფა;</p> <p>პერსონალის კომფორტული სამუშაო პირობების შექმნა;</p> <p>მოსახლეობის შეწუხების თავიდან აცილება</p>	შპს „დაგი“
